



საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტრო



საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი

ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საღვთო ღვაწლით გაჯერებული სიჭარმაგის უმშვენიერეს წლებს.

პირმა დაბლოცასთ ღვთისამა

(მონეური ხალხური სიტყვიერება)



გამომცემლობა „ანიჭრსალი“
თბილისი 2014

კრებული აერთიანებს მოხეური ხალხური სიტყვიერების (ლირიკა, ეპოსი, ამბავი, ზღაპარი, ანდაზა, აფორიზმი, გამოცანა, შაირი, შელოცვა...) 1937 წლის ჩანაწერებს.

ფოლკლორული ტექსტების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება და, ამდენად, უცნობია მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ჩანაწერებში სანიმუშოდაა დაცული და ასახული ძირძველი მოხეური დიალექტის ენობრივი თავისებურებანი. და ამაში დიდია ჩამწერთა (მ. ხუციშვილი, გრ. მარსაგიშვილი, ს. გუჯარაიძე) პირადი წვლილი. სამივე მათგანი მოხევეა, ხევში დაბადებული და აღზრდილი. ისინი უტყუარი გუმანით გრძნობენ ყოველი სიტყვისა თუ სტრიქონის სუნთქვას, ნიუანსს, ფერსა და ფორმას. გამომდინარე აქედან, სანდოა მათ მიერ მშობლიურ კუთხეში დაფიქსირებული თვითეული ზეპირსიტყვიერი ნიმუში.

უანრულად და თემატურად უაღრესად მრავალფეროვანი ეს ვერბალური „მასალა“ ამ ხნის განმავლობაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ინახებოდა. მისი არსებობა, შეიძლება ითქვას, აღარვის ახსოვდა. და აი, იხსნება კიდევ ერთი ნათელიერი სარკმელი, საიდანაც ხევის მკვიდრთა სულიერი ცხოვრებისა თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დღემდე მოუხილველი მხარეების გაცნობის, გათავისებისა და ობიექტური შეფასების შესაძლებლობა გვეძლევა.

შემდგენელ-რედაქტორები: ამირან არაბული ეთერ თათარაიძე

ძველი ფოტოსურათების მოძიებისას გაწეული დახმარებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ: **გულნაზ ხუციშვილს, ნუგზარ ოდიშვილს, ვაჟა მარსაგიშვილს, სტეფანე ქირიკაშვილს, შალვა ელოშვილს, შავლეგ საბაურს, მანანა მარსაგიშვილს, მერაბ ფირანიშვილსა და სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს.**

პროექტზე მუშაობის პერიოდში ყოველდღე ვგრძნობდით **გიორგი დონაძის** – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის – აქტიურ თანადგომას.

© ა. არაბული, ე. თათარაიძე, 2014

გამომცემლობა „**UNIVERSAL**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-280-1

წინასიტყვაობა

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში აღმოჩნდა 1937 წელს ხევში ჩაწერილი საკმაოდ მრავალფეროვანი ხალხური სიტყვიერება. ჩამწერნი: **მარო ხუციშვილი, გრიშა მარსაგიშვილი, სიმონ გუჯარაიძე.**

მასალის გაცნობამ და წინარე პუბლიკაციებთან შედარება-შეჯერებაში, სასიამოვნო სიახლისა და მოულოდნელობის განცდასთან ერთად, ის ტრივიალური აზრიც კიდევ უფრო განავრცო და განამტკიცა, რაოდენ მდიდარია და ძირუჩინარი ჩვენი უხნიერესი ხალხური სიბრძნის „საღარო“ და სახიზარი!..

ხევა, სადაც დომინანტია უბადლო იუმორი და უბოდიშო ლესულ-სიტყვაობა (აქ სერგა მარსაგიშვილის გახსენებაც კი სრულიად საკმარისი იქნებოდა!), პოეტური მეტყველების მახვილი ნიუანსებითაც მიიპყრო ყურადღება. და ამაში უდავოდ წონადია ხვედრითი წილი ახლახან განხორციელებული კეთილი საქმისა. ვგულისხმობთ ანდრია კობაიძის („კალმისწვერა“) მიერ გასული საუკუნის დამდეგს ადგილობრივ მოპოვებული მოხეური და მთიულური ლექსებისა და მისივე ორიგინალური ნაწერების, წერილებისა და კორესპონდენციების კრებული „**რალა ბეგრი მოგასხენოთ**“ გამოქვეყნებას (ამისთვის გულითადი მადლობა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრსა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს).

საყოველთაო სულიერი გაღარიბებისა და შინაგანი გაუდაბნოების მზარდი საშიშროების პირობებში კერძო კოლექციებში, არქივებსა თუ სამუზეუმო ფონდებში დაცული ავთენტური ფოლკლორული ტექსტების მოძიება და მზის შუქზე ამოზიდვა იმ გადაუდებელ, უადრესად სადღეისო მისიად გვესახება, რომლის აღსრულებამ ხელი უნდა შეაშველოს გარკვეულწილად დეზორიენტირებული მომავალი თაობების სწორ გზაზე დაყენებას.

ერის გონებისა და სინდისის განმასახიერებელ მეწინავე მამულიშვილთა რჩევისა თუ ჩაგონების გაუთვალისწინებლობას არაერთგზის მოჰყოლია სავალალო შედეგები. მათი ნააზრევი, ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა უპირობოდ იყო მიბმული მშობელი ხალხის შემოქმედებით ნიჭს, მის ყოველდღიურ ყოფას. სხვა რომ არაფერი, ქართველ კლასიკოსთა (ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აღ. ყაზბეგი, აკაკი წერეთელი...) ლიტერატურული მემკვიდრეობა არ იქნებოდა ცხებული იმ **„მარლითა მადლისაითა“**, რასაც მათ ხალხურ პირველსათავეებთან უმჭიდროესი სიახლოვე სძენს და ანიჭებს...

თუკი კაცი გულდასმით წაიკითხავს, აღიქვამს და გააცნობიერებს საქართველოს რომელიც გნებავთ კუთხის ზეპირსიტყვიერ რეპერტუარს, სრულიად მკაფიო წარმოდგენა შეექმნება ზოგადად მის ბუნება-ხასიათ-

ზე, ინტერესთა სფეროზე, რწმენა-წარმოდგენათა სისტემაზე, ცხოვრების თავისებურებებზე, წესსა და წყობაზე.

მემატიანეთა თვალსაწიერის მიღმა დარჩენილი ლოკალური ამბები და მოვლენები, როგორც წესი, მეღექსეთა და ნარატორთა ფსიხელი ყურადღების არეალში ექცევა ხოლმე და შესაფერის უკუფენასაც პოულობს მათი ბუნებითი ნიჭისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რეალისტური ხედვის განსაკუთრებული უნარის წყალობით. ემპირიული სამყაროს მხატვრული ეკვივალენტის ქმნადობის პროცესი დღესაც გრძელდება. მცირე თუ შედარებით რეზონანსული ამქვეყნიური ხდომილებანი ზეპირი სიტყვის ფარგალში ხდება და მისითვე აღიბეჭდება. „უბრალო“, უსამკაულო ხალხური სიტყვაა ქომაგი და შემნახავი დავიწყებისთვის განწირული არაერთი უმაგალითო ზნეობრივი გმირობისა, სწორფერთა შორის დამყარებული და ცათა სივრცეებამდე ამალღებული უბიწო ურთიერთობისა, შრომისა თუ ბრძოლის ველზე გამოჩენილი ფილფოსი და თავდადებისა.

თვითკმარ ფასეულობათა მომცველი მოხეური ზეპირსიტყვიერების საოტიან სამყაროში (სადაც ხევესურული, თუშური, ფშაური თუ მთიულურ-გუდამაყრული წარმომავლობის რამდენიმე „გამოხეურებული“ ტექსტიც გვხვდება) შებიჯებამ ჩვენსავე თავთან დაბრუნების, გენეტიკურ ძირებთან მიახლების, დროებით დაკარგული სამშობლოს (**„მიდიღე და ამბობღე: ეს არ არის საქართველო!“** - გალაკტიონი) კვლავ პოვნისა და მყარ საარსებო საყრდენთა მოხელთების ენით გამოუთქმელ განცდასთანაც შეიძლება გაზიაროს. ძირაქი კილოკაეური უბნობისა და შეუცვლელი ინტონაციის სიღრმისეულ შრეებში ის უტყუარი კოდი ძეგს, შენს მკვეთრ თავისთავადობას, ინდივიდუალობასა და შეუვალ სუვერენულობას რომ განსაზღვრავს და განაპირობებს... ამიტომაც არის საგანგებო მოფრთხილების ღირსი ყოველი ძირძველი ქართული სიტყვა; ყოველი ფხიანი ფრაზა და, არცთუ იშვიათად, მსოფლიო სევდის დამტვევი ყოველი ჭეშმარიტად ხალხური ლექსი.

ხევეურ პოეზიაში სათქმელის კამერულ ტონალობას, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივად ენაცვლება ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის ისეთი შთამბეჭდავი ფილოსოფიური წიადსვლები, რომელთა საწყისი ქართული მსოფლგანცდის ძალზე შორეულ მერიდიანებზეა საუგულევბელი და საძებარი.

ხალხური ლექსი და გადმოცემა, ანდაზა და საყოფიერო ამბავი, აფორიზმი და „ერობაში“ ნათქვამი „ეული“ სიტყვა იუნჯებს და ირეკლავს მოხვევთა სადაგი ყოფა-ცხოვრებიდან ამ ბოლო ხანებში გამქრალ ბევრ ეთნოგრაფიულ რეალიას. მეურნეობის მარტივი ფორმებისა თუ ტრადიციული დარგების მოშლას კვალში უდგას მათი ატრიბუტიკის ამსახველი ლექსიკური ერთეულების თანდათანობითი „გაპასიურება“ და გადავიწყება... ვიკითხოთ, ხევის მოსახლეობის რა ნაწილმა იცის დღეს

მნიშვნელობა მეცხვარეობასთან ასოცირებული ისეთი ცნებებისა, როგორცაა: „ჩობანი“ და „სარქალი“, „მცნობი“ და „ნამგალა“, „შიშაქი“ და „ფარეხი“, „ქეჩი“ და „ტაგანი“, „ბაკი“ და „ნაწიღარი“, „კოსუჯი“ და „ბოსონი“... ძნელია ზუსტი სტატისტიკის დასახელება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ერთობ ცოტამ! ცივილიზაციას ეწირება უნიკალური ეთნოკულტურა; ტექნიკური პროგრესი და გლობალიზაციის შეუნელებელი პროცესი ავის მომასწავებელ აჩრდილად წარმოსდგომია თავზე მცირერიცხოვანი ერებისა და ხნოვანი ეთნოსების მომავალს. ქვეყნის ცალკეული კუთხეების ისტორიული განვითარების კონკრეტული ეტაპები და პერიპეტები ჟამთა სიავის ნარიყად და ნამუსრევად დალექილა წრფელ ხალხურ ლექსსა და მართალ ნარატივში.

იმ ეპოქაში, როცა აქ, ამ კრებულში წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერება გროვდებოდა და იკრიბებოდა, ხევის სოფლებში, მის საუფლო დღეებსა და სამხთო-ქორწილებში, ერთი სიტყვით, კუთხის ცოცხალ ყოფაში, ჯერ კიდევ ისმოდა „სმური“ და „ჯვარული“, „დიდება“ და „გერგეტულა“; მთელი თავისი იდუმალი შნოთი და შინაარსით ტარდებოდა მარიანობა და ღვთისმშობლობა, დიდქადობა და მამაწმინდობა, პეტრეპავლობა და კვირეძლობა, ივანობა და ათენგენობა, ბარბარობა და თევდორობა, ბოჯლოვინობა და ხედენიშობა (სადაც, ერთი ანდრეზის თანახმად, ღვინო წვიმდა და თეთრი პური თოვდა)... გერგეტის წმინდა სამების, წვერის სპარსანგელოზის, კვირეღვთისშვილის, დარყის წმინდა გივარგის, ყანანაზის, ხეთანისა და დალანგურის კარი და კალთები მლოცველს ვერ იტევდა; იკვლოდა სამი წლის „დასუღდგმულეული“ ხარები და სიამაყით ხსენდებოდა ნათელფენილი სახელები „**მთაში განთქმული მეფანდურის**“ ღინჯა ხუელელისა, „**კვიანი და ზარიანი**“ ბიბო ყაზბეგისა, ლეკებთან მეომარი იასე ხეთაგურისა, უწევრად ნებისმიერ სუფრაზე მისვლის უფლების მქონე ამოან ავსაჯანიშვილისა, ღურმა ბაზალისა, ქოსლელი ღურბელა ფიცხელაურისა, გულმაგარი ბესო ყამარაულისა, სანადიროში ვეფხვის მომკლავი ელგუჯა საბაურისა... ეს ის წლებია, როცა აღ. ყაზბეგს და პეტრე უმიკაშიელს უკვე აღებული და დაჟამკრებული აქვთ დიდი ნაწილი ხევის სულიერი მოსავლისა; როცა აკაკი შანიძე (მისი უებრო ინფორმატორი გახლდათ ზემონახსენები ანდრია კობაიძე) რუდუნებით უყრის თავს დიალექტურ ლექსიკასა და ხალხში გაბნეულ ფოლკლორულ მარგალიტებს; როცა სერგი მაკალათია მთიან კუთხეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სარწმუნოებრივი ყოფის ამსახველ მონოგრაფიებს აქვეყნებს; როცა „**სამანის ჩასმის**“, დამნაშავეთა დარისხების, თემიდან უდირსთა მოკვეთის, „**საგვარმეტოსა**“ და „**კვეთილის**“ წეს-ჩვეულებანი ისევ სრულდება და დეკანოზ-ხევისბერთა ავტორიტეტიც საიმედოდაა დაცული დესაკრალიზაციის საფრთხისაგან; როცა მიწური სახლების „**შუაყანას**“ იძინებს მთელი ჯალაბობა და, მიუხედავად „**გონჯი წელტიალის**“ მიერ მოტანილი შიმშილისა და ქესეტობისა, თავისუფლებისაკენ მიმ-

სწრაფი მთიელთა დაუმარცხებელი სული საჯიხვეების სიმაღლეებში ჩასახულ სეფე-სიმღერებს ღიღინებს...

ხოლო ამ ლექს-სიმღერების, ზღაპრების, შელოცვებისა თუ ეპიკური ძეგლების უმეტესობა მაშინ იქმნებოდა, როცა მოხვევე ქალთა და მამაკაცთა საკუთარ სახელებშიც კი პოეტური ნაპერწკალი ღვიოდა: **ნენე** და **მახია**, **გაღება** და **უძილა**, **ნელო** და **კაჭუა**, **ბაია** და **ქოთია**, **აბრია** და **ბაჩუა**, **სულუტა** და **შაშვია**, **ჭარია** და **საბრაღა**... და ჩნდება რიტორიკული კითხვები: სად განიმქრა და გაუჩინარდა ეს უცნაურად მაღლიანი სახელები? როდის აიყარა და რომელ ქვეყანაში გადაბარგდა ამ ადამიანებით დასახლებული „გვარძრიალი“ მოხეური სოფლები?..

წერა-კითხვის მცირედმცოდნეობას (ზოგჯერ საერთოდაც არცოდნას) ხელი არ შეუშლია მოხვევე მელექსეებისთვის, სანიმუშო სიცხადით და სიწრფელის მაღალი ხარისხით გადმოეცათ თავიანთ ნათქვამ-ნაამაგარში პირადი თუ სათემო სატკივარ-საწუხარი. სოფლის სასიქადულო შვილები საკადრისად შეექოთ, ხოლო მხდლურ საქციელში მხილებულ არსაითთა და გვარ-მანაკიდვარის მომყივნეთათვის ფიზიკურ სასჯელზე ბევრად მწარე სიტყვიერი განაჩენი გამოეტანათ; ეთქვათ ის, რაც მათი კაცური მრწამსის ქვაკუთხედსა და თავკიდურს შეადგენდა: **„კარგს კაცთან ჩხუბი შჯობია გონჯასთან ქეიფობასა“**.

თავისი ძველი და ხარიზმატული გვარის („ღუღუშაურთა დაგლათი ღმერთისგან ნაბობარია“, - ნათქვამია ხალხურ ლექსში) მემკვიდრეობითი ხაზის გაუმრუდებლად გამგრძელებელია ავტორიტეტული სნოელი მესიტყვე გუგუა ღუღუშაური (თადილეტი), ვისი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემების ჩანიშვნასა და დღევანდელობისთვის შემონახვას სტეფან-წმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაშინდელ დირექტორს სტეფანე ალიბეგაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ.

„ვიქნები ოთხმოცდაათი წლისა. მამაჩემს ერქვა იორდანაი. ადრე გედემეცვალნეს დედ-მამანი. პატარა დავრჩი ობლად. ჩემი ცხოვრება სულ ცხოთა კარზე ჩამოვგაღლე მოჯამაგივრობაში. თხუთმეტი წელიწადი გუდამაყარში ვიდევ მწყემსად. ოცდაათი წელი ვმუშაობდი საქართველოს სამხედრო გზაზე თვიურ მუშად (1897 წლიდან 1927 წლამდის). სკოლაში არ ვყოფილვარ. არც ანბანი ვიცი. ცხორჩი დევყუდებოდი ჯოხზე და ვთხზავდი ლექსებს, თუ რაიმე შესანიშნავი ამბავი მოხდებოდა: სისხლის აღებაზე, ღაშქარ-მღვერობაზე, ვაჟკაცობაზე, ნამუსიანობაზე, ცხორ-მეცხორებაზე, შრომა-გარჯაზე, კარგის ყმების სიკვდილზე, ქალის მოტაცებაზე, პურმარილიან ხალხზე, ყაჩაღობაზე, ნადირ-მონადირეებზე და სხვა. ვიგონებდი შაირებს - სახუმარო ლექსებს. ახალგაზრდობისას ბევრ ლექსებს ვთხზავდი. ჩემი ლექსები მთელმა ხალხმა იცოდა. როცა დიდი საქმე რაიმე მოხდებოდა, ყველა მელექსეები მე მელოდეს ლექსის თქმასა - თუ მე არ ვიქნებოდი თემჩი, მაში იტყოდეს ისენი, თუ არადა მე უნდა მეთქო.“

გუგუა ღუღუშაურის ძნელბედითი ცხოვრების ზიგზაგოვანი გზა და შემოქმედებითი შრომის სპეციფიკა ტიპობრივია სხვა მთიელი მე-
ლექსეებისთვისაც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ უკიდურეს
უპოვრობასა და მატერიალურ სიღატაკში ათენ-აღამებდა. სკოლასა
და განათლებაზე ხელი არ, ანდა ნაკლებად მიუწვდებოდათ და თავიან-
თი ტკბილ-მწარე სამზეოს საუკეთესო წლებს უშედავითო ჯაფა-ჯა-
ჯანსა და ოფლის ღვრაში „გლიდნენ“...

ჯერჯერობით უცნობია, ვინ ღვთისნიერმა ადამიანმა მიიტანა და
ჩააბარა საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს
(ადრე ასე ერქვა, დღევანდელი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მისი
სამართალმემკვიდრეა) 1937 წლის მოხეური ხალხური სიტყვიერების ჩა-
ნაწერები.

როგორც რაოდენობრივი, ისე შემეცნებით-ღირებულებრივი თვალ-
საზრისით უმჯობესი და უპირატესია მარო ხუციშვილის კოლექცია. მოი-
ცავს ექვსასამდე თაბახის ფურცელს. შესაბამისად, ვრცელი და წარმო-
მადგენლობითია მის მთქმელ-ინფორმატორთა სიაც (სიტყვა „სიაშ“ მოი-
ტანა და ბარემ ესეც ვთქვათ: XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხევში უც-
ხოვრია სია გიგაურს, რომელიც პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერე-
ბის“ შენიშვნებში სიმონ შადურის მთქმელად იხსენიება)... ბევრ მათგანს,
როგორც ჩამწერი მიუთითებს, შეუძლია მხოლოდ ქართულად საუბარი
და „უფლია ჩრდილო კავკასიაში“. რამდენიმე თბილისშიც ყოფილა...

სასურველ მოვალეობად ვთვლით მკითხველს წარუდგინოთ იმ მოხე-
ვეებისა და ერთი ჯუთელი ხევსური ქალის ვინაობა, ვისგანაც მარო ხუ-
ციშვილი 1937 წელს ფოლკლორულ ტექსტებს იხმენდა, იწერდა და თითო-
ეული მათგანის ასაკსაც იქვე უთითებდა. ესენია: **სება ჩქარეული** - 93; **ლა-
ზო წიკლაური** - 32; **გივარგი ღუღუშაური** - 85; **ესტატე ღუღუშაური** - 85;
ვანა გელაძე - 60; **გიორგი თამასხანოვი** - 65; **თამარა სუჯაშვილი** - 95; **მა-
რო არაბული** - 11; **გუგუა ღუღუშაური** - 80; **ტასო ჩქარეული** - 50; **პავლე
ხუციშვილი** - 27; **ბიბო ფირანიშვილი** - 60; **ნატო წიკლაური** - 50; **ილია
ხუციშვილი** - 29; **იოსებ ხუციშვილი** - 70; **მარო ხუციშვილი** - 16.

ხოლო გრიშა მარსაგიშვილისა და სიმონ გუჯარაიძის ერთობლივი
კოლექციის სახით დაცული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მთქმელებად
**როსტომ მარსაგიშვილი, გუგუა ღუღუშაური, კოტე მარსაგიშვილი, ვასი-
კო ავსაჯანიშვილი და სესე მარსაგიშვილი** გვევლინებიან.

ამ მასალის მოპოვების თარიღადაც 1937 წელია მითითებული. კო-
ლექციას დართული აქვს გიორგი ლეონიძის ხელნაწერი რეცენზია, სა-
დაც ვკითხულობთ:

**„მოხეური ხალხური პოეზიის ნიმუშები, - რიცხვით 66, ჩაწერილი
გრიშა მალსაგიშვილის და სიმონ გუჯარაიძის მიერ ხევში, - უსათუოდ
დიდ ღირებულებას წარმოადგენს.**

უმრავლესობა ჩაწერილ ლექსებისა, 75% სრულიად უცნობია, ხოლო ცნობილი ლექსებიც საინტერესო ვარიანტებს წარმოადგენს, როგორც: „სოლომონ ბრძენი და კუნძულები“, „ხალხური ამირანი“ და სხვ. რაც შეეხება მხატვრულ ღირებულებას, იგი დიდია... ჩაწერილ ლექსებში არის შედეგები.

და ბოლოს: ხევის პოეზია არა თუ შესწავლილია, არამედ ჩაუწერელია. ალ. ყაზბეგის მცირე ჩანაწერების, ა. კობაიძის (კალმისწვერა) და ზოგ სხვათა მიერ გამოქვეყნებულ (გაზეთ „ივერიაში“) მასალების გარდა, - არაფერია გამოქვეყნებული. ამ მხრივ მალსაგიშვილის და გუჯარაიძის ჩაწერილი მასალები რამოდენიმედ ამ ნაკლს ანელებენ.

ჩემის აზრით, ხსენებულ ამხანაგებს კიდევ უნდა დაევალოთ ამ საქმის გაგრძელება, ხოლო ამ ჟამად მუშაობაში წასახალისებლად მიეცეთ მათ ჰონორარი ხუთასი მანეთი (500მ).

გ. ლეონიძე

P.S. აქ წარმოდგენილ ხალხურ მასალებში არის მწერლის სანდრო ყაზბეგის ორი ლექსიც“.

.....

ხელნაწერებზე მუშაობისას, აშკარა შეცდომების შემჩნევის შემთხვევაშიც კი, მაქსიმალურად ვიკავებდით თავს ტექსტოლოგიური ჩარევისაგან. ერთადერთი, რაც ტექსტების კითხვისა და აღქმის გაიოლების განზრახვით გაგაკეთეთ, ესაა ხმოვნისა და თანხმოვნის შუალედური უბგერის შეცლა კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნით (ქჭყყანა - ქვეყანა; ეფხუი - ეფხვი; ძჭრად - ძვირად...)

ამგვარი „თვითნებობა“, თუკი გავითვალისწინებთ მოხეური დიალექტის ბგერითი სისტემის სირთულეს, დიდ ცოდვად არ უნდა ჩაგვეთვალოს.

საჭიროდ ჩავთვალეთ, კრებულში შეგვეტანა რამდენიმე პოპულარული ხალხური ლექსისა თუ შელოცვის ვარიანტული სახესხვაობანი...

„მონევეთა ხალხური პოეზია ჯერ კიდევ ხელუხლებელია“, - გულისტკივილით წერდა სერგი მაკალათია.

იგივე სატკივარი აწუხებდა და შემკრებთა წახალისებას ცდილობდა გიორგი ლეონიძე...

დღესდღეობით მდგომარეობა უკეთესია, თუმცა მოხეური ხალხური სიტყვიერების მეტნაკლებად სრულყოფილი, სოლიდური გამოცემა მაინც მომავლის საქმეა.

*ამირან არაბული
ეთერ თათარაიძე*

შემკრები

მარო (მარია) ხუციშვილი



დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ გერგეტში, 1910 წლის აპრილში. დედა მცირეწლოვანს გარდაეცვალა და მამამისი ივანე მეორედ დაქორწინდა. ასე რომ მარო და მისი და-ძმა დედინაცვლის ხელში გაიზარდნენ.

სკოლაში არ უვლია. ოცი წლის იყო, როცა წერა-კითხვა დამოუკიდებლად ისწავლა. ხარბად დაეწაფა წიგნებს. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. დაამთავრა თბილისის „მუშფაკი“. გაანაწილეს წყნეთში, მაგრამ მძიმე ოჯახური პირობების გამო სამუშაოს დაწყება ვერ შეძლო.

იყო თამამი და თავდღიანი.

ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ხალხური შემოქმედებისა, რამაც, მერე და მერე, მის მიერ მოხეური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ჰპოვა პრაქტიკული გამოხატულება (მოგვიანებით მაროს საქმიანობა გააგრძელა მისმა ძმისშვილმა გუდნაზ ხუციშვილმა).

დამოუკიდებელი ოჯახი არ შეუქმნია. ცხოვრობდა ძმასთან, იასონ ხუციშვილთან და ზრუნავდა ძმისშვილების აღზრდა-განათლებაზე.

ნაადრევად დაავადდა - აღმოაჩნდა სიმსივნე და ოპერაცია უშედეგო გამოდგა.

გარდაიცვალა 1957 წელს.

დაკრძალულია ხევში, გერგეტის ძველ სასაფლაოზე.

P.S. მარო ხუციშვილის პოეტური ნიჭი და მხატვრული გემოვნება კარგად ჩანს მის ავტობიოგრაფიულ ლექსში, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

ჩემი ცხოვრება ვამსგავსე
ვაჟაის ყურშა ძაღლსაო,
ნუმც გავჩენილვარ ბედკრული,
ცანი მექცევა თავსაო.

საკირის ცეცხლი მედება,
აღები სწვდება ცასაო.
ღმერთსა და ხატსა შევჩივი,
ადარც ის იღებს ხმასაო.
მკვდარსაც კი ზურგი მაქციეს,
არ მღებულობენ დასაო.
დედამ გამწირა მშობელმა,
არ მოდის გულისხმასაო.
რო მომიკითხოს შობილი,
არ ფიქრობს იმის ცდასაო,
აჰუ, მუხთლები ჰყოლიხართ,
ტყვილად გაბეზრებთ თავსაო...
ორმოცდაექვსი წლისა ვარ,
სულ მწარე დღენი ვგაღეო,
გაჩენით დღემდე, მსმენელო,
ცხარე ცრემლები ვღვარეო.
რამდენი თასი შხამ-გესლით
საესები გამოვცაღეო.
სისხლით და ხორციით დაცლილმა
ძვლებს ტყავი დავიფარეო.
სიკეთე ვთესე მამულში,
ფარცხვა არ დავიზარეო,
ღვარძლი მოვიმკე ბედკრულმა,
სარწო ვერ მოვიყვანეო.

ლექსები

შიოლა ღუღუშაური

შიოლა ღუღუშაური
ეფხვია სალი კლდისაო,
ცხორ-ძროხა მოჭეკებისა
ფარობლი მიუდისაო.
ჰმა შორს გაფარდა, გაითქო,
ახლოც ბატონად ზისაო,
გუდამაყარს სდებს ბეგარას,
მთიულეთს გადადისაო...
რომ იცით, ქვენამთაზედა
ცხორ-მეცხორე დგას ბევრია,
ამაგილაღაუთ ქეჩებსა,
ამბოვ რო იცით ჩემია.
თქვენ გაამზადეთ ტაბლავი,
სიფრო გაშალეთ ჭრელია,
მე მაშინ მომილოდინეთ,
როცა ამოვლენ მზენია...
მიმართებს ჯალაბაურსა
ბეგარა შარშანდელია.
იქით მასულმა მთრეხელსაც
უნდა ვადინო მტკვერია,
უნდა დავამბა ბაგაზე
ღურჯა, მთრეხელის ცხენია.
შიოლას ეტყვის დიაცი:
ერთ საქმეს გეტყვი ჭკვიანსა,
არ დასცალდება ვაშკაცსა,
დიაცს უყურას თმიანსა.
წუხელის ვნახე სიზმარი:
იყო თენების ხანია,
სახლის წინ ვისმე მეეგდა
გულს ნასირალი მკვდარია.
ვერ ვიცან სისხლჩი გასვრილი,
ცხოთ მითხრეს, შენი ქმარია...
შიოლაი ეტყვის დიაცსა:
რადა ხარ ჭკოზე მცდარია,
ჯერ არ გაუზღავ დედასა

შიოლაის მეომარია...
 სწორედ ამ დროსა მთრეხელი
 ლურჯას ჰკმაზავდა დილასა.
 სივანს ჰყავ სიძე მთრეხელსა
 წასვლა უჩქარის დისასა.
 ტანთ იარაღსა აისხამს
 სანატრელს ვაშკაცისასა,
 დაჯდება, ჩამათამაშობს
 ლურჯაი ყორის წყლისასა.
 შახედავს სალსა კლდეებსა,
 ჯიჯვებსა ჭიოხისასა,
 ბევრჯელ კი გამაგიარეთ,
 ოკრებო, სიმაგრისასა.
 ბევრ შვილდ დაგკარით, ისარი,
 ჯიჯვებო, სალი კლდისასა...
 ჩამოვა სნოის ჭალაზე,
 წითლად თამაშობს გზაზედა,
 ცხენი ნიავექარს მიუგავს,
 აბჯარ შაშვენის ტანზედა.
 მაშინ დაფიქრდა მთრეხელი:
 საქმე მიმივა ცდაზედა,
 ან მოვხკლავ ანუ ეგ მამკლავს,
 დადგება დასწრობაზედა,
 რამ შამამყარა წყეული
 ამ ჰევსა, სწორსა გზაზედა.
 წითლამ მთრეხელის ლურჯასა
 მკერდი მიადგა მკერდზედა,
 დასწია ცხენსა მთრეხელმა,
 დადგა მარჯვენა მკარზედა.
 – ჰელ მაგიმართას, შიოლავე,
 განთქმულო ქვეყანაზედა!
 – შენც გაგიმარჯოს, მთრეხელო! -
 ამათქო გულის ჯავრზედა.
 – მშვიდობით იყავ, შიოლავე,
 წასვლა მეჩქარის გზაზედა!
 – შენ ვეღარ წახოლ სივანნი,
 მე ჩამაბარე ცხენია,
 ნუ მახტდი კმაზულობასა,
 არაფერს ახლა ჰელია.
 შვილდიც აქ მამე, მთრეხელო,
 მკარს ნაკიდები, ჭრელია,

ისარნი ყიაწითელნი,
ზედ ესხას ორბის ფრთენია.
- ვერ მაგცემ, ღუღუშაურო,
რაც გინდა გამიწყერია,
გინდა დედმამა მისხენე,
გინდა რაც გინდა ქენია!
შვილდ თავად უნდა მთრეხელსა
ადგილს დგას ნაპირისასა.
შვილდს მასწევს ბოძალიანსა,
მთრეხელი დასწევს ისარსა,
შორს მიდე, ღუღუშაურო,
არ მიგაკერა ქვიშასა!
არ მისცა გზანი მთრეხელსა,
სიკერპეს დახე ყმისასა,
გულს დახკრა, ბეჭებს გაღვარდა,
გმირი დეეცა მიწასა.
- აბა, რად მახკვდი, შიოლავე,
ემაგისთანა მჭედარი...
გვერდსა დაუჯდა შიოლას,
ტირის, არ არის მკვებარი,
თავ მახკალ სიამაყითა,
მე არ მედება დღეს ვალი...



სნოვლები და სნოს ციხე

ამ ზამთარ, ღუღუშაურო,
შკამს იჯე ერისთვისასა,
ახლა რა დაგმართებია, -
მსახურსა ღგვიხარ ცხვისასა.
არ გაუტეე მთრეხელი
სნოს მიმავალი დისასა,
ჯერ ჯორსა გემეკიდე,
ზიარსა გუდანისასა.
მერმე შეილდს გემეკიდე,
მჯარს ნადებს, თეთრი რქისასა,
შვილდ თავად უნდა მთრეხელსა
ნაპირის ადგილისასა.
გამაუბრუნდა, გულს დახკრა
ბატონსა აჩხოტისასა.
მანდით რომ გამაბრუნდება,
ელვასა ღგვანდა ცისასა.
მაზდევენ ღუღუშაურნი.
რისხვასა ღგვანან ხთისასა.
მაუდგა ყოვლაწმინდასა,
შიგან დედასა ხთისასა,
კარნი არ დახვდეს ღიანი...
ნაგებსა დედოფლისასა.
აწ ახალციხეს მივიდა
ქერბეღელაის ძისასა.
- შამავალ, არ შამამიტევ,
სულს არ დაიხსნი ძმისასა?
- კარით კი ნუ გეშინიან,
სარკმლით უმთხილე ისარსა.
თქვენი ჭირიმე, მამულნო,
ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასა.
ქალმ კარნი არ დაანება,
სარკმლით დაუკრვენ ისარსა.
ამბობენ ჩამაქცევასა
ახალციხური კლდისასა,
შიგ ჩატანებას ამბობენ
ქერბეღელაის ძისასა,
ვერ შაინახა სტუმარი,
ვა დედას ცუდაისასა!

ლექსი ჩაინიშო ღათაზე

სნოვლებს ხქონია ჳორწილი,
მაგრა იკონვენ პირსაო,
დათაი მეჯოგედ დაუდგა,
მადლი სწყალობდეს ხთისაო.
ჯერ თავის მოსახელეა,
მამრე ამ ჩვენის მჭრისაო,
ერთ სადამოზე დაწვიმა,
ნაპირი მასწყდა ცისაო.
წამაიხურა შინელი,
დაღონებული ჳისაო,
მეორე დილა გათენდა,
შუქი ჩამადგა მზისაო.
ჯოგს თოლი მიაველ-მიაველა,
რაც წესი იყო მისაო,
შვიდი ცხენ-კვიციანი დააკლდა,
თავისვით საწყლებისაო.
დაიღუპება გახაი,
გახყიდის თავის წილსაო,
გარდაიკიდა თოფაი,
პირს ალი ამაზდისაო.
კდეზე მოულის წინასა,
შიში არა აქე მტრისაო,
შავანაის ქვიშას ჩამოდის,
როგორც არწივი ცისაო.
ჩამოვიდა შავანასა,
სოფელს არ მადგერის ძილსაო,
მამასახლისს წამაავდებს,
პირჩიგათ ცეცხლებს ხყრისაო.
წადი, მარეკე ცხენები,
თორო შავაჭმევე ჳირსაო,
წავა, მოურეკს ცხენებსა,
ჳირი შახყარა თავსაო.
სნოჩი ცხენებს აფასებენ,
ჩემი ამდენი ღირსაო,
დაიღუპება დათაი,
გახყიდის თავის წილსაო.
სწორედ ამ ლაპარაკჩია
დათაი ჩამოდის კდესაო:
ნუ გეშინიანთ, სნოვლებო,

ჯავრი ვიყარე მტრისაო.
დედა არ გაზდის ეგეთსა
დათაისთანა შვილსაო,
მაგისტანაის გაზდა ღირს,
წოვება ტკბილის რძისაო.
ლექსო, ნუ დეეკარგები
სამუკაიშვილიშვილსაო,
სამუკეთ მჭარკუზიანი
ნუ გეგონებათ ცხვისაო.

ვევს ვინღაც ივასებაი

ვევს ვინღაც ივასებაი
ბუბუნებს, როგორც კარია,
არ იარება დაბლობზე,
მთის წვერზე დაქნა გზანია.
ვემსურეთს გედეფჩვია,
ძროხა-ცხორს მისცა ზიანი,
ველთავქვე ჩამამდინარსა
ქალამ შაასწრო თოლი,
ქალამ გადაგდა ჩიქილა,
არხოტს ჩაყარა ვმანი,
არხოტსა მსხდომთა ბიჭებსა
მუჭლჩი შაუდგა ქარი.
მდევარს დაღმეტდა ყმაწვილი,
თავად იმ ქალაის ქმარი,
ხკითხავდა ივასებაი:
- ყმაწვილო, ვისი ხარი?
- რას მკითხავ, ივასებაო,
დამბრუნი აღარ ვარი.
ველით რო წამაგივიდა,
მე ვარ იმ ქალაის ქმარი.
ეგრე დაკუწეს ერთურთი,
როგორც ჭეკარა მხალი,
საწყალი ივასებაი
გზის ძირ შამაწვა მკედარი.

უბარეს ქიშტის შვილებმა

უბარეს ქიშტის შვილებმა:
ბერავ, დავგვეხსენ, ხთის მადლსა,
თუნდა ბეგარას დავიდებთ,
თუნდ ყალანს ქალ-ვაჟისასა.

თურმე მოგვევის ქალი გაუტაცებია ქიშტებსა და იმ ქალს ხევანია ერთი სახელგათქმული ბიძაი, რომენსაც ბერაი ხქვინებია. დახვევალია ბერაი მდევარჩი და სულ კანკალი დაუწყია ქიშტებსა. დაუწყია ხვეწნა და უთქმია, რო გინდ ბეგარაი დაგოდევ და თუნდა ყალანიო. იუკადრისა ბერამა და შაუტია:

რას უბნობთ, ძადლო ქიშტებო,
შურს ვსძებნი ბიძაშვილთასა,
შაიკმაზება თოფ-კმალჩი
თოლით მაზომავს ნიშანსა.
ყორის ჭიუხჩი ბერაი
მუჭლით მიხკოლავს ქვიშასა,
ხოგაის მინდიც ჩამასდევს,
ჩამააწითებს ქვიშასა.
დღეს შური უნდა იძიას,
ვაი, დედას ვაშკაცისასა,
უნდა ჩაუჭდეს ქიშტებსა,
ნეფეს ხკრას ციხეჩიგათა,
ბაღღს თავი უნდა წახპარსას
სარკმელჩი ამასვლისასა...

კარკუნას ბაღათურაი

კარკუნას ბაღათურაი
გამაიმართა დილითა,
დედამ დაუცხო საგძარი, -
შვილო, მშვიდობის გზაზედა.
ქოთანის ბეგი საესეა
იმ ურჯულეების ჯარითა.
ზოგნი შჭრა, ზოგნი დაჭოცა,
ზოგნი გაუშო ჭირითა,

რანიც გაუშო ჭირითა,
სისხლს ამახყრიან პირითა...
გადაუჩინდა დედასა
გაცინებულის პირითა,
გადაუჭირა ქოჩორი,
გადაპოხილი ტვინითა.
არას იმჩნევდა ვაშკაცი,
სისხლს იგუბებდა პირითა.
დედაი უხვევდა ჭრილობას,
კენესა ამახვდა გულითა.

ლექსი კარკუჩხელს ბიბოლაზე

ლუდი დულს პირიმზეჩიგა,
ქობებს გადმაზდის პირსაო,
სულ აირია ღურბელი,
ნისლი დეეცა ძირსაო.
შორად გახქუხდა სახელი,
ქება მაგ კაი ყმისაო,
მუდამ შორი-შორ გადადის
ქებანი კარგის ყმისაო.
გიგოლისთანას ვაშკაცსა
დედა ვერ გაზდის შვილსაო,
ტეტიკამ წიგნი მისწერა,
მაკითხულობა ძმისაო.
შასახვეწარი ეწერა -
ნუ გამისარებთ მტერსაო,
მე ვნახე ძმაო, გიგოლი,
ადგილი შევეთისაო.
დიდხან ნუ დაიგვიანებ,
შური იძიე მტრისაო.
მაში წამადგა გიგოლი,
ბედი ახსენა ხთისაი.
ძრიალ ჩქარობდა გიგოლი, -
გადავლა მინდა მთისაო.
ჩაიცო ქალბან-პაჭიჭნი,
ბანდულნი ფურბერწისაო.

ახოს მთა გადაიარა,
შუქია პირიმზისაო.
პირიმზის ნიშთან გახედა,
ხოხორი მაისმისაო,
ნაპირზე იდგა მხვეწარი,
ხალხია ყველაი მკრისაო,
ხალხმა შახედა გოგოლის,
რა ეფხვი ჩადის ძირსაო.
იქ სადმე დახედეს კემსურნი,
ხკითხეს ამბოვი გზისაო:
- საით მიზდისხარ, ძმობილო,
წოვანთ თუშების მკრისაო,
მგონია, გინდა ის კაცი,
მამკლავი შენის ძმისაო.
თუ ხფიქრობთ შარიგებასა,
ტეტიკაი ძვირად ღირსაო.
ტეტიკაის მაგონებაზე
გიგოლის სისხლი დუღსაო.



მოსისხლე გვარების შერიგება მოკლულის საფლავზე

წყალობა რო ჩამოვიდა
ზეციდან მაღლა ხთისაო,
დაჯდა, დარიგდა მხვეწარი,
ხალხია მიღეთისაო.

ჯარზე სამ შახვდა გიგოლის,
რომენის ჯაერიც შჭირსაო,
- აბა, შე ციცავ, კემსურო,
მზე გიბნელდება ცისაო.
შაშინებულმა მოსისხლემ
ფერი დაიდვა მგლისაო,
კემსურმა ფარი იფარა,
ფხა ნახა თავის კმლისაო.
უწინ დაასწრო გიგოლიმ
მარჯვნითკე, ბეჭის პირსაო,
გადატრიალდა შავბნელი,
შაშვივით ადებს პირსაო.
წამაიწია კემსურმა,
დეეცა ისრივ ძირსაო,
ლომივით იდგა გიგოლი,
მალოდინი აქე მტრისაო.
კალთათ წაკეცას აპირობს
ეგ ეფხვი სალი კლდისაო,
სახელიმც ნუ დეეღევა
ლუხუმს, ჩოხელის შვილსაო.
გოგიამ ცხენი ათხოვა,
რომენიც მაგრა რბისაო,
იორღას იცის გაქცევა
მუჭლი აქე ნიავექრისაო.
შაჯე, გიგოლივ, იარე,
მღვეარი მაგდევს მტრისაო.
მარდად შაფრინდა გიგოლი,
როგორც ჯერანი ტყისაო.
თოფი და კმალი უკდება,
ანგელოზია ცისაო.
თან გახყვა წმინდა გივარგი,
კმალი რას უზამს მტრისაო.
ქვენამთა გადაირბოლა,
კოლი მახყვება მგლისაო,
ნუმც მეგეწევა ზუზუნით
ტყვია გასროლილ მტრისაო,
დედისა ძუძუ შეგერგას,
აფთარო ველებისაო.
სოფლად კარკუნას ჩამოვა
საღამოს ჟამის პირსაო.
გემეგებნეს ბებრები,

სწორ-ამხანაგნიც მისაო,
სუყელი მოულოცავდა,
ქებას ეტყვიან პირსაო,
თემსაც აჭმიე, სახელი,
სული გიცხონდა მკედრისაო.

ღმერთი ციცკაზუ

ღმერთო, ნუ მისცემ დავლათსა
ლადიკავკავნი მტერსაო,
ნურც მისცემ გამარჯვებასა,
ნურც მოუმართავ ჭელსაო,
ციცკაი ღმერთმა გვიღვებრძელას,
სულ ასახელებს თემსაო.

ციცკაი ყოფილა თურმე ცდოველი დედისერთაი, ვაშკაცობით გან-
თქმული და იმას ხყორებია ყაზბეგელი ქალი.

ერთხალ ციცკამ უთხრა თურმე თავის დედასა, რო სთველია და
ნადირი მსუქანი იქნებაო, წავალი და საჯორციალოს რასმე მოვიტანო.
გადაიკიდა თავისი სანადირო თოფი და წავიდა. როცა ქედს გადასცდა,
თოფი იქვე დამალა და წავიდა სტეფანწმინდასა თავის შაყორებულთა-
ნა.

თავის საყორელი ქალი უნახია კალოზე, ძნებნი. იქ დამსხდარან
და დაუწყიათ ლაპარაკი თავის მომავალზე. ამ დროს სტეფანწმინდას
თურმე ცხოვრობდა ვაჭარი სომეხი ფასიაი. იმასაც თურმე პრიალ
უყორს ის ქალი. ქალს კი ციცკაი უყორს თურმე.

ქალ-ბაღდთ ლაპარაკისათვი მიუგდია ყური იმ ვაჭარსა და შტრაშ-
ნიკები კი დაუცია თავსა. შაუკრია ციცკაი და სულ წვერები უგლეჯია
იმისათვი და ისრი გაუშვია.

ციცკას მაშიენე დაუქადნია, რო არ შაგარჩენო.

ის იყო და ისა, სახლს აღარ გახკარებია.

ერთხალ ფასიაი ძაუგისაკე წავიდა და ნათლიმცემლის ნიშთან
დახვდა ციცკაი.

კობით წამოვა ფასია,
ჯავრი არა აქვ მტრისაო,

ნათლიმცემელთან ჩამოვა,
იქ მოუჩქარებს ცხენსაო.
- საით მაზდიხარ, ფასიავ,
საით მაიქნევ ჳელსაო.
შარშა რო ვალებ დამმართე,
უნდა გავსწორდეთ დღესაო.
მაში მე გეხვეწებოდი,
შაკრულს რომ მგლეჯდი წვერსაო,
ამაილე შენი ჳმალი.
ბიჭობა გამოჩნდესაო,
- რას ამბობ, ძმაო ციცკაო,
შენის დედ-მამის მზესაო.
დუქან-ბაზარსაც გაჩუქებ
ჳელს გამაგიმბავ ცხენსაო...
აი შენა-თქო, სომეხო,
რას გული გაგტეხიაო,
ერთი მოუსო ფასიამ,
მჩხილიც ვერ მათჯრისაო.
მამრე ციცკამაც უსართა
სისხლმა შაასხა კლდესაო.
- ნუ გეშინიან, ფასიავ,
მე არ შაგატმევ მგლებსაო.
ყარაულებს დაგიყენებ
სამსავე გველეთლებსაო,
ჯალაბთაც შაგიტყობინებ, -
ნულარ იჯავრებთ ბევრსაო.
წითელის ღვინით დამთროლი
აღარას ფიქრობს თქვენსაო.
ფულსაც კარგა შაგინახავ,
არ დავაკლებ კაპეკ-გროშსა...
ამა ლექსისა მათქომი
შუას ძაუგჩი ზისაო,
დილით ჩავადის ბაზარჩი,
დაჯდება, ჯემტებს ხრისაო.



ცდოვლების ერობა

ლექსი ვანიაზე

ადრე გასეტყო მამული,
თავთავი დასცა ძირსაო,
შორად წავიდა ამბოვი
ქება მათ კარგი ყმისაო.
ვანიას თავი დოგიკრეს,
ხუციანთ ქალიშვილსაო,
შოგიტობინეთ მაქსიმას,
შირაქის ყელნი ზისაო.
შინ კიკოსა და გაბოსა
დაღუპვა თავის ძმისაო,
მეხისგნითა ვარ მაკლული,
კაცისგნით არა მჭირს რაო.
ნუ დამიხეგრით ობლებსა,
წილი მიეცით ცხვრისაო,
წამალათ ქალსაც უთხარით,
სული იწამას მკვდრისაო.


ქრისტეს მარჯვენა

ერთს შაირს მე მაგახსენებ,
მინამ გვიან გათავდება,
ერთი ოქროს ქამრიანი
აბრამს კარზე მიადგება.
- აბრამო, პური მაჭმიე,
შიმშილით არ მევალება.
- მე პურს რაისთვილა გაჭმეე,
შენი რაი მემადლება.
გაყიდე ოქროს ქამარი,
სადილს კიდავ მაგირჩება.
- აბრამო, სადილისათვი
ქამარი არ მემეტება.
ქრისტე შაჯდა ჯორიკაზე,
გორგურიანს შაუდგება,
შორს იქნება თუ მარჯვესა,
ქრისტე მალვე დაღმარჯვდება.

ქრისტე მივიდა აბრამის წყემსთანა მთაჲი და უთხრა:

შენ ხთის კაცო, ხთის სტუმარო,
შენ ეგ როგორ გეკადრება,
აბრამისგან მაქვ ულუფა,
დღეჲი მამდის სამი პური.
დაჯე და ის მივირთოთ,
რაიც ხთისგა მეგვეცემა,
მაწველო, პური არ მინდა,
ცხორი ბევრი გეყვალება.
ეს ცხორი ჩემი არ არის,
ხთის სიმტყუნე არ იქნება,
მაწველო, ათასს სულჩივა
ერთი შენიც ერევება.
ერთი მართლა ურევია,
ხთის სიმტყუნე არ იქნება,
წელს სამის წლის ბერწი არის,
დასაკლავად მენანება.
მაიყვანე და მოვწველათ
თან ასი კრავი მახყვება,
მაიყვანეს და მაწველეს,
თან ასი კრავი მახყვება.

სამი ქობი მაიწველა,
მეოთხეს თავს გადასცდება,
სტუმარი ხყავ მასპინძელსა,
სამი პური ძირსვე რჩება.



ფანშეტის ციხე

მასწველო ეგ ერთი ცხორი,
ათასს სულადამც გექცევა,
ეგ შენი ტანისამოსი,
ოქროს ფარჩადამც გექცევა.
ეგ შენი თხილის ჩოსმასი
ცულისა ტრადამც გექცევა,

სადაც მინდორზე დასცემდე,
მწონე მინდორშიც იქცევა.
ამოვა აღვის ხეები,
ცხორი გრილოზე დაწევა,
სადაც რო წყალი მაგწყურდეს,
იქ წყარო ამაგიწნდება.
ცხორიც სომდეს და წყემსიცა,
ის წყალი არ გიშრებოდა,
ეგ შენი შავი ცხორანი
თეთრადამც გედებექცევა.

დალოცა წყემსი ქრისტე ღმერთმა და წავიდა. მოვიდა აბრამი და
ველარ სცნობს ცხენსა და კაცსა, ველარც თავის ცხორსა.

აბრამ მაწველს ეკითხება:

ჩემი ცხორი არ მეცნობა.
- აი, აბრამ, შენი ცხორი,
ხთის სიმტყუნე არ იქნება.
- ეს ცხორი ჩემი არ არის,
ჩემი ცხორი მეც მეცნობა,
შავი ცხორი, შავი წყემსი,
შავი ძაღლი ეყვალება.
ამაულა, ჭდე აჩვენა,
აბრამ მაში დაუჯერდება.

ლექსი მაცხოვრებელზე

დაიძრა დიდი სულთანი,
ჭარი და ბელაქანიო,
წინ უდგას ალი ბელადი,
თეთრი დროშაის ტარიო.
დაგზავნეს ყარაულები -
ჩათმას ჩოგიველეთ თოლიო,
ჩათმაჩი ჩამამდგარიყო
თორმეტი ფარა ცხორიო.
გასუქდი, ნაშიშაქვარო,
დიდი აიღე დოლიო,
საწყლებსა წოვათ წყემსებსა
საწყინოს ეტყვის მჭარიო.
უჯავრდებიან წყემსებსა,
ოვრებო, გახკარით ჩქამია,
არც ჩვენ მოგგორეთ საოცი,
არც თქვენ გეტკივნათ თავია.
შაიქნა შუადამის დრო,
მირგველივ დაბნელდა ცანია,
ორპირად გადმაიშალა
ჭარი და ბელაქანია,
გივარგიმ უთხრა გიგასა:
- ძმაო, გარეკეს ცხორია,
გადაუფრინდა გიგაი,
ტყვიამ არ მისცა ხანია,
ახლა გივარგი გადახტა,
წინ გაიძღოლა ვმალაია,
შამახყვა შუას ჩათმამდი,
გაანახევრა ჯარია.
თითო შასწირა წყემსებსა,
აბრუნებინეთ ცხორია,
ჩვენს ჩვენს საქონელზე ვილევით,
ეს რა წყემსების ბრალია,
წყემსი მაკვდეს ცხვრის პატრონთან,
ეგ უფრო სამართალია,
გადაჩნდა შირაქის ყელჩი
გიგაის ყელშავი ვაცია.
გივარგიმ დახკრა ყირმული,
ვაცმა წახყუდა რქანია,
სად მუუძღვები, ტიალო,

ჩემი გაზდილი ხარია.
ყორანმა ყორანს შაშხხავლა
მალლა შირაქის ყელჩია:
ავდგეთ და თავქვე წავიდეთ
ნელ-ნელა შავძრათ მკარია,
გიგაი სადღაც მოუკლავ
დგას დიდი ცოდვა-ბრაღია.
უსხდანან ლეკის ქალები,
ტირიან, როგორც დანია,
სადა გაზრდილხარ, ვაშკაცო,
სადა გყავ დედ-მამანია...
ამა ლექსისა მათქომი
აღვანჩი თუშის ქალია,
გულდაჩეგრული დავდივარ,
შარშა მამიკლეს ქმარია.
სალექსო მატყლი მეკუთვნის,
უქმად მიგდია ტარია,
ფეჭიშველავი მყავ ბაღლები,
შემეეცორცა ტანია.

მამუბაის ლექსი

ზაითით იწერებიან,
ეფხვი დაზეზდა კლდისაო,
არავინ დაგაზიანასთ,
არვინ გაგხიასთ მწკლითაო.
საძელეზედა შამაჰდა
მინინო კივილითაო,
ჩრდილოეთისკენ ლამინობს,
გაეღა სწადიან გზისაო.
გადასვლა ურჯულოჩიგა,
გაცნობა ზილიფხნისაო,
ჩამოდის, ჩამობინობს
ლაღი არწივი მთისაო.
თან მაზდევს ნისლის კოტორი,
შავი ღრუბლები ზღვისაო,
ომია ბაღთის ჭაღაჩი,

თოფის ვმა მაისმისაო.
მარტოს დეეცა მამუკას
ჯარები ყაზახისაო,
ნაბადი გვერდზე მაიგდა,
ფერი დაიდვა მგლისაო.
მიფანტ-მაფანტა ყაზახნი,
როგორც ფარები ცხვრისაო,
ხანჯალს ემადრიალება,
გულს მასასვენად შჭრისაო,
საით წაუა ჯარებსა,
თოფი შჭექს ბერდენკისაო,
ცხრა ტყვია შჭირდა მამუკას,
ეფხვი დეეცა ძირსაო.
ატირდეს ქიშტის ქალები,
ცრემლით იბანენ პირსაო,
საით მახოლი, ვაშკაცო,
შე მგზავრო შავეთისაო.
ბრალია შენი სიკვდილი,
მიწა გიშლიდეს პირსაო...
მაგა ლექსისა მათქომო
ბალთას შეშასა შჭრისაო,
მე თითონ ვნახე ამბოვი,
ნუ გეგონებათ ცხრისაო.
ლექსო, ნუ დეეკარგები
ნათელაის შვილიშვილსაო.

ადემი

ვისა გინახავთ ადემი
აღმოსავლისა თავჩია,
თურმე მზეც არის, მთორეცა,
მარსკვლევეებიცა ცაჩია.
მივდივარ სანანიებლად
წმინდა ადემის ბაღჩია,
ბზანდება წმინდა ადემი,
ანგელოზნი ხყავ გვერდჩია.
ჩავეს ჩავითვლი ხახილთა

ჩამწკრინებულთა რიგნია,
ბეწვისა ჳიდი ყოფილა
შავეთის მისავალჩია.
ბეწვის ჳიდი გაუღვია,
ვერვინ მაზომავს თოლჩია,
აღალ-მართალნი გაღიან,
ბინავდებიან ბაღჩია.
არამნი თურმე ცვივიან,
იღუპებიან ტბაჩია.

აჲი პატარძალი

გენაცვალეთ, მასკელეებო,
მაწმენდილო ცაო,
ყური დამიგდეთ, ბაღღებო,
ლექსი უნდა ვთქვაო.
მე რო რძალი მოვიყვანე,
ღმერთი გამიწყრაო,
იმის წაყვან-მაყვანაზე
ცხენიც მამიკვდაო...
სამი სარტყელი უყიდე,
გადაგაგრიხე წნელიო,
სამივ ერთურთზე გავამაბი,
ვერ გაუმაგრე წელიო.
სამი ბოჭკაი ერბო მქონდა,
სამივე ოქროს ფერიო,
სამივე ვერე შაჭამა,
ძირზე მოუსო ჳელიო.
სამი რძალი მიმინაქმა,
მეოთხე დედამთილიო,
ეხლა მე გედემეკიდა,
შენ დამრჩი დაუზელიო.

ფშავენი ვაშაკაცი კვდებოდა

ფშავენი ვაშაკაცი კვდებოდა,
მზე მიიმედ ეფარებოდა,
კარგისა ყმისა სიკვდილზე
მთორე შავებნი ჯდებოდა.
ქორ-შავარდენი, არწივი
სატირლად ემზადებოდა,
ბენავი იმისი დედა,
თავზე თმა აღარ რჩებოდა.



„მოყმემ თქვა, პირში შეველამა...“

საწყალი იმისი ცოლი
ლენაქებს შავად ღებავდა,
ოჯერი იმისი ცხენი,
ლურჯაი ტოტებზე დგებოდა.
ფშაური ქალი და რძალი
თმაგაშლით ატირდებოდა.
შენ არ იცოდი, ვაშკაცო,
ქრუეი არ დაგიდგებოდა,
ქალაი ცხოს ქმარს შაირთავს,
ბადალი ჩაგიდგებოდა.

ლექსი მუშის ღრის პატიმარზე

ვაი, რა გემრიელია
კარაქი და რძეო,
დასხდებიან პროკლოები
ტიალს რაზბორზეო.
ადეგით, რაზბონიკებო
დანაშაულზეო,
რაც საქმეები ჩაიღინეთ,
გათხტით იმაზეო.
ჩაუყარეს ბორკილები
რუსის კანონზეო,
განაჩენი წაუკითხეს
სასამართლოზეო.
სიკვდილი გადაუწვევტეს
ცუდუბრალოზეო,
იმათ დედები ტირიან
ციხის კარებზეო.
ნაჩაღნიკს ეხვეწებიან, -
შვილი გონვენეო,
არა, ქალო, არ იქნება,
ჯერ მათმინეო.
ხვალ დასახრჩობლად გავიყვან,
ბაზარჩი ნახეო,
ნაჩაღნიკო, რაი მითხარ,
ვაი, ვაგლახ მეო.

ლექსი ნონაზე

გამაჯეჯილდი, ბალახო,
გამაფათვლდი, ტყეო,
ნინაი ვარ აბდარაშვილი
დედისერთაი მეო.
მარჯეკლები მამივიდეს
და დავინიშნეო,
დედ-მამათა მორჩილი ვარ,
ვერ უღალატეო.
მეორე დილა გათენდა,
წყაროზე წავეო,
გაჯავრებული სანდრიაი
გზახი დამხვდა მეო,
აი, შენ გველის წიწილავ,
ვიზე გამცვალეო,
ჩემი ცხოვრება მთლიანად
შენზე წავაგეო,
ჩემი ეს ახალგაზრდობა
შენ მაგამდომეო...
თოფი ჩქარე მაიმარჯო, -
გაგამწარე მეო,
ერთი ტყვია მამაკერა
მარცხნივ ძუძუზეო.

მზემ გადაიკრა პირბადე

მზემ გადაიკრა პირბადე,
მთორემ დამჭუხა თოლია,
ზეცას დასტირის მასკეღვევი,
დაბლა ჩამოდის ნამია.
მთელი ქვეყანა აბუნტდა,
შაიძრა მთა და ბარია,
გერმანიია ომობდა,
თურქმა შახყარა ჯარია.
ანგლიელებსაც მისწერეს:
ჩვენ დოგიჭირეთ მჯარია,

რუსის ჳემწიფეს ვეომნეთ,
დღე დაუყენათ შავია.
წავართოთ ადგილ-მამული,
ზურგზე ავაძროთ ტყავია.
ეს რო ჳემწიფემ გაიგა,
წელს შამაირტყა ჳმალთა,
სულ გაწყდით, არ დადმორჩილდეთ,
არ შაირცხეინათ თავთა.
ყველგა შახყარა ჳარები,
არა აქე სათოლაეთა.
გაგზავნა გრანიცებზედა,
ყველგა შაუკრა გზანთა,
თოფ-ზარბახნები გრიალებს,
დაგლიჯა მთა და ბართა.
თოფი შჭექს, ჳმალთ ბრიალებს,
ტყეთას არა აქე ჩქამთა,
ბევრთ ვაჟთ ბრიალებს
ცხელთ ტყეთისგან მთგრალთა.
იბახთ შაწუხებულთ:
დამალეეთ ვყალთა.
ბევრს აუტირდა დედთა,
ბევრმა იგლიჯა თმანთა,
ბევრს ცოლთ გაუთხოვდებთ,
ბევრმა შაიკრა თავთა,
ბევრს საყორელი მოუკლეს,
ზოგმა თქო, არაფერთა.

ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა
ქელი მაღალი ტყიანთ,
ვერც მაკლა ჳარი, ვერც ფური,
ვერცთ ირემთ რქიანთ.
ნახტომსა შველსა ფერდსა ხერთა
ისართ ორბთ ფრთიანთ,
დახკიდა ცხენთ კახხასთ
ტყავგაუჭდელი, რქიანთ.

ჩამაჰდა მუხის ძირჩივა
ცეცხლი დაანთა ძრიალი,
დაჯდა, დათალა შამფურნი,
მწოდი ააგა მცვრიანი.
სალამ მწოდი შხიტინებდა,
ლურჯას მისცა საძოვარი,
ლურჯამ კაცი დაინახა
შორის გზითა მამაგალი.
შახტა ცხენი, შაშვიკვინა,
ისა კაცი მაშინ ავი.
მეჯინიფეს დაუძახა:
ლურჯაი მამგორე ჩქარადა!
ცხენს კოხტად მაინავარდა,
ზედ წამააჯდა მარდადა,
მიწრონი გაარბენინა,
მინდორი უფრო ჩქარადა.
უკენ იხედა, მიზღვედეს
ის ურჯულონი ჯარადა,
ასი ხერა და ასი მაკლა,
ერთი გადურჩა შავადა.
ერთი იმასაც ესროლა,
სისხლი წავიდა ღვარადა,
ჩამაჯდა მუხის ძირასა,
ტოტი იწოდა ფარადა.
ეს დედაჩემსა მიმირთვით,
ველარ მაგივალ ჩქარადა.
გიქორდა, თეთრი მანდილი
შაიღებოდე შავადა.
ეს ჩემი ქამარ-ხანჯალი
მდღელს მიე საწირავადა.
ის ქალი ისითს კაცს მიეც,
მე მჯობდეს თოლად, ტანადა,
ის ჩემი ციხე-ქალაქი
თან გაატანე მზითვადა.

ლექსი მცხორეებს

შე ბნელო, ყიზლარის ციხევე,
შუქი არ გადგას მზისაო,
როტომ არ უთხარ კიკოსა,
ხუციანთ ქალიშვილსაო.
ზღვის პირს დაღმართე ქოხ-ბინა,
წინ ფარა გიდგას ცხერისაო,
სად ღვზავნი ბიძა-ძმისწულთა,
ვაშკაცო დიდის ჭკვისაო.
ვერ ხედავ, მიზღვეს სიკვდილი
ამრევი მაგათ გზისაო,
გამაიმართნეს იმ დროსა,
უცხო ნიავე ხქრისაო.
მიაწყდეს იმ დიდს მორვესა,
ტალღამ დაურჩო ძირსაო,
დაიძრა მიწა ცოდვითა,
მასკელევი დაკრთა ცისაო.
მზემ გადიხურა პირბადე,
თევზი მოვარდა ზღვისაო,
ჩქარ წადი, შაო მერცხალო,
შახყევ არაგვის პირსაო.
სოფლად უამბე კარკუნას,
აქ რაიც საქმე ჭირსაო,
გაიგეთ, მარსაგიანნო,
დაქცევა თქვენის მთისაო?
გიამბობთ კიკოს ამბოვსა,
წყრომა მიუჭდა ხთისაო,
ოროლი კუბო მაგივათ,
ნუ გეგონებათ ცხვისაო.
შიგ წვანან ბიძა-ძმისწულნი,
ნუ იტყვით უფლის ძვირსაო,
ეწერა, ზღვაჩი ჩაცვივდეს,
კაცისგან არა შჭირს რაო.
იმ დროს მივიდეს გოროდჩი,
სადამოს უამის პირსაო,
მაში მიღმართეს მოყმესა,
ვინ იყო ჩვენის მჭრისაო.
დაუკრეს დუხოი მუზიკა,
სამგლოვიარო მკედრისაო,
მადლობა უთხრა კიკომა,
თავი დახარა ძირსაო.



კასპისპირეთისკენ

ლექსი ბოტოლეთ სეზაზე

გამართეს ბრძოლა დევ-გმირთა,
იტყვიან სიტყოს მისანსა,
გაჭურდეს ომი, ლახტით ვსცათ,
ვინ დახკრავს მაგრა ისარსა.
ზაითით მოდის ივასებ,
რომ შადგავ მასკვლევეს ცისასა,
რაც რომ თავს გადახვდებოდა,
იმ ღამეს დნახავს სიზმარსა.
სალამდე ვიყავ, ვცდილობდი,
საქმეს ვიდებდი ცხვისასა,
დაბრუნდა ჩალხი უკუდმა,
ტალღას შამახკრავს ზღვისასა.
წამოვე შეებნელს ღამესა,
გზაზე ვერ ვარჩევ ნიშანსა,
აქ დამხვდა ჩემი მწერელი,
ნაპირს ჩამაგდა კლდისასა.
მაშინ დამჭირდა პატრონი,
ნახვას ველოდი ძმისასა,
ესლა მივდივარ შევეთსა,
ფოდრონს ავიღებ გზისასა.

შე შუადამის მასკვლეო,
ჩადი, უთხარი ცისკარსა,
შაატყობინე ჩემს ძმებსა,
ნუ დამზარდები ხთის მადლსა.
ჯიჯვნი თავპირჩი იცემენ,
ძირს ჩამახყრიან ქვიშასა,
გოტოლეთ ივასებასა
უთლიან კუბოს ფიცარსა.
ლარსით წამოვა გივარგი,
ჩქარ გამივლის ჯდის კარსა,
მაში გაიგებს ღათიკო
დაღუპვას თავის ძმისასა.
თოლთ ცრემლი გადმაზდიოდა,
ნაგლეჯს ბიდარაის მთისასა,
ატირდა ქალი და რძალი,
ნაწნავს იშლიან თმისასა.
მშვიდობით, ძმაო სებაო,
ერთგულად გვითმობ ხიზანსა,
დებო, ეგ თქვენი პასუხი
ჩქარა წავიდეს გზისასა,
ეკუთვნის, ხიზანს ვაჩუქებ
პაპა-ბიძასა ხთისასა.
თქვენც მალე შამატყობინებთ
პასუხს ყველაის მჭრისასა,
სამოთხის ბადის ამბოვსა,
ზარ ეკლესიის ჯმისასა.
რაც შაგაწყინეთ, შამინდეთ,
ლოცვას ნუ მაშლით ხთისასა.
ღმერთმა ნუღარვის გაღირსასთ
ჩემსვით სიბნელეს მზისასა.

ლექსი ნიკალაზე

შამოვხევე ალაზნის პირსა,
სოფლებს გადვაველე თოლია,
ყველგა გავიგე ამბოვი,
საცა დგას ცოდვა-ბრალია.
ნიკალამ გოდერძიშვილმა
დაკეტა დუქნის კარია,
გასწერეს გერმანიაჩი
ყმა შურის მაძებარია.
პირდაპირ შტიკზე მივიდა,
წინ გაიძლოლა კმალია,
ჩაუდგა, ეგრე ჩათიბა,
როგორც მთიბელმა მთანია.
მაბრუნდა ნასახელევი,
შამაიმოკლა გზანია,
მარცხნი გადიგდა ნიკალამ
ტარსისხლიანი კმალია.
მიათვეს მასალოცავი,
რაც გულზე შეენის ჯორია,
ეფხვი ხარ მთიდან მასული,
სიმაგრით სპილოს ძოლია.
მაში გამადგა ნიკალაი,
როტას გადაეღა თოლია,
მესამედ კიდავ წავალი,
თუ ხთისგა მექნა ძალია.
გადვიდა გოდერძიშვილი
ფეკმარდი, ნიაგ-ქარია,
ორპირად ცეპზე დაუდგა
ეს გერმანიის ჯარია,
რა ვაშკაცურად დახკივლა,
თითქო დაიძრა მთანია,
მაში დოგიკრეს ნიკალას,
დახვიეს თოფის ალია,
შინ მივა მახარობელი,
წმინდის გივარგის ჯორია.
იქ დარჩა თქვენი ნიკალაი,
სადაც დგას სისხლის ტბანია,
თუ ნახა ცოლმა სიზმარი,
სათქმელად სიტყო მკრთალია.
ავსტრიის გრანიცაზედა

მოუკლავ ჩემი ქმარია,
მე ვერ გადუყრი ობლებსა,
ჩიეთ გაგაის ქალია.
ან როგორ გადავივიწყა
სახელოვანი მკვდარია,
ცის ერაპლანი მოვიდა,
ნაპოცს გადავლა თოლია.
იქ ნახეს გოდერძიშვილი,
უკუღმა ბრუნავს ქარია.
სად გაიზარდე, ვაშკაცო,
სადა გყავ დედ-მამანია,
ან როგორ დასთმე სამშობლო,
დიდი ყაზბეგის მთანია.



*უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მშობლები:
გიორგი შიოლაშვილი, ნატალია კობაიძე-შიოლაშვილი.*

ლექსი ნინიკოზე

შავად შაიკრა ღურბელი,
სეტყო მოვიდა ქვისაო,
მას მახყვა ქარი და წვიმა,
გამაგზავნილი ხთისაო.
შორად წასულა ნინიკო,
არვინ ხყავ თავის მჭრისაო,
დაგვიანდება წერილი,
გამავლა უნდა ზღვისაო.
შავად ნაწერი ქაღალდი
მაზღვედა თერგის პირსაო,
სოფლად თუ მივა გერგეტსა,
წმინდის სამების ძირსაო.
ეს წიგნი ნინიკოსია,
ნუ გეგონებათ ცხვისაო,
სამგლოვიარო სწერია,
მაკითხულობა ძმისაო.
მაში თქო ნიკოლოზამა,
წყრომა მამსველია ხთისაო,
ძმაო, ნინიკო, უშენოდ
ცქერა არ მინდა მზისაო.
ნურც დააჯანგებთ ჩემს ცეღსა,
თუ კიდავ კარგა შჭრისაო,
ჩათიბე, ცელო, ჩასტირე,
მალოდინი მაქვ ძმისაო.
ის ვეღარ მემეშველება,
შორსაა, გრანიცის პირსაო.
წყალათ რო საქმე მოგიჭდა,
სეტყო დოგვეცა ცისაო,
გადმოგვდიოდა ნაშალი,
ნამტვრევი ბასრის ქვისაო.
მოგვიკლა იაგორაი,
ბოძი წვეგვექცა ხისაო,
თავს დასტირიან სწორები,
არ უმტყუნებენ პირსაო.
გვერდს ვხყვანდით ამხანაგადა
აწკვეთ სვიმანაის შვილსაო,
ხატების მადლი გწყალობდესთ,
საბზანებელი ხთისაო.

ლექსი ყაზებზე სანდროზე

ადრეე გასეტყო მამული,
თავთავი დასცა ძირსაო,
მაში ბჭეს ბერმა კაცებმა,
წყრომა მოგვსვლია ხთისაო.
შავატყობინათ ბიბოსა,
ბიბო ყაზბეგიშვილსაო,
ძმისწული გედგეცვალა,
ანგელოზია ხთისაო.
ეგ რო გაიგა ბიბომა,
კმალი შაიმბა ფხისაო,
დახკივლა, ცხენი მამგორეთ,
რომენიც კარგა რბისაო.
წავიდეს, ცხენი მაღგორეს,
რომენიც უფრო ხქრისაო,
გავაზე კელი გადუსო,
ცხენი ტოტებზე სტისაო.
ეგრე მახვივის ქალაქი,
როგორც არწივი ცისაო.
იმ მთასაც შავად დავხურავ,
სულ ჩამავანგრეე ცასაო,
ქალაქელებს გადუძრახა,
პირი აცალეთ კმალსაო.
ადრე დაკეტეთ დუქნები,
სალამ სულია მზისაო,
თუ ეხლაც გამაბოროტეს,
მთელს ქალაქს დავსცემ ძირსაო.
ქალაქი კუბო შაუკრეს
სანდრო გენერლის შვილსაო,
სარქველიც ღია დაუგდეს,
შუქი რო ჩახყვეს მზისაო.
ცოცხალმა ერთგულთ აამა,
გული გახეთქა მტრისაო,
არც სწამდა გენერალობა,
არცა მედალი ჯვრისაო,
საწყალის კაცის მომკრეა,
სული უცხონდა მკდრისაო,
ეგრე შასძულდეს დიდკაცნი,
როგორც მეთოფე მგელსაო.
გამაასვენეს კნიაზი,

ანგელოზია ცისაო,
ათასი ჯარი გამახყვა,
სწორები ერთის ხნისაო
მაღალო ყაზბეგის მთაო,
გადამხედველო ჭდისაო,
თოვლიან-ყინულიანო,
გრილი ნიავი ხქრისაო.
მანდ ერთი წყარო გადმოდის,
ნაწკლეტი არის ზღვისაო.
სნოს ციხეც, კლდეზე დადგმულო,
ძველთა მამათა უმისაო,
ჩასძახე გორეულობით
შიოლაის შვილის შვილსაო.
გიკვდებათ თქვენი ილიკო,
ვაშკაცი დიდის ჭკვისაო,
ჩალხი უკუდმა დაბრუნდა,
მასკვლევი დაკრთა ცისაო.
ჩალხმა დოგიკრა ილიკოს
ფიცარი გულის პირსაო.
მოწმად შეესწრო სიკვდილი,
ამრევი მაგის გზისაო.
ატირდა გორეულობა,
მღუღარე ცრემლი ზდისაო,



აღ. ყაზბეგის ძველის გახსნაზე

ტირიან ქალი და რძალი
ძმები ივოცენ თავსაო.
შავად დაკმაზეს ცხენები,
ჩქარ გავლა გვინდა გზისაო,
გავიდეს იმ დროს ქალაქნი,
სადამოს უამის პირსაო.
მაში დაუკრეს მუზიკა
სამგლოვიარო მკვდრისაო.
ცხეთანი სვეტიცხოველი
ზედ დამხედველი მტკვრისაო.
მეგერგათ, შიოლაის ძენო,
სიკვდილი კარგის ყმისაო.
გაგზავნეთ შავის კუბოთა
სნოს ეკლესიის პირსაო.
ისმინეთ პარეკლისები
დიაკვნისა და მღვდლისაო.
ლექსო, ნუ დეეკარგები
თადილაის შვილისშვილსაო.

მამუკაის ლექსის მესამე ვარიანტი

გწყალობდესთ წმინდა გივარგი,
სახე მაგისი ჯორია,
მამუკამ ნახა სიზმარი,
ზილიფხას უყო თოლია.
ადგეს და გამაიმართნეს,
გადმაიარეს მთანია,
არხოტის გადმასავალნი
საწყინოს ეტყვის მჭარია.
თავს გადუარა ყორანმა,
მამუკაის ომის ხანია,
მამუკამ თოფი შასტყორცნა,
ყორანს შადგლიჯა მჭარია,
გაიყრებიან ჳდის კარნი,
შუაზე გაყვეს გზანია,
თავქვე დაბრუნდა მამუკაი,

დახვდა ყაზახის ჯარია,
სთხოვეს ბილეთი მამუკას,
გავიგათ შენი გორია,
რად გინდათ ჩემი ბილეთი,
რას ამიტყხეთ შარია.
თუ მე ყაჩაღი გონივართ,
სად მაქვს თოფი და ჯმალია,
თქვენც უნდა გებრალეობდესთ
შორს მიმავალი მგზავრია.
გამაიწერა პირჯორი,
ღმერთო, შენ დემეკმარია,
უწინ ის მამაკლევეინე,
რომნისაც იყოს ბრალია.
გახკრა მამუკამ, გაუსო
გროვად დაყარა მკვდარია,
ეხლა მამკალით, რუსებო,
არ გავიყვალეთ ჯავრია.
შავეთს უზიდეთ მამუკას
სულ გაუწყვეტილი წყალია,
მაშინის უთხრა მუკლებსა:
ეხლა გაქცევის ხანია.
გავარდა ბიჭი მამუკაი,
წავიდა ვეფხვი, ჯარია,
რვა ტყვია დახკრეს მამუკას,
ვერვინ უჭირა მჯარია.
ზალპით ესვრიან თოფებსა,
დაიძრა მთა და ბარია,
წავა ჯემსურეთს ამბოვი,
თუ ხყავ მამუკას ძმანია...
იკითხავთ, ლექსის მათქომი
ღუღუშაური ვარია,
დილით გამოდის გზაზედა,
ჯეღნი უჭირავ ბარია,
აღალ-მართალი კაცი ვარ,
სიტყონი მიყორს სწორია.

თორღაის ქალი

ჩილოს ატირდა წვისქვილნი
ნანა თორღაის ქალია,
შამიერეს ამასავალნი
ლეკთა წვისქვილის კარია.
გადამავლიეს ფეკშიშველს
თვირთვილიანი მთანია,
დავფანტენ დილ-დვინჭილანი,
იმით ჩავნიშნე გზანია.
შენ, მამაჩემო თორღაო,
თუშო, ნუ გერთყას კმალია,
წამამიყვანეს ლეკებმა,
ვერ გეჩვენები მკვდარია.
ნუმც გივოციან ლეკები,
ნუმც გირთმევი ტყვენია,
ჩემს პატრონს ხირჩლას უთხარით,
ნულარ გონივარ შენია.
თუ ბარად ვერ ჩამახოლოთ,
მთას გადუსხლიტეთ ცხორია.

როცა მანგლისი აშენდა

როცა მანგლისი აშენდა,
წყარო მოუგდეს მილითა,
დამართეს სასახლეები,
თეთრად შალესეს კირითა.
შიგ დასვეს ქალი ღამაზი,
კვლპირს იღებავს ინითა,
თრიალეთს ერთი მეცხორე
ყველს უზიდავდა პინითა.
ეგრე დგონია მეცხორეს,
ქალთან გაუძღები ძილითა,
ქალმა შასწყია მეცხორეს
თავის ცხვრითა და ბინითა:
მარიანობის მარხვაჩი
ცხორიმც გელევა ჭირითა!
ახლა მეცხორემ შასწყევლა

თავის ცოდვილის პირითა:
თავზე თმა აღარ შაგრჩება,
ნულარ დაიბან დილითა,
მამრ გაგიტაცან ლეკებმა
თოლუჩინარის ჭირითა,
გადაგავლიან ცხრა მთანი,
დღენი განახვან ჭირისა,
ათი თვემც გამარხულებენ,
მზეს ნულარ ღნახავ დილითა,
სიცოცხლეს სიკვდილს არჩევდე,
ველარ გელირსას ისიცა.
გზათაკე თოლნი გეჭირას,
გულიმც გევესება ჭირითა,
სულამც გაგიწყდეს მამულნი,
კლიტე დაგქონდეს ჯიბითა.
მამქებნიმც აღარ გექნება,
სულ ჩაგლევიან ჭირითა,
მოდოდენ მეცხორები,
ფული მახქონდეს ჯიბითა.
დაგისხნან, წამაგიყვანონ,
გული შაშჭამა კბილითა.

ლექსი მინელაზე

ამბობენ სტეფანწმინდასა,
სოფელი არის გზისაო,
აქებენ ახალგაზდანი
ეფხვეთ ვასკაის შეილსაო.
ტანი მიუგავ ლერწამსა,
ბეჭნი წინანდელს გმირსაო,
ეცდება სტრაჟნიკობასა
შიში აქვ ჭემწიფისაო.
ეგეთს ალაგას გაგზავნეს,
სადაც შიშია მტრისაო,
შამზადებულა ლაშქარი -
ურჯულო დაღესტნისაო.
ორშაბათი რო დაღამდა,

რა ცოდვა-ბრალი ხვდებო,
შაიკრა შავი ღრუბელი,
სეტყო დაყარა ცისაო,
შოგიტყობინეთ მიხელას,
ეხლაა მაგის ცდისაო.
ცხენს შაჯდა ბიჭი მიხელაი,
გულს უთხრა საომარიო,
ერთი შამახკრა ლურჯასა,
ცხენმა მაიმბა ფრთანო.
ლურჯაი გახუვის ლეკებნი,
მუკლჩი ხქონია ქარიო.
უმცროსს დასცქირა მიხელამ,
პირჩიგათ სისხლი ზდისაო,
მეორემ ამაიკვნესა,
ორნივ დოგოწყვეს ძირსაო.
გვიშველე, მოკვეის ბიჭო,
მზე დოგიბნელეს ცისაო,
ეს რო მიხელამ გაიგა,
პირჩიგათ ცეცხლებს ხყრისაო.
გადმაიბრუნა ბიბოთი,
ნაჩუქვარია ძმისაო,
ოთხი ესროლა მიხელამ,
ოთხნივ დააწყო ძირსაო.
გუბერნატორმა გახედა,
სიცილი მაზდის პირსაო,
აცალეთ, ძაღლო თათრებო,
ვაუაი მოვარდა მთისაო.
მისცემენ მედლის ზაკაზსა,
მიხელას მოუცდესაო,
გივარგის მაზდის წერილი,
სახელი თავის ძმისაო.
ყველას სიმართლე უამბე,
ნუ გამიმტყუნებ პირსაო,
მიხელავ, შენსათანასა
დედა ვერ გაზდის შვილსაო.
ამა ლექსისა მათქომი
გველეთს კიდის თავ ზისაო,
ცელი შუაზე გაუთხტა,
დაჯდა და ლექსებს სთვლისაო,
ნუ შჯავრობთ, ამხანაგებო,
ლექსი ვთქვი ვაშკაცისაო.

ლექსი ვანიაზე

ვადიდათ წმინდა სამება,
სოფელი უდგას ძირსაო,
მიდიან, სკითხვენ ვანიას,
ვინც არის მაგის ხნისაო.
ვანიავე, ქალაქს მიზდისარ,
დამჭერი გვეყვანდი მჭრისაო,
გიყორდა სახლჩი სტუმარი,
ბალითით მავლა მტრისაო.
წადი, მშვიდობით იარე,
ყველგა გამტანო გზისაო.
გამაიმართა ზაითკე,
ამასვლა იქნა მზისაო,
თან გამარეკა ქალ-ბაღლნი,
სწავლანი მისვლა მისაო.
ისწავლეთ, ჩემო შვილებო,
რო მახკლათ გული მტრისაო,
გაუხარდება დედას თქვენს
დიდის სამოთხის პირსაო.
თან გახყვა წმინდა სამება,
გადავლა უნდა მთისაო,
გავიდეს ნახალონკაზე,
ახსენეს ბედი ხთისაო.
მალე დამართა სახლ-კარი
აგურისა და ქვისაო,
დაკრასკა კარ-აკოშკაი,
პოლები წიფლის ხისაო.
მიდიან, სახლკარს ულოცვენ
აწკვეთ ბიჭიას შვილსაო,
ვანიავე, გულად მამაცო,
სწავლა არ გინდა ცხვისაო.
ღმუშაობ მკლავწაკეცილი,
ვაშკაცო დიდის ჭკვისაო,
უშველას მაღალმა ღმერთმა
შენს დამრჩოს შვილიშვილსაო.
მადლობა უთხრა ვანიამ,
თავი დაუკრა ძირსაო,
ემაგ ლექსისა მათქომი
თვის მუშაი იყო გზისაო,
შენც იმუშავე ჩემთანა

ყმაწვილო ცოტა ხნისაო.
თუ გახსონს, რო დეგეძინა
ლარსის სტანციის პირსაო.
შინაურს ბალიშივითა
ბარი დეგეგა ძირსაო.
ვიფიქრე, არ გავადვიძებ,
არ გაუმწარებ ძილსაო.
მაგრამ ადგომა წესია,
კანონი იყო ცხვისაო,
შენ დამიტირე, ვანიავ,
ნუ დამიწყევლი პირსაო.
დავბერდი, ყურებს მამაკლდა,
ჯავრი აღარ მაქვს ცხვისაო,
დამრჩოს ვემღური საწყალი,
გული ახარეს მტრისაო.

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
სიცოცხლე, ჩემი ყმა ხარო,
დაგაწვენ გვერდზე, გაკვნესებ,
გაგივლი, ჩემი გზა ხარო.
ახლა სიცოცხლემ სიკვდილსა:
თავი არ მაგცა მუდარა,
ვერ შამაშინებ, სიკვდილო,
რო მეცოს ტანზე სუდარა.
სიკვდილმ თქო, ზღვიდან გამოვე,
ზღვა ჩქეფით გამოვიარე,
ეგრე გადავკვე ღობეზე,
კენჭი არ გავახრიალე.
ეგრე გაუვედ სოფელსა
ძაღლი არ ავაკმიაწე,
წინ დამხვდა ერთი ობოლი,
ის იყო დედის ერთაო.



ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოდან

მითხრა, მე მამკალ, სიკვდილო,
ობლობა მემეწყინაო.
შენ როგორ მაგკლავ, ობოლო,
შენი დამტირე ვინაო.
არცა გაქვ სანთელ-საკმელი,
არც სუდარაი შინაო.
ცხრა ძმანი გადიდებულან,
მინდა ჩაუდგე წინაო.
ცხრანივ თავთავად გავხყარნა,
თავთავად მივსცა ბინაო.

დათვმა თქო

დათვმა თქო, გადავიყარე
მშვიდობიანი ზამთარი,
დავსახლდი ყორის ჭალაჩი,
გარს შამავივლე სანგალი.
მე კაცი ვერას დამაკლებს,
თუნდა დემეცას ლაშქარი,
გავხედე, შამადიოდეს
ეგ კარკუჩელნი ვაჟანი.

უწინ მოვიდა ღერენაი,
დამიწყა გულმა კანკალი.
წავწევ და მკლავი უშინჯე,
ღონე ხქონია საწყალი,
იმას რა მამაგონებდა
თუ ბატარაიც მანდ არი.
შამკდარა მაღალს ხეზედა,
კვებს უჭერია ხანჯალი,
თოლები დაუჭყერია,
გადმაფრენაზე მზას არი.
გარეკეს ჩემი შვილები,
მეც უკენ გავხყევ საწყალი,
შამოვიარე კარკუნა,
კაცი ვერ ვნახე მართალი.
მე ვსკითხე დედაკაცებსა:
ბატარაის სახლი სად არი?
სულ ძირით გადმოუთხარე
ძველი, ახალი მამკედარი.

აბუნტდეს ჩაჩანელები

აბუნტდეს ჩაჩანელები,
კემწიფეს მისცეს ზიანი,
სამჯერ გატეხეს ხაზინაი,
ფული წაიდეს ჯვრიანი.
მოუკლეს ბალთას ემშიკი, -
ფოშტალიონი ჭკვიანი,
გაიგა რუსის კემწიფემ,
კმალი შაიმბა ფხიანი.
სუნჯით ახყარეს ქიშტები,
ადგილი დარჩა ტიალი,
იქ მოკვევები ჩაგზავნეს
საქონლიანი, ცხვრიანი.
ყველ ღამე ხყარაულობენ,
ადგილი არის მტრიანი,
სულ კრუგომ უნდა სიმთხილე,
გარეშემო აქვთ ტყიანი.

გივარგი ხყარაულობდა
გულლომი, დავლათიანი,
შაიქნა შუადამის დრო,
ეოცა ფეჯის შრიალი.
გაუდეს ბაკის კარები,
კარი მიხყვანდა რქიანი,
აცა, რჯულძადლო ქიშტებო,
ნუ გონავთ დუნაი ტიალი.
არ გიგიგიათ, წყეულნო,
ჩემის ბიბოთის დგრიალი.
ჩვენ შენი თოფი რას გვიზამს,
ჩვენც გორტყამს კმალი ფხიანი.
იუკადრისა გივარგიმ,
განა ქალაი ვარ თმიანი,
ბიბოთსა გილძი დაადვა,
წამალი აყრაუ ძრიალი.
გამოუსხლიტა გივარგიმ,
კოსრო გაღგლიჯა თმიანი,
გექცნეს ამხანიგები,
მკვდარი იქ დარჩა ტიალი.
იმ დამეს ეგდა მარტუაი
ჩალიანი და მტვრიანი,
გათენდა მეორე დილა,
მზე მოვა სიბინიანი.
ნასრიით მოდის მდევარი,
ვაშკაცი ცხენოსნიანი.
თან მაზდევს იმისი დედა,
თმათეთრი, ჭადარიანი.
წამახვე დაკვეხებული,
შვილო, სად დარჩი ტიალი,
ქიშტების ზაკონს სწყევლიდა
სევდიანი და ჭკვიანი.
თქვენი გზა მუდამ ეგ არის -
ქურდობა ხიფათიანი,
არცა სამოთხე გერგებათ,
არც ჯოჯოხეთი მზიანი.

ჩოროსხი ჯიკვნი ჩამადგეს

ჩოროსხი ჯიკვნი ჩამადგეს,
რო დაიხარა ნაგრილი,
შეექანება ვანკაი,
თუში, ტანმოკლედ გაზდილი.
თან გააყვალეს დათიკო,
ქავთარეთ ბადაის ყმაწვილი,
კელჩი აქვ რუსული თოფი,
გილძი ხქონია ნამდვილი.
შიგ ჩაუყრია მარცოლი,
საფანტი წვრილად დაჭრილი,
დათიკომა და ვანკამა
ორთავ შაუკრეს ნაპირი.
ზაითით თოფმა დახკივლა,
რქებზე დახყუდეს ნადირი,
სმატრიტელიც რომ გამარბის,
ეგ მამაძადლის გაზდილი.
ამოვალ, მე ჩამოვიტან,
შამატყობინეთ ნამდვილი,
აქითით დაგორებული
მაქანავს, როგორც მარჯილი.
ნუმც ჩამასულხარ, ნადირო,
დამამტვრევინეთ ცხვირ-პირი.

ჩამაბურულა ყირვანი

ჩამაბურულა ყირვანი,
მაგრა შაუკრავ შუბლია,
ცა ღრუბლით მაიბურება,
დაბლა დაყარა ნამია.
ნისლი სნოს წყლისკენ წამოვა,
მამჭდარა ცოდვა-ბრალია,
მაღლა გაყინა ფრინველი,
დაბლა დაყარა მკვდარია,
სნოსაკე მიდის მამწყენი,
ვაი, რა ცუდი უამია,

სივანჩიცი ირეკებოდა
სამგლოვიარო ზარია.
დაუგჩიგათა წამოვა
ტილიგრამაი ჩქარია,
შიგა ეწერა სიტყვები
გულშასაზარი, მწარია.
შამიტყობინეთ მეზობლებს,
ჩქარ ჩამამავლან თოლია.
დამტანჯა შავმა სიკვდილმა,
შავს მიწას მევეფარეო,
ჩემთვი იშურვა სიცოცხლე,
დღე დამაყენა მწარეო.
ლოდის ძირ დადონებული,
დედის ერთაი მკვდარიო.
დავაგდე ჩემი პატრონი,
სულ დღე და დამე ტირისო,
აღარ ვინა ხყავ დამკმარე,
არცვისგა შევლას ელისო.
მაგშორდი, წუთისოფელო,
ჩემო ძვირფასო მკვარეო,
უდროვოდ გემეგეთხოვე,
გულს მიწა დავიყარეო.
უცბად მამისპა სიცოცხლე,
სამზეოს გევეფარეო,
ადემის ბაღჩი დავსახლდი,
სამოთხე დავიმყარეო.
ველარცად ვნახე მზის შუქი,
ველარცად გავიპარეო,
სულ უკენ დამდევს სიკვდილი,
დავიწვი, დავიდაგეო.
ყველამ მითხარით შანდობა,
ვისაც მე შევენანეო.

ლექსი ბიზარბიუხე

არაგვი გარისხებულა,
თერგი ილესავს კბილსაო,
უნდა დავგლიჯა მთა-ბარი,
თუნდა დევეცა ძირსაო.
თუნდა დავგუბდე, დავყროლდე,
გველნი იბანდენ პირსაო,
გინდ ნისლს მახქონდეს ამბოვი,
სიკვდილი კარგის ყმისაო.
სამგლოვიარო ეწერას,
მე თავს მიხრიდეს ძირსაო,
მაგრამ ბრალია, გივარგო,
მამა გტყროდეს შვილსაო.
ბევრჯელ ჰქელთ იგდე ალაში
დადესტნის ლეკებისაო,
შენ კი ვედარვინ დაგწონა,
ვედარვინ დაგცა ძირსაო.
სულ ასახელენ მოჰვეენი
ჯიჰვნი მაგ სალი კლდისაო.
შაკრიფეს ახალგაზდები,
სწორები ერთის ხნისაო,
გივარგას ღუდუშაურსა
სიცილი მაზდის პირსაო.
სულ ირჩეოდა სწორებნი
როგორც ჰოვობი ტყისაო,
დედაი ომნი ვერ ხქჩერობს,
მამაიც უარს სთვლისაო.
ვაუას კი არ ეშინიან,
ზოზი არა აქვ მტრისაო,
შამაიკეცა კალთანი,
მადლი ახსენა ხთისაო.
ომნი გულდაგულ გადადის
ლალი არწივი მთისაო,
გემეერია ლეკებნი,
როგორც ფაცხვერი ტყისაო.
ჩქარვე იშიშვლა ფრანგული,
არც ის უმტყუნებს პირსაო,
როგორც ძმას, ეგრე უვლიდა,
ჩქარ-ჩქარ მოუღესს პირსაო.
წამოუქნია ნაიბსა,

ცხენ-კაცნი დასცა ძირსაო,
ლეკებს ალამი მასტაცა,
მასქრის გაზდილი მთისაო.
ცხენჭენობაჩი აქებენ,
ვერვინ დაადებს წუნსაო,
ამბოვი მიაქვ შამილთან,
ქება მაგ კარგის ყმისაო.
მაში ინატრა შამილმა
ძმად გაფიცება მისაო,
ნეტაი, ღუღუშაურო,
ყმა ვინ გქნა ჩემის მჭრისაო.
მიდიან, სახელს ულოცვენ
ღუღუშაურის შვილსაო,
თავითვე მაგათი გორი
მოსახელა მთისაო.

მინდორჩი ერთი კაცისა

მინდორჩი ერთი კაცისა
ცოტა რამ მტვერი შადგება,
ცხოგა რო ცხელი მზე იდგეს,
იქ ნიავლორი ასთხტება.
ან უნდა ხევანდეს ძმა ძმასა
ან კარგი შვილი მამასა
ან დისწულ-დედისძმეები
თითონ უჭნავდენ ყანასა.

თავფარავნელი ჭაბუკი

თავფარავნელი ჭაბუკი
ზღვას გაღმა ქალსა ხყობდა,
შუა ზღვა ხქონდა სავალი,
სიარულს არა ზარობდა.

კუბრივით შავსა ზღვანიგა
ცურვით თევზებსა ზდარობდა,
ქალი უნთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულკრული ბებერი
ჯავრობდა, ბობოქარობდა,
ქალსა ჩაუქრო სანთელი,
ეგ შენ დიდხანსა გყორობდა.
გზა ვერია ჭაბუკსა,
შუა ზღვა აბეზარობდა,
გათენდა მეორე დილა,
სოფელი რასმე ჩქამობდა,
დედისერთაის გულზედა
ისხდა ორბები, ხარობდა.

ზურაბაი

ზურაბს მაართვეს ყურძენი, -
სიძევ, შეექვ ხილსაო,
ზურაბს უშლიან ლოგინსა,
ტკბილს აძინებენ ძილსაო.
კმალ დასკრა ბარამ ბატონმა,
დასკართ კახპის შვილსაო,
თუშთ მაურავის ხანჯალი
კაცს ყველებურად შჭრისაო.
მუხრანით მოდის ტირილით
ძალი ზურაბის დისაო,
ვაიმე თუ დაგკრეს, ზურაბო,
კელი თუ გაადრეს გმირსაო.
ვინდა დარჩება, ობოლო,
გამჯავრებელი მტრისაო.
ელიმო, ლუხუმიშვილო,
ევხვი ხარ, ველის კანჯარი,
შენ მასკალ ერისთვიშვილი,
ზურაბს შენ მიეც ხანჯალი.
მასარობელი გავგზავნე
ფშავ-კემსურეთნი ჩაფარი,

ფშავ-კემსურეთის ქალებმა
ძილ დაიძინან მაგარი.
ზურაბის სიკვდილს ამბობენ,
ადარ მაგივათ ლაშქარი.
შავარტყათ ჩოლანაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
მიგრივ მოვხურათ ბატონსა
ზურაბის წამოსასხამი.



მოსევე მთხრობელი

პაპაის ლექსი

საწყლებსა თუშის წყემსებსა
საწყინოს ეტყვის მკარია,
არყიანაჩი დეეცნეს
ორ ბაღლსა თათრის ჯარია.
ორნივ დაკოცეს საწყლები,
ცოდვით აავსეს მთანია,
ქიზიყს წავიდა ამბოვი,
ილიკო ვისი არია.
ატირდა სოლომნის ცოლი -
ილიკო ჩემი არია,
ვაი თუ მაგკლეს ლეკებმა
თოლით ვერ გნახე მკვდარია.
მინდვრით მასულა ამბოვი,
გადმოუვლია მთანია,
საწყალსა ივასებასა
თავს დახურვია ცანია.
მინდვრისკენ გამგზავრებულსა
წინ დახვედრია მკვდარია,
მოდიან გორისციხითა
ტირილით მაგის დანია.
ლაზარეს შამიტყობინეთ,
აქ არ დამაგდას მკვდარია,
ქიშტი გიგოლაი საღლა გყავ,
ძმურად ეჭირა მკარია.
ან ბერ ბიძაი საღა გყავ,
ძმისწულს მათვლას თოლია,
გაიგა ბერმა ბიძამა,
მინდვრად დაბრუნდა ჳარია.
სწორზედვე მაკლა თათარი,
დაჰკუწა, როგორც მხალია,
გამოუგზავნა ვანოსა, -
შენი უმცროსიმც არია.
კარგა გასაჯე, რჯულძადლო,
აზიდვინოდე წყალია,
ნურას მიუყრი წყემსებსა,
მაგან აბრუნას ცხორია.

ლექსი ალოშკაზე

შორად გაეარდა ამბოვი,
ქება მაგ კაი ყმისაო,
ალვანჩი თუშის წყემსებსა
სანაქებოდ აქვს ისაო.
ეგეთ-ეგეთი ამბოვი
არ გადმასულა მთისაო.
იტყვიან სტეფანწმინდასა -
სოფელი არის გზისაო,
მაგათი ბერი კაცები
სუდნია ჳელმწიფისაო,
გამოვლენ ახალგაზდები,
ანგელოზნია ცისაო,
მაგათ უჭირავ სიმაგრე
ყუროისა და ჳდისაო,
ჩუმად იციან მდევარი,
წინაის დავლა მტრისაო.
ალოშკისთანა ვაჟასა
დედა ვერ გაზდის შვილსაო,
ალოშკამ დააყრევინა
ცხენები წყემსებისაო.
ერთი ესროლა ჳელზედით
შაამბა ბეჭის პირსაო,
მალ-მალე მაზდის ამბოვი
თავის დაჭრილის მტრისაო.
ჩამოდი, თოლი დაავლე,
რო ამბობ, არა შჭირს-რაო,
ეუბნებოდა დედაი:
შვილო, შენ მაგხვდა ჳკვისაო.
ნუ გეშინიან, დედაო,
დედავ ნუ ღბრალობ შვილსაო,
მე მიტომ წავე მდევარჩი,
აგრემ მოვასწრო ვისაო.
სოფელს ვაჭმია სახელი,
გული გაგხეთქა მტრისაო.

ლექსი ზირანზე

აჩხოტის მინდორს გაგხედე,
ფირან მათფრენს ცხენსაო,
გაგიდა სივანის ძირჩი,
საჯელოს უქნევს ჳელსაო.
შამიტყობინეთ სურხავსა,
სურხავს მაგ ეფხვის ფერსაო.
თან იარალი აისხას,
ხალათჩი გახყოფს ჳელსაო.
წიწიამ, ტანად დაბალმა,
ჩქარა შაკმაზა ცხენიო.
ჳმალი კი არ შარჩენია,
იბრუნებს შუბის წვერსაო.
ამოვან, დედისერთაი,
ჳმალზე იდებდა ჳელსაო.
თუ იქ ლეკები მოუშვით,
რასლა ვაკეთებთ ჳევსაო,
ქსნის ერთისთავიც ჳარსა ხერის,
ულვაშზე ისომს ჳელსაო,
სულ წინ მოვამტერევ ჳადასა,
მამრე გადავალ ჳევსაო.
ეგ ყანობელი ბიჭები
არ გონებებენ გზასაო,
ყანობჩი კურკუმულები
არ სწყვეტენ თოფის ჳმასაო.

ჯარჯი

ჯარჯი, ნუ დაზდევ ჳიჭვებსა,
ჯიჭვთა არ გიყონ ჳიანი,
არ დაიშალა ჳარჯიმა -
ჯიჭვ უნდა მოგკლა რქიანი.
გადაუშვირა ყირმული,
ყირმული სპილოს ძელიანი,
წინ ჳიჭვმა, უკენ ჳარჯიმა
კლდეს გადიტანეს სრიალი.

სულ დაბლა ჭაღას ჩავიდეს
ორხოს პერანგიანი.
ძაღლო, ჩადი და ჩახყეფე,
ყურშაო, პატრონისაო.
კლდეს ჰკიდავ შენი პატრონი
ქარქლაის პერანგითაო.
ნუ ეტყვი ჩემსა დედასა,
ჩემს კლდეზე გადავარდნასა,
დაიწყებს ხვევნა-გლეჯასა
მაიხვევს მეზობლობასა.

ღემსი ნანახი

ყარაჯაის ძევი ნანაო,
მაღლი გაგიწყრეს ხთისაო,
ბევრის დანდობა დახკარგე,
თავისისა და ცხვისაო.
დისწულზე შური იძიე,
ჯავრი შამჭამე მტრისაო,
აზდე და კარზე მამიჭე,
მზე დამიბნელე ცისაო.
მესროლე, მჭარი მამტეხე,
მხეველ ხარ ჩემი ძმისაო,
მანდით რო შემემექანე,
პირ მაიბრუნე მგლისაო,
კვლხი გეჭირა ხანჯალი,
პირი აქვ ალმასისაო.

თუშო, ნუ დაღვე ღვინოსა

თუშო, ნუ დაღვე ღვინოსა,
თორთ თავს მისცემ ძილსაო.
უდროოდ გამაგანქარებს
ბიბინი შენი ცხვრისაო.

ივასებ ხარანაულო,
ელვა დაგიდგა ცისაო,
გივარგი ეტყვის იოსებს -
იორს ჩაავლე თოლიო,
ტინკოსაც შავატყობინათ,
სამნივ, წავიდე ძმანიო.
იორზე ჩამამადგარიყვნეს,
ადაშნელები რვანიო...
თოფი დოგიკრეს ივასებს
ცხელი ტყვიითა მთვრალიო,
მჭრებნი ჩოთირობს ტყვიასა,
არ ჰქონებია ძალიო.
ვაი, დედას თქვენსა, თათრებო,
ცდის აღარ დამრჩა ხანიო,
სისხლით ვერ შავადებვინე
გადასავალი გზანიო.
კვდებოდა ივასებაი,
ძმისწულს ჩაუკრა თოლიო,
არცა მოგიკლან ცუდაი,
არც შავირცხვინათ გორიო.

საფშავლოს მეცხორეებსა
ღალატით გახყვა ჯვარია,
თრიალეთ მთაზე გარეკეს
ნაზარალევი ცხორია.
გასუქდი, ნაშიშაქვარო,
კარგი აილე დოლია,
შემოდგომისა ხანზედა
გადმოდგა ლეკის ჯარია.
სასმელად არ ეყოფოდა
ალაზანი და მტკვარია,
საჭმელად აღარ ეყოფა
მათურიშვილის ცხორია.
შუადამის დროს დეეცნეს,
ღურბლად მაშჩებდა ცანია,
ორთავ მათურიშვილებმა

ერთურთს უჭირეს მჯარია.
კაფეს და კაფეს ლეკები,
ურჯულო დაღესტანია,
წინ წადი, მახარობელო,
ღურჯავ, გასტეხე ხანია,
შაატყობინე გიგასა,
წაეიდა შენი ცხორია,
მახარობელი მიუხოლ,
თინავ, მაგიკლეს ქმარია.
გიგამ შაკმაზა ღურჯაი,
ქვეშ უქრის ნიაგ-ქარია,
ცხენო, გაიწი, ოკერო,
თუ გეტყვის ომის მჯარია.
საგანთენებლოდ მიმწიე,
სად მიდის ჩემი ცხორია,
ჯერ გათენება სად იყო,
ცასაც არ ექნა კარია.
შირაქის ველზე გამაჩნდა
გიგაის ვაცის რქანია.
სადლა მიხოლი, ოკერო,
სადლა მიგიდის ცხორია.



ნაპრაღის პირას

ჩექანა და ჩავიდა,
დაჭრა, დაყარა მკედარია,
მიკაფ-მაკაფა ლეკები,
შამაბრუნა ცხორია.
შვიდნი შასწირა გივარგის -
ძმავ, იყვნენ შენი ყმანია,
თითო წყემსებსაც შასწირა,
მაგათ აბრუნან ცხორია.
თითო ძაღლებსაც შასწირა,
სალაფად გისხან წყალია...
გამწარებულმა გიგამა
ხენი დაშჭედა კმალია,
მაში გიგაიც დაკაფეს,
როგორც ჭეკარა მხალია.
ესლ სადაც გინდა წაიდეთ
ეგ უპატრონო ცხორია...
ემაგის გამლექსებელი
ალვან ვარ თუშის ქალია,
უძმოდ გამზარდა დედამა,
მეც იქ მამიკლეს ქმარია.
კელი მიჭირავს ჭრელ წინდა,
ცრემლებს ვღვრი, როგორც წყალია,
სალექსოდ გამამიგზავნეთ
თითო შიშაქი ცხორია,
არ გაგითხოვდეთ, თუშებო,
არ გაგიცვალოთ მკედარია.

ირემბაი

ღმერთო, დღე მიეც კემსურებს,
თავქვე კევს უყონ ზიანი,
სნო-ახალციხე გალაშქრან,
კვეჩი გაიდან გრიალი.
ირემბაის სახლი გატეხან
თუნგიან-ვეშრაპიანი,
შიგათით გამაიყვანან
ქალი ლურჯპერანგიანი.
ანხოტის მინდორს დასწვდება
ირემბაის ცხენი მჭრიანი,

სულ წინ ესროლა იმედამ,
ქუდმა გადილა ბრიალი!
ხალისს ნუ გვიჭამ, ირემავ,
წამალს ეჭარბა ტიალი,
ახლა ირემამ ესროლა,
ყაწიმებს გაზდგა ჯღრიალი.
სანქაროდ გადმაფრინეს
ქალი ლურჯპერანგიანი,
ნეტარ სად მიგყავთ, ვაჟებო,
რა მყვანდა თქვენთან ზიარი.

ქოითით მზირი დაიძრა

ქოითით მზირი დაიძრა,
დახყვა ღალატის ჯარია,
ავდგეთ და ჰვესა მივიდეთ,
იქა ვქნათ საშოვარია.
პირველ მივიდეთ გერგეტსა,
გავტეხათ ბოსლის კარია,
შიგათით გამოვიყვანათ
ფირანთ აბაის ქალია.
ქალმა გაიგა, ატირდა:
შინ არა ჩემი ქმარია,
უკუ იხვიენა ძუძუნი,
მაგრა შაიკრა თმანია.
ქიშტო, ჩამოდი, ვერ გახოლ,
ღუღუშაური ვარია,
ღუღუშაურთა დავლათი
ღმერთისგან ნაბოძარია.
უშიშრად ჩაჭდა ჩარდახსა,
გერგეტს დაყარა ჰმანია,
გამოდით, გერგეტელებო,
ქალმა შაუკარ ჰელნია.
შაუმაგრებავ გერგეტი,
ხატი და ხატის კარია,
ამოუშვიან ციხენი,
შაუმბავ რკინის კარია.
ამა ლექსისა მათქომი

უშანა წყემსი ვარია,
დარეჯან, ერთი შარვალი,
თუ გიყორს შენი ქმარია.
ან შენი პაპა ფირანი,
ლეკების მეომარია.

დაიდრა დიდი სულთანი

დაიდრა დიდი სულთანი,
სულ შასძრა მთა და ბარია,
ჩამაჰდა რემის წყაროსა,
ჩამააბნელა გზანია.
მიდგა და მადგა კუთხეებში,
ადგილი სპოვა ბარია,
წყალნი გაწყვიტა სასმელად,
ბალახნი- საძოვარია.
თევზნი გაწყვიტა წყურვილმა,
ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია,
ეს დრო მახსენდა რუსუდანს,
გაწყრა ეს დედოფალია.
დაჯდა, დასწერა ქაღალდი
შვიდკეცი, შვიდი მკარია, -
ქუითთა ნეფეს მიართვით
სამნი სიტყონი ჩემნია,
ან თქვენ იყავით, მამანო,
ან ჩვენ შოგომბით კმალია.

დაიბადა თამარქალი

დაიბადა თამარქალი,
დედა ქართლისა მშობელი,
დავით სულთანის მეუღლე,
ეს არის მაგის სადარი.

დიდუბეჩი ჳორწილი აქვ,
სადაც რო საყდარი არი,
მაიწვია თავის ჳარი,
ნადიმობა გაუწია.
ორასიოდ ცხორი დაკლა,
ასიოდე ქორა ჳარი,
ჳრელი სიფრო გაუშალა,
იქნებოდა ასი მჳარი.
ქრუვს და ობოლს უწყალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი,
ისპანს აილა იჳარა,
ქაჯეთს დაადვა ბეგარა.
ზღვანი ჩაყვარე სამანი,
ჳმეღეთი ჩემკე მოვიგდე,
ქალმა ამ საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიდე.

ომია ყირვანწვერზედა

ომია ყირვანწვერზედა
გაუთენებლი დილითა,
შიგა ზის ნადიბაიძე,
შაღესილია რკინითა.
ზოგნი რო გაუწყვეტია,
ზოგნი წასულან ჳირითა,
ვინც რომ წასულან ჳირითა,
სისხლს ამახყრიან პირითა.
სანიბლებს გადაუძახეს:
მკვდარნი თქვენ ზიდეთ ვირითა...
მაღალის ქედზე ჩამარბის
კურკუმულთ ქალაის ქმარია,
ჩამაასვინეთ ქალებჩი,
ჩამაუწნოდეთ თმანია.

დაჭერილს ჩამაგაველევინ,
მისრიაშვილო კმიანო,
გეგონა, გამამიშობენ,
დამკითხვენ, გამამცდიანო.
ცოცხალ გმირო, ვაშკაცო,
სამარეს გაგითხრიანო,
შიგ ჩაწევ, ამიკენესე,
კარო მანძილავ, რქიანო.
თოფის ტყვიით დაგასრულებენ,
ზე მიწას მაგაყრიანო,
შასანდობარსაც დაღლევენ,
თასებსაც გამასცდიანო.

შაეშმაურის გორაო,
ნეტა დაგლევედეს წყალია,
ბევრ კა ვაჟ გაგისტუმრებავ,
ატირე ქალი - რძალია,
მკედრისაგან გამოთელილსა
გულზე ზძევს სისხლის ნამია.
სულეთს შავიდა ბეწიკა,
შააღა ციხის კარია,
სა გყავისთ უნაწილო,
აბა, სა გისხავთ ჯარია?
ყველაფერ უნდა გავიგა,
სულეთს რა სამართალია.
წამაეგება თომაი
თუ დისწულ-დედის ძმანია.
აბეჩავ, ბალიაურო,
არხოტის ფალავანია,
შუქი დაბნელდა მზისაი,
ჩაარჩდილოვნა მთანია.

შატილს შამაკდა კოკობი,
გულდიდად დაჯდა ჯარზედა,
გაიარ-გამაიარა
სახელ შეყრილმა მკარზედა.
შვიდნი გაზარდა შვილები
არწივის ნაბუდვარზედა,
შვიდთავ უყიდა თოფები,
შვიდთავ დახკიდა შკარზედა.
შვიდთავ უყიდა ცხენები,
დაკაზმა უზანგაზედა,
საფშავლოს გამაემგზავრა:
-შვილნო, მშვიდობა გზაზედა,
შინამც მშვიდობით ნუ მახოლოთ,
უსახელონი ცხოზედა.
აკად გოდების ციხეო,
მაგიდგეს თენებაზედა,
თუ თენებამდე ვერ გაზიდა,
ქვამც ნუ გედება ქვაზედა.
ქალაი გამაიყვანეს,
მოვალს, მატირის გზაზედა,
შამახვდა თხისტყავიანი,
ამბოვსა ხკითხავს ჭკოზედა:
სად მიგყავთ ქალაი ღამაზი,
ცრემლათ მააბნევს გზაზედა?..
შვიდ ქიშტმა, ერთმა ფშაველმა
კელი გაიკრა კმალზედა,
გაბრაზდა თხისტყავიანი,
თავებ დააჭრა წამზედა.
შვიდთავ ახყარა თოფები,
ქალას დახკიდა მკარზედა,
შინამდე მაგაცილებდი,
მოსისხარ მიზის გზაზედა,
ჩვენობას ნურას უამბობ,
ჩვენ ვიყოთ დამობაზედა.



*ფანშეტლების ერობა: მისა საბაური, მისა სამქანაშვილი,
გასო საბაური, კოტია სამქანაშვილი.*

სანათაი ორ, დედაო,
აფხუშაური ქალია,
აქა ვარ გამათხოვილი,
ბერიძე მყავდა ქმარია
შვიდნი გავზარდე შვილები,
თითო ლომისა ცალია,
შვიდნივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკლარია.
შვიდთავ გავთხარე სამარე,
შვიდთავ თავშესაფარია,
დავმარხე ღაშარის გორზე,
დახუვის მთა და ბარია.
გვერდით დაუმბი ხოდები,
დასტირის, როგორც ქალია,
თავით დაუშკვი დროშები,
დაუწკრიალებს ქარია.
მიდის და მოდის ცხორ-წყემსი,
მიხქროლ-მახქროლავს ქარია.

სუთშაბათ დაღამებამდე
ქალ დაჯდა, დაიბზარაო;
დამუაულების ენამა
სიცოცხლე გამიმწარაო.
გამაწირვინა ფანდური,
გულს სევდა შემეყარაო,
თებერვლის მბღავანივითა
რას დახოლ ღამე-ღამაო,
განა სულ თებერვალია,
დასვენდი, დაულალო.

ძილი ლექსებს არ მაშლის
ჭრელის გარმონის ურიალსა,
ჭიდის ყურს სეირნობასა,
ჩუსტისა ნალის ბრიალსა...
აიმ დიაცებს დავღნატრი,
რარიგ ბოროლად დიანო,
ვაუების წითელ ჩოხანი
ქალებთან ჩაწვებიანო...

ბერიძემ უთხრა წყემსებსა

ბერიძემ უთხრა წყემსებსა:
ცხორს მოგიწყურდა წყალია,
გავრეკათ ლეკის ადგილნი,
დავალევინათ წყალია.
გადაწყა ტყვია-წამალი,
თოფს დაუპირა ტალია,
გარეკეს ლეკის ადგილნი,
დავალევინეს წყალია.
ნაპირი შამაუბრუნა -
ცხორო, მაძოვე ხამია.

ორპირად გადმადიოდა
ურჯულო ლეკის ჯარია.
ბერიძის ამხანაგ არი
მაღალ გორაზე მდგარია,
აპირობს ჩამაშველებას,
არა აქვ ომის ხანია.
მაგას ნუ მახკლავთ, ლეკებო,
არ არის მაგის ბრალია,
არ დაიშაღეს ურჯულოთ,
აკუწეს, როგორც მხალია.
მაში გაჯავრდა ბერიძე,
ვაჟმა იჩინა თავია,
ბერიძის თოფი გაგარდა,
ტყვიავ, გამახარ ძოლია.
ოთხფეკი დარჩა ცხორჩიგა,
იმან ურჩია გზანია,
მირეკა ბაკის კარებზე,
ვეღარ გაულა კარია,
სამგლოვიარო ყმუვლით
ყურშამ დარეკა ზარია.

ყორანო, ჟავარიანო

- ყორანო, ჟავარიანო,
ცრემლით ავაგსე მთანია,
დავითი არცად არ ღნახე,
დავითი, ჩემი ქმარია?
- როგორ არ ვნახე დავითი,
თრიაღეთს ეგდა მკვდარია,
გზის ძირ მეეკლა ლეკებსა,
გზის თავ შეეგდა მკვდარია.
თავითი ეშჭვა ალაში,
უფრიაღებდა ქარია,
ჭველზე ლურჯაი უმბია,
ტიროდა, როგორც ქალია.
ეგ რო თითიკომ გაიგა,
ანაი თორღაის ქალია,

უკუ იხვივნა ძუძუნი,
მაგრა შაიკრა თმანია.
წავიდა მამისახლიცა
ქალს შამამარტყით კმალთა,
დავითი მაკლეს თათრებმა
უნდა ვიყარა ჯავრთა.
გადავიდა სათათრეთნი,
რიყედ დაყარა მკვდართა.

დილით მოვარდა კოცობი

დილით მოვარდა კოცობი,
დიდგულად დაჯდა ჯარზედა,
შვიდი წიწილა გაზარდა,
არწივის ნაბუდვარზედა.
შვიდთავ უყიდა თოფები,
შვიდთავ დახკიდა მჭარზედა,
შვიდთავ უყიდა ფრანგული,
შვიდთავ შაშვენის ტანზედა.
დედამ დაუცხო საგძარნი:
შვილო, მშვიდობა გზაზედა,
შინამც ნუ მახოლთ ცოცხლები,
უსახელონი ცხოზედა.
გატეხეს გოდერძის ციხე,
ყამარი მახყავ გზაზედა.
წინ შახვდა თხისტყავიანი,
ამბოვი ხკითხა ჭკოზედა:
- ეგ ქალაი საითით მაგყავთ?
ნატირალი ჩან თოლზედა.
- ეგ ქალაი გოდერძისაა,
უნდა დავისოთ ჯარზედა.
ამისი საქმროც აქა გყოვ,
გაზდილი ლერწამ ტანზედა.
- თუ ეგ ქალაი გაგატანეთ,
წვერნი არ მესხას ყბაზედა!..
შვიდ ქიშტმა, მერვე მოკვეემ
კელი გაიკრა კმალზედა.

შაუთამაშეს ერთმანეთს,
როგორც მასკვლევენი ცაზედა,
შვიდთავ დაატრა თავები
ერთის მინუტის ხანზედა.
შვიდთავ ახყარა თოფები,
ყამარს დახკიდა მკვარზედა:
ცხოს კი ნურასა იფიქრებ
და-ძმობის მეტსა ჩვენზედა,
შინამდე მაგაცილებდი, -
მტერი მისხდანან გზაზედა.
მარტო მამაშენს უამბე,
გადანაყარი ჩემზედა,
დაჯდეს და ლუდი ადუღას,
ჩამაარიგას ჯარზედა.

მთამა გადიკრა თურთული,
წყემსო, ახყარე ცხორია,
რად არ მაგწყინდა მთას ყოფნა,
რად არ მაგინდა ბარია,
ღამაზ ქალასთან დაწვალა,
იმასთან საუბარია.
დალოცვილს ცხერისა ნადგომზე
სულ მუდამ ნაწიდვარია,
ბეჩვისა იმათ წყემსისა
ნაწვალზე ნატირალია.

ცხორბევრის დედას დავდნატრი -
მთასა დგას თურთულიანსა,
მამრე ცოლღამაზს დავდნატრი, -
ქალს უწევს გუღლილიანსა.

მარჯვენაი მკარი ამტკივლა

მარჯვენაი მკარი ამტკივლა
იმ ხარებობას დღესაო,
ხანი და ხანი გავიდა,
გულს მემეკიდა კვნესაო.
დადიან ჩემი ჯალაზნი,
წამლებს ღონობენ ბევრსაო,
მაგრამ წამლები რას მარგებს
ბეჩავსა მიწის ტყვესაო.
სული ამადის, მწარდება,
მიწისკე წასვლა სწყურსაო,
დახვევა ჭია-მატლისა,
მიწით ჩამაშლა პირსაო.
ჩაჯდომა საბნელოჩიგა,
შუქის ვერ ნახვა მზისაო,
წამოვა წითელი გველი,
მაისრიალებს თავსაო.
გამამთხრის მარჯვენას თოლსა,
მამრე მკრებს დახყოფს ჳელსაო.

ამაჟუჟუნდი, ბალახო

ამაჟუჟუნდი, ბალახო,
გაიფათვლე, ტყეო
ოხთანგაი ვარ, არაბული,
დედისერთაი მეო.
ქიშტებჩი ვარ გამაზდილი,
მეტი ბიჭებზეო,
სოფელი გადამემტერა,
ცუდუბრალოზეო.
ცხვებმა საქმე დააშავეს,
დამაბრალებს მეო,
დამიჭირეს, წამიყვანეს
ქალაქისაკეო.
ანანურჩი რო ჩავედით,
იქ დავისვენეო,

დავათვრე მილიციონები,
გამოვიპარეო.
ავხყარე იარაღები,
მჭარზე გავიდეო,
დავდე და ბევრი ვიფიქრე,
საით წავიდეო.
სულ წინ ცოლ-შვილი ვირჩიე
პირველ ნახვაზეო.
მივე და ცოლ-შვილი ვნახე,
ველაპარაკეო.
მშვიდობით, დაო და დედაც,
გამოვეთხოვეო.
სოფელი ჩამოვიარე
ყველას კარებზეო,
სამი არაყი დავლიე
ბაცეს წყაროზეო.

ჭალანი ვირი გაუშვი

ჭალანი ვირი გაუშვი,
სო წყალი, ხვრიმა ნარიო,
ჭალაზე შამაშჩვევია
ერთი ტუნმურაი მეელიო.
- ვირიკავ, ჳორცი მიბოძე,
მამიჭერ სუკი მჭარიო.
- შენ ჩემს ჳორცს როგორ შაირგებ,
ყელს დაგადგება ძოლიო.
ბიდართ მამიტანია
ასი მარილის ქვანიო,
მარილს შუაზე გაგიყოფ,
შაინელოდე მხალიო.
მხალი და მხული რად მინდა
არ შაშჭამს ჩემი გორიო.
ჩვენს მამა-პაპას უყორდა
გამასახრავე ძოლიო.
წამაწვევ, ჩემო ვირიკავ,
წამათეთრე თოლნიო,

არც კული გააცმაცუნა
არ გამამთხარა თოლიო.
არც დიდი დაიდრიალა,
არ შამიყარა ჯარიო,

როსტომ თქო, დღენი კრულია
დაბადებისა ჩემისა,
სიყმე სიბერედ ვაქციე,
დღენი ვერ ვნახე რხენისა.
მადგია რკინის უღელი,
ვერ გავიხარე კისერი.
სიბერე ძნელი ყოფილა,
შავს ქვასა აეწონება,
დამჯდარი ვეღარ ადგება,
ყავარჯენს დაეღონება.

ტიალო, არშის ციხეო

ტიალო, არშის ციხეო,
ჩამაგიშაღეს მკვარიო,
ღრიმედ შავთხარეს ტუნლებით,
დაგხვიეს ცეცხლის ალიო.
აგწიეს და გადმაგაგდეს
დიდი უბრალო მთანიო.
სულეურებსა დეეცი
ნაშალი დიდნი ქვანიო.
დეეცი და დაუნგრიე
მიწით ნახური ბანიო.
სოფელზე ჩამაიარე,
სოფელს შაუკარ გზანიო,
შიოს ნაგებმა კედელმა
ვეღარ გიმაგრა ტანიო.

ცარუნ-ხანი და სნოს ციხე

ცარუნ-ხანი და სნოს ციხე
არიან მუქარაზედა,
ცარუნმა შამოუთოლა:
შემემეგებე გზაზედა.
საჩქაროდ თავი დამიკარ,
ნუ ეგებევი კმალზედა!
გაწერა, გარისხდა სნოს ციხე,
ალამს იბრუნებს თავზედა,
ვინა თქო, ვინ გამიბედა,
რა დღე იპოვნა ჩემზედა?



სწოფლების ერობა (XX ს. 70-იანი წლები).

*მარცხნიდან: ვალთია ვარძუაშვილი, ბაღლო
გელაშვილი, ნასყიდა ღუდუშაური, ალექსი საბაური,
ლალო გელაშვილი, გასილ გელაშვილი, ბოიგარ
ფირანიშვილი, სანდრო გელაშვილი, იორამ ღუდუშაური.*

ამაზე შამაიარას,
ქალსვით რასა დგას განზედა,
ცამდი ვარ ამალღებული,
შალესილი ვარ ტანზედა.
გარშემო ბურჯი მავლია,
ვაჟანიც მისხედს რიგზედა.
ჩამბას ჩაგიმბი ცხენები,
შენ გასტრიალდი ბანზედა,
თუმც ცხორი შამამაცალე,

შენც გაგაწითლე ტანზედა,
გაგზავნე სვირცხვილიანი
ზედ შუა ჯევის მთაზედა.

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკე

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკე,
როგორც მთიბელი წყლისაკე,
წამოვდგები-კე დილაზე,
თოლი დამრჩება გზისაკე.

ყოფილან ერთი ცოლ-ქმარნი და ქმარი თურმე არ ენდობა ცოლსა,
რო ცხოს ხეობობო. აი, ესრე შახფიცა თავის ქმარსა:

აღდგომამა, დიდმა დღემა,
შაწვენამა კრავლისამა,
იმ პურმა და იმ მარილმა,
იმ ღვინომა ვაზისამა.
საკნისმა და საკვეთელმა
გაწვენამა ჯარისამა,
ცხრათა ძმათა ჩემთა მზემა
და მეთე მამისამა,
შენს თავს არვინ მირჩვენია,
რა ქნას ფიცმა ქალისამა.

ღეშო ტყვეობასე

შვიდს თვეს ტყვედ ვიყავ, დედაო,
შუქნი ვერ ვნახე მზისანი,
მერვესა გამამიყვანეს
შუქნი მაჩვენეს მზისანი.
პირდაპირ ჩამამიფინეს
თოლ-მარგალიტის სრავალი,
ვარჩიე მთავარ-მთავარი
ჯიბას ვიყარე მრავალი.

ეგეთზე გადმოუფრინე,
რაზეც არ იყო სავალი,
თან მოყმე გამამაყვალეს
ახალ წვერგამამავალი.
ვეწიე, ვერ დევწიე
მუკლით მე ვუჯობდი მავალი...
გზანიმცა აყოვდებიან
მეცხორისა და ცხვრისანი,
გამამიყვანა ზღვაჩიგა,
კიდნი დამისხნა მსხლისანი.
თორო ზღვას ჩავარდებოდი,
თევზნი შამჭამდეს წყლისანი.

თუ მკითხავ, ამბოვს გიამბობ

თუ მკითხავ, ამბოვს გიამბობ
ჩემსა და ჳირჩლაის ძისასა,
სამძღორზე შავიყარენით,
სამძღორსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და მივართვი,
ურჩევდი თათუკისასა,
ჳორცი მთხოვა და მივართვი,
ურჩევდი ჳოკობისასა.
ღვინო მთხოვა და მივართვი
ურჩევდი ბადაგისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
მიმყვანდა სიდედრისასა.
არ დაიშალა, აკოცა
ნაწნავსა გიშლის თმისასა,
ქალი ატირდა, აღუღდა,
ვაი ცოლსა შავის ყმისასა,
მაშივნე ჳელი მოვისვი
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
ცხენ-კაცნი გავაკუწვინე,
წვერმა უწია ქვიშასა.
თან იმან ჩამაყვალა,
უარს არ იყო ცდისასა.
ჩვენ კი გავწყვიტეთ ერთურთი,
ქალო, შენ წადი ძმისასა.

დაიძრა მძიმე ლაშქარი

დაიძრა მძიმე ლაშქარი
ურჯულო დაღესტანია,
გულმკედარაი ხევე ბელადი,
ალაზანს შამამდგარია.
დაგზავნეს ყარაულები -
ჩეთმას ჩოგიველეთ თოლია,
ჩეთმაჩი ჩამამდგარიყო
თორმეტი ფარა ცხორია.
ლეკებმა უთხრეს ერთურთსა:
ადგილ გოქ საშოვარია,
საწყლებსა თუშის წყემსებსა
საწყინოს ეტყვის მჭარია.
უჯავრდებიან ძაღლებსა,
ოვრად გახეკარით ჩქამია,
ან ჩვენ რაზე გველვეთ ელდითა
ან თქვენ რას გიძლებსთ თავია.
შუალამისას დეეცნეს
ურჯულო დაღესტანია.
გადაუცვივდეს, უსანგლეს,
ტყვიამ არ მისცა ხანია.
მათურმა უთხრა გიგასა:
ძმარ, წოგისხეს ცხორია,
ჩვენ ჩვენს საქონჩი გაეწყდებით,
ვაი, წყემსების ბრალია!
მაგათ დედ-მამის ცოდვითა
ყელამდე მოვიყარია,
გიგაურ წამოუფრინდა,
ორბი დაბრუნდა, კარია.
ორნი შასწირა თავის ძმას, -
აზიდვინოდეთ წყალია,
თითო შასწირა წყემსებსა -
აბრუნებინეთ ცხორია.
სამნი თავისთვის დაგზავნა, -
იყავით ჩემნი ყმანია,
კმალდაკმალ ჩასვლა გაბედა,
ვაჟმა დაზოგა თავია.
მაგა ლექსისა მათქომი
აღვანჩი თუშის ქალია,

წამამიკრიფეთ სალექსო
კომლზე შიშაქი ცხორია,
ცხორს მამიყვალეთ ნაპარსი, -
ქალ ფეჭიშველი ვარია.

გორდნიგათ წამოვედით

გორდნიგათ წამოვედით
ეგ რა ამბოვი მამჭდარა,
ყოვილს უკოცავ ბაღლები,
ვაშკაცი კობაი მამაკედარა.
ანდერძად ახლა დავარდა:
შვილმ მამას თოფი აჯალა,
ბრალია ალოშკაისი,
რო შავმა მიწამ დაფარა.
ტირიან სწორ-ამხანაგნი,
სუყელამ თავი დახარა.
გივარგის წიგნი მისწერეს:
შენი ალოშკაი მამკედარა.
ეგ რო გაიგა გივარგიმ,
დროება შავით ატარა.
ვაიმე, ჩემო ალოშკავ,
ეს რაი ამბოვი მამჭდარა,
შენ მაგე მოურაობა,
ესხლა სახოყნოდ გამჭდარა.

გამწირა წუთმა სოფელმა,
გამამაშორა ყველასა,
გული დუღს, კმალო, ამაღი,
შენგა მეველი შევლასა.
გული დუღს, გული ენთება,
გზებსა რო ვხედავ ხვეულსა.,
რაი დაავიწყებს აღთქმასა

მთად ნაწრთობს, იქვე ჩვეულსა.
ვაშკაცს უღვაშგაკრეჭილსა
ხატჩი წილი არ ერგება,
ღიაცსა მანდილმაკდილსა
ნამუსიმც დეეკარგება.
ეკლისა ნაადგილარზე
ეკლისაე მასვლა წესია,
მახუცი ყანას მაიმკის,
რაც სიყმით დაუთესია.

ადე, თამარ დედუფალო

ადე, თამარ დედუფალო,
შენთვის ტირის საქართველო.
წამოვიდა ციციონი,
ბევრი მთები გადმაღაჭა.
ყმაწვილის კალო მალეწა,
„აროველა“ შაუძრახა,
ასწია ალობრის კიდი,
შუა მტკორჩი გადუძახა,
შენი ციციო მაგიკვდება,
ვერ მოვიდა, ვერა გნახა,
ღორის ჯორცი ვერ გაჭამა,
წვენი თავზე ვერ დაგასხა.

ყველაწმინდა ხთიშობელო

ყველაწმინდა ხთიშობელო,
ყანობლები შიშობენო,
შუადღეხი კარებს ხკეტენ,
სტუმარს შინ არ უშობენო.



რანი ვიყავით...

ლარსსა თამარის ციხეო,
შე სალაშქროო მტრისაო,
მირგვლიმ გარტყია ჯარები,
კერძნია იუდისაო.
მაღალი გაღავანი გაქვ
დარიალაის კლდისაო,
ვერცით შაგივა დუშმანი,
ვერცით დაგიმთხობს ძილსაო.
ბევრჯელ დაღბუნგლე ლეკები,
ცხოს მტერს არ აძლევ ძილსაო,
ერთგულთან პირმოთნიარე
ანგელოზი ხარ ცისაო.

მთაწი ვაშკაცი კვდებოდა

მთაწი ვაშკაცი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ჩამადიოდენ მასკელენი,
მთორეც უკუღმა დგებოდა.
მაღლის ჭიოხის ნადირნი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი ოკერი
ღურჯაი ტოტებზე დგებოდა.
მამა იმისი ბეჩავი
თმა-წვერით იქონრებოდა,
დედა იმისი ცოდვილი,
ტირილით სული ხვდებოდა.
ცოლი იმისი დარეჯან
შავებნი იმოსებოდა,
კარგის ვაშკაცის სიკვდილზე
ცა შჭექდა, მიწა ტყვრებოდა.
ღურბელნი ცრემლებს აყრიან,
ქარი ქვითინებს ძალზედა.

თარწკზე ახყარეს ურჯულო

თარწკზე ახყარეს ურჯულო,
ადგილი დარჩა ტიალი,
იქ მოკვევები ჩაგზავნეს,
რომნებიც იყო ჭკვიანი.
ყველ ღამე ხყარაულობდენ,
ადგილი იყო მტრიანი,
გივარგი ხყარაულობდა,
ბიჭია იმედიანი.
შეემეპარნეს ქიშტები,
ღვინაი მიხყვანდა რქიანი,
დაიცათ, ძაღლო ქიშტებო,
განა ქალი ვარ თმიანი.
ერთი ესროლა გივარგიმ,
კოსრო გადგლიჯა თმიანი.
ერთი იმანაც ესროლა,

მასკვლევით მასწავლა მკრიანი.
მეორე დილა გათენდა,
დილაა აციპიანი,
ატირდა ქალი და რძალი,
რომნებიც იყო თმიანი.
სწორ-ამხანაგნიც ატირდეს,
რომნებიც იყო ჭკვიანი,
ვაიმე, ძმაო გივარგი,
მარჯვენაი მაგთხტა ძრიალი.
ქიშტის დედებიც მოდიან
თმათეთრი, ჭადარიანი,
წამახვე დაკვეხებული,
მკვდარიც აქ დარჩი ტიალი.

შირაქი ერთმა მოყვამა

შირაქი ერთმა მოყვამა
სიზმარი ნახა მკრიანი,
ადგა და წყემსებს უამბა,
სარქალი ხყავდა ჭკვიანი:
ან ცხორი დემეპოცება
ან თავს მამივა ზიანი.
შაკმაზა ნისლისფერაი,
ზედ შაჯდა ბოროტიანი.
შირაქით ლურთხუმამდისინ
შვიდი დღის სავალი არი,
დილით წამოვა შირაქით,
სადამოს ლურთხუმნი არი.
ლურთხუმის ჭალას შამოდის
ლურჯაი პიროფლიანი,
გადმახედეს ქალებმა:
ვინ მოდის დავლათიანი?
ჩვენის მეცხორის ცხენსა ღვაგ,
ვაიმე, თუ დავრჩი ტიალი,
წინ დედაი ჩემეგება
თმათეთრი, ჭადარიანი;
- შვილო, მამიხვე მშვიდობით,
ცხორჩი რა ამბოვი არი?

- ცხორი მშვიდობით დავეყარე,
მე კი გიკვდები ტიალი.
როცა ხახაძე კვდებოდა,
ცა შჭექდა, მიწა ტყვრებოდა,
კაი ყმის კონტაი თავ-შუბლი
შავს მიწას ეფარებოდა.
ჭია-ღუები ხარობდა
გველები ექანებოდა.

ნუ მამკლავ, ჰალი მამადო

ნუ მამკლავ, ჰალი მამადო,
არ იქამ სამართლისასა,
დედისერთაი ვარ, ობოლი,
ჯერ ხანს არა ვარ ცდისასა.
გახკვირდეს ჭარის ლეკები
ცდასა მა გივარგისასა,
ჩვენ კი ვერ დავიმორჩილეთ,
ტოტსა ეგა ხისასა.

ლექსი ილიკოზე

ქოითით მოდის ამბოვი,
ნისლი შამოდის ზღვისაო,
ილიკოს ამწუხვარებენ
წამალათ გაგაიშვილსაო.
წყემსებსაც მაგრა უცია
ნაროვნის წვერის ძირსაო,
იქიდან გამაქცეული
წითელვაკებზე ზისაო.
ილიკო ქალაჩუნაია,
დედაკაცებნი ზისაო,
დაიხურავს ცოლის შალსა,
პუდრით იკეთებს პირსაო.

ლემსი ბიაბაზე

შავად შაიკრა ღურბელი,
სეტყო მოვიდა ცისაო,
გიაგას ამწუხარებენ,
გიაგა სუჯაშვილსაო.
გიაგამ ნახა სიზმარი
თავის დაღუპვის დღისაო,
წინ დახვდა წმინდა გივარგი,
გამნათლებელი გზისაო.
ბიჭო, გიაგავ, სად მიხოდ,
სად დააბრუნებ ცხორსაო,
წინდაწინ მე გაგიძღვები,
მე გაგინათლებ გზასაო.
არ მინდა შენი გაძლოლა,
ყოჩი მყავ სამებისაო,
ადგა და ცხორი გარეკა,
შავსა დათვიანის ტყესაო.

ნინაის ლემსი

შავად შაიკრა ღურბელი,
სეტყო მოიდა ცისაო,
თან მახყვა დიდი ხიფათი,
ნინაი მიღბარდა წყალსაო.
დედა მტირალი დააგდა,
მდულარე ცრემლსა ღვრისაო,
ნუ სტირი, ჩემო დედაო,
ნულარ იჯავრებ ბევრსაო.
გამჩენმა ღმერთმა დამწერა,
უნდა ვეომა წყალსაო.
მშვიდობით, ჩემო გივარგი,
მალე იპოვნი გზასაო,
მშვიდობით, ჩემო შალიკო,
მალე დაიწერ ჯორსაო.

ქალაი წავიდა ძმისასა

ქალაი წავიდა ძმისასა,
ვაჟა ჯურჯაის ძისასა,
წინ დახვედრიან ლეკები,
გაზდილსა დედის ძმისასა.

- ქალავ, შენ ჩვენთან წამოდი,
ამბოვს გიამბობთ ჩვენსასა.

- მე თქვენთან ვერას წამოვად,
გორს ვერ შევარცხენი ქმრისასა.

ლეკსა წაართო ხანჯალი,
ამხანავს დახკრა მისასა,
სალამ მეორეს მახკლავდა,
ნაწნავს მაშჭრიან თმისასა.

მესამეც ზედ მიაყვალა
ქალაი გადვიდა ძმისასა,
შენ, ქალავ, რაილა გაგსვლია,
ჭეკარსა ღგვიხარ სოვლისასა.



მოსევე ცოლ-ქმარი

დაუკუწია ნაწნავნი,
ნადირს შალგეიხარ კლდისასა.
ძმაო, წინ დამხვდეს ლეკები,
გაზდილსა დედისძმისასა,
თავი მთხოვეს და არ მივე
გვარს ვერ ვარცხენიდი ძმისასა.
ლეკსა წავართვი ხანჯალი,
ამხანავს დაეხკარ მისასა,
სალამ მეორეს მოვხკლავდი,
ნაწნავს მამჭრიდეს თმისასა.
მესამეც ზედ მივაყვალე,
გადმოვე ჩემის ძმისასა.

გლახამ თქო, ბედი კრულია

გლახამ თქო, ბედი კრულია
დაბადებისა ჩემისა,
რამდენიც დილა გათენდა,
დღენი ვერ ვნახე ლხენისა.
სკოლიდან გამომიყვანეს,
შინ მოვე ჩემის ფეკითა,
მამა მიმზადებს ჯორწილსა,
სუყველაფერის წესითა.
ემზადებიან მაყრები,
ცხენებს ხკმაზავენ კეხითა,
კორჯისკენ გავემგზავრენით,
ნათელი გოდგა ზეცისა.
სუყელა ფერად-ფერადი
წითელიცა და თეთრიცა.
ნათლის თოფი გავარდა,
ნეფე თან გაიტანაო,
ამას გიგოლას ვინ ეტყვის,
ვინ არის მაგისტანაო.
მამასთან კაცი გაგზავნეს,
ამბოვი გაღუტანაო
გიგოლავ, კარზე გამოდი,
ეჯიფმა დაგიბარაო.

ნათლიის თოფი გავარდა,
ნეფე თან გაიტანაო.
თმა-წვერზე ჰელი მაივლა,
სულ დაბლა გადახყარაო.
თუ ჩემი შვილი მახკალით,
ქალი ვინ მაიყვანაო,
გვიმუხთლა ბედისწერამა,
მახე დაგვიდგა ფეჭისა,
არავის გაუგონია
უქუხრა სროლა მეხისა.
მღდელიც კარებში გაჩერდა,
რა მოგვევლინა ზეცითა,
ნუ სტირით, ჩემო ჯალაბნო,
სალამდე მესმის ყურითა,
ნეტაი ცოტა სიცოცხლე
იყიდებოდეს ფულითა.
კორწილი გადამეყარა,
ღვინო ბევრი მაქვ, პურიცა.
ქალაი აზიზად გაზდილი
დაბლა დეეცა კენესითა,
რა ხქენით, ჩემო მაყრებო,
საქმე გასწიეთ ცეცისა.
თეთრი ბაღდადი გადიძრო,
ზედ გულზე გადააყარა
შვიდი ნაწნავი გადილა,
ზედ გულზე გადააფარა.
მაყრებმა კუბოს ასწიეს,
ქალიც გამახყვა თანაო,
არ მეგეშობი, ლამაზო,
უნდა ჩამაგყვე თანაო.
უშენოდ როგორ გავლაჰა
მალლა მთა, დაბლა ჭაღაო,
ატირდა ყველა სიძეები,
ღები სულ შაიშაღაო.
აი, ეს ამდენა მაყრები
ვიწვებით, როგორც ჩაღაო,
ქვა იწვის იმათ ცოდვითა,
კლდეები დაიშაღაო.

სიზმარი

ქალმა თქო, საზმარი ვნახე
დამდეგ ენკენისთვისასა,
ცა წითლა-ყვითლად ელავდა
სეტყოს ისროდა ქვისასა,
ჰელჩი მიქრობდა სანთელსა,
ჩამასხმულს კელაპტრისასა,
ცეცხლი და ნავთი ჩემს თავსა
სიკვდილს იტყვიან ქმრისასა.

ქალ, ქებით გამათხოვილო,
მამისაო და ძმისაო,
ორთავეს დაწუნებულო
მაზღისაო და ქმრისაო.

თინათინ გადმამდგარიყო
თოლჟუჟუნ, თეთრი ქალიო,
ჰელს მიქნევს, აქეთ წამადი,
შინ არა ჩემი ქმარიო.
ციხის საგებლად გავგზავნე,
თავს დასცემიან ქვანიო,
მანარობელი მოვიდა,
ქალო, მაგიკლეს ქმარიო.
სამანარობლო გავიღე
სამასი სული ცხორიო.
იმასაც არ დავაჯერე,
ჰელს გამოუმბი ჰარია,
იმასაც არ დავაჯერე
წელს შამოვარტყი ჰმალია.
წუხელ მაშავდა ლაშქრითა

შავშუადამის დროსაო,
სარკმლიდან ჩამამიკივლა:
ადე, აანთე მანხალა!
ავდე, ავანთე მანხალა,
მივღმართე ეზოს კარსაო,
პურ-შაჭამადი მივართვი,
შაჭამე, ღთისა მზესაო.
ჩაქმის საცდელად მივღმართე,
ჩაქმა მკრა გულის პირსაო,
შე ავო, ავის ნაშობო,
რად არ გაივლი კარსაო.
ავდე, შავკმაზე შავრეში,
შავადე შავთა გზათაო.
უკენვე გამომდგომიყო
ამაღებულის კმლითაო.
ბიჭო, რას მამდევე, ნიაო,
შენი რა წამიღიაო,
შენი კოკა და საბელი
გრილს წყაროს დამიყრია.
ნეკაის თითის ბეჭედი
კოკანი ჩამიგდიაო,
შენი პატარა გიგოლი
აკვანნი დამიგდიაო.
მერდინის კელისაკოცი
კამარას შამიგდიაო,
შენი ოქროსა ხოვები
კალოზე დამიყრიაო,
ოქროს რქიანი ჯარები
ბაგებზე დამიმბიაო.

ტიალო, სიღარიბეო
დაამონავებ ყველასა,
შამამტირიან ბაღღები,
გამამიწვიან კველასა,
ამის გამგონეს ცეცხლი მწოეს,
გული დამიწყებს ლევასა,

პური მოგეშვივდა, მამაო, -
სიტყოს მეტყვიან ძნელასა.
აღარცაით მაქვ სახსარი,
აღარცით ველი შევლასა,
ცოტას შანაყრდით, ბაღღებო,
ნუ გააციებთ წვენასა.

ცაჩი მჭყვინავო მასკვლეო,
კოშკო ნაგებო კირითა,
ცაგ, წმინდა მასკვლევიანო,
მზევ, მაფენილო დილითა.
უკვდავებისა წყაროვო,
მაზდიხარ ოქროს მილითა,
ახალ მოდისა ხაღათო,
შვიდგან შაკრულო დილითა,
ჩაგიცომს ქალაი ღამაზი,
წყაროზე წავა დილითა.
მისი შემხედი ბიჭები
აურჟოლდებიან უინითა.
ღამაზო, შენი ჭირიმე, -
ამაიტყვიან პირითა.



ახალშეუღლებულნი – არსენ და
ლიზა ოდიშეილები

აიმ მთასა თოვლიანსა
ცხო, უთოვლო მირჩევნია,
აიმ ქალას შავგერემანსა
ცხო, თეთრპირაი მირჩევნია...
თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა,
შავგერემანი სამარხოსა,
თეთრმა ქალმა დამიტირას,
შავგერემანმა დამმარხოსა.

ნეტაი ქალავ მე და შენ
ყანა ვინ მოგვცა ზიარი,
შიგ ჩოგეთესა სურვილი,
ნაპირი ხქონდეს ტყიანი.
მე და შენ ტყეში შოგრეკა,
ყანა კი დარჩეს ტიალი.

- ეო, მეო, ბეჩავ დემეტრეო,
წმინდის სამების კარები
როგორ გასტეხეო?
- ვაჯაჯუნე, ვაჯაჯუნე,
კლიტე გავტეხეო,
სისხლიანი ტარავალი
კარის უკენ ვდეგო.
წმინდა სამებას შავსცოდე,
თავი დავღუპეო.
საბოლო ამოვიწყვიტე,
სული წავწყმინდეო.

გერგეტს შაკმაზეს ყეინი,
ქუდი დახურეს ცხვისაო,
სოფლები შამაავლიეს,
ვერვინ იტყოდა ცუდსაო.
ყეინს თოფი გაუვარდა,
ვირს მახვდა კუდის ძირსაო,
ვირის პატრონი ატირდა,
ვირი ას თუმნად ღირსაო.

ბაისოლთამ ბორძაიშვილი
ხანჯალზე ჳელს მაისომსა,
ცხეთას გატეხა ხაზინა,
გუდამაყარს ჩაის სომსა.

ბესო ვარ, ყამარაული

ბესო ვარ, ყამარაული,
ჩაჩნელთ მინდორჩი გაზდილი,
ბევრჯელ ვაჭმიე ჩემს მტერსა
ჩხამგარეული სადილი.
ბესოს უყრიან ბორკილსა,
სმატრიტელი იცინისა,
სადა ხარ, ჩემო ხანჯალო,
დაჭრა მაგის ცხვირპირისა.
შამოგვე გუდაურჩიგა,
შავაჯღარუნე ბორკილი,
კობჩი გოჭმევენ სადილსა,
გზანი გაქვთ კიდავ მაზდილი.
მშვიდობით, ჩემო ცოლშვილო,
ნულარ გაქვთ ჩემი ლოდინი,
ყველას გახვეწებთ, გავედრებთ,
ცხვიშვილი მრჩება ტიალი,
არ გამითხოვდე, ცხვიშვილო,
მიგულე მუდამ მტრიანი.

მიხაი

მიხაი სთიბდა დიდუბეჩი,
ჩირდილჩი სქონდა ბინაო,
პურაი მაშიებიყო,
იცქირებოდა შინაო.
დედამ მჭადი აუტანა,
ლურჯია, როგორც სინაო,
აბა, ემას ვინდა შაშკამს,
დაწვა და დაიძინაო.

ღვინომ თქო, ჭაჭარეულმა:
უცეცხლოდ ამოვღუდღები,
ჭკვიანსა კაცსა დათრობით
უჭკოსთან შავაშუღლებდი.

მე გოროღჩი დამიღამდა

მე გოროღჩი დამიღამდა,
კვლჩი მეჭირა ბალები,
წავგე, დედისძმათ მიუდე,
მათ უფრო შევებრალები.
შინ დამხვდა ნეფე სინკაი,
მე არ გამიღა კარები,
წადი, აქათ დაიკარგე,
სულ ეგრე დაიარები.
გამოვბრუნდი და შავსტირე,
სულ დავითხარე თოლები,
სინკაის გაჯავრებული
დუქანჩი შავიპარები.
შაეჭამე შასაწევიარი,
სულ ვაქეიფე სწორები,
კიდავ კი გნახავ, სინკაო,
ელხოტს გადრეკა ღორები,
მასკარადსა პირი გიგავ
და წითელს კატას თოლები,
მაუდის ჩოჭა ჩეგეცო,
გაქვ კურკლიანი ბოლვეები.
ულიცაზე რო გახვიდე,
შენ დაგცინიან სწორები,
ამახვილოდე ყაზბეგჩი,
შაურად ყიდე ბროლები.

ეს სამი წელიწადია,
არ მინახია ქალაქი,
შავებში მამლის ყიულთა,
თარწკზე ჩაურეკე ჯალაბნი.
ცდოს ძირს ძალიან დაბნელდა,
დროგჩი ავანთე ფარანი,
შინაის ჯავრი არა მაქვ,
იქ არაფერი არ არის.
ჭრელი კატაი დავაგდე,
ბაკნით დაუდგი წყალანი,
აკოშკაჩიგათ დაუგდე
სასიარულო კარანი.
შიმშილი კი აღარ მახკლავს,
საზრდო დაუგდე მრავალი,
ცხრა აბაზად გეყეიდნეს
გოგეას ჩემნი ჩალანი,
თივანიც იმან გაყიდა,
ეგ იყო ჩემი დალალი.

ბალღურო

ბალღურო, დილა ნებისა,
ლექსი შენ გინდა ქებისა,
ჯალაბჩი დიამბეგობა
გარეთ არ გამადგებისა.
მამა ქათმებს დაუყენა,
პატივი გიყორს ბებრისა,
ზაითს სახლს ერბო გაყინა,
ჩაქუჩი უნდა ბერძნისა.
ქოით სახლს ჩამაიტანეთ,
ტყავი დახურეთ ვერძისა,
ჩიფქაი გაახრევინე,
პინა რო მაგდის მჭედლისა.

ს ზ ო რ ი ზ მ ე ბ ი

არა მყავ დედა ობოლსა,
რომ მოგკედე, დამიტირასა,
არცა მყავ გულის მოკეთე,
რო დაცხეს, ამიგრილასა.

რაზე მცემ, დედინაცვალო,
რა უფლება გაქვ ჩემზედა,
ერთხალაც „ნანაი“ არ გითქომს
ჩემს აკვნის გასწებაზედა.

დედისა ძუძუ ტკბილია,
დედინაცვლისა - ნავლედა,
დავლიე, ყელჩი დამადგა,
სიმწარით წამამაჭველა.

სიკვდილმა ჩამაიარა,
ობოლი დახვდა წინაო,
მე მამკალ, შავო სიკვდილო,
ქვეყანამ შამიძულაო,
ვერა, ობოლო, ვერ მაგკლავ,
მეუფე გაჯავრდებაო.

ეგრე იციან ჳეფჩიგა,
ქერს გამახვდიან ლუდადა,
ლამაზს ქალას მაიყვანენ-კე,
შლაპასაც ხურვენ ქუდადა.

შენის გონჯობით, ვაშკაცო,
ნინას შჭირს გულის ფრიალი,
ვინ არ წაიყვანს ნინასა,
ვინ არ გაძღება მშვიარი.

ზოგის დედუფლის ყვალასა,
საჯადი შჯობს სახლჩიგაო,
ჯამ-ჭურჭელნი ამატირდეს.
ტალახნი და ლაფჩიგაო.
გადმაქცეულა ქოთანი,
ცოცხი იცემს თავჩიგაო,
კოზებს ფერჯისაი გაუმბავ,
გარეთ, დარიფანჩიგაო.

ვაიმე, ჩემო დედაო,
ფეჭი დავიწვი კირითა,
სადამდე უნდა ვიცოცხლა
სულ ესრე ცოდვა-ჭირითა.

არწკი გითხარ, დედამთილო,
სარჩული ყჯობს საპირესა,
სიცილით კი მამიყვანე,
ეხლა რაილა გატირებსა.

- სად იყავ, ფადიაურო,
ნაბადზე ნამი გდებია?
-ფშავს ვიყავ, შური ვიძიე,
დაღალულს დამძინებია.

გაღმა თუშნი ცხენებს შტკედენ,
იძახიან გალობასა,
ბედრიანაი შეესწრობა
კედენიშთა ჯორობასა.

ყმაწვილო, არშის ციხესა,
არც შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეს ჩამტანი აბჯრისა,
ამამტანელი ცხო უნდა.



*წინა რიგში: სერგო და ლენა (და-ძმა) გიგაურები.
უკანა რიგში: ნიკო გიგაური, მარინე გიგაური,
სოფიო კობაიძე, ილია გიგაური, ნუცა გიგაური.*

არშას ბაზალი ღურმაი
ეფხვი მხსილებზე დგებო,
განჯას მაღღლიჯნა კლიტენი,
ჩემს არშას მოუკდებო.

გამტეხა სიღარიბემა,
როგორც რო რუსმა ჩაჩანი,
ახლა ლურჯაი მინდოდა,
მამწყინდა ფეკით ჩანჩალი.

დავლათიანი ნადირი
შუალამის დროს ადგება,
ღამით მასძოვს - კე ბალახსა,
მამრე სიმაგრეს შადგება.

მე რაი გითხრათ, სწორებო,
პირობა შავკრათ მაგარი,
ლომისაის მადლი გაუწყრა,
ვინც მაგ ქალს გახყვეს მაყარი.

ბებერს ჳარს საითლა გაუწყვეს
გამოუტყედნი მაზვერი.

არ ეშინიან გურჯისა,
არ აიკიდებს ხურჯინსა.

ნუ შჩქარობ, შარაბრიშვილო,
შენი ჳორწილი შორს არი.

ბეჩავისა ვარ შვილია,
ობლობით გამაზდილია.

ქალ, ციხით რას იყურები,
გადმაგიგდია კისერი,
ყელი მძივითა სავსე გაქვ,
შიგ გირევია გიშერი,
ერთი მე გამამიგზავნე,
რო დავიშვენა კისერი.

მთასა მახკიდა თვირთვილი,
წყემსო, ახყარე ცხორია,
რად არ მაგწყინდა მთას ყოფნა,
რად არ მაგინდა ბარია,
თოლჟუჟუნასთან გირჩევნის,
იმასთან საუბარია.

აიმ მთასა თოვლიანსა
ცხო უთოვლო მირჩევნია,
შენს თავს არვინ მირჩევნია,
ისრიმც გამიძღები მზითა.

წისქვილის თავზე შამოვდგი
მათარა არაყიანი,
მე კარგი ქალი მეგონე,
ხყოფილხარ ღალატიანი.

ნაპირყურის მაჯნვა მიყორს
ღორღიანის ყანისაო,
გვერდზე გადაცქერა მიყორს
თოლჟუჟუნაის ქალისაო.

ბიჭო, წყალნი გამიყვანე,
ახალგაზდავ, შვენიერო,
მე მაგის მეტს ვერას გეტყვი,
ქალაი ვარ და მცხვენიანო.

ბიჭო, პირი მაგიპარსავ,
საღამაზოდ კისერი,
ცოლს რატომ არ შაირთავ,
დასაქცეო, ვის ელი.

მინინოსა მწყერი უყორს,
შავარდენსა - ნადირობა,
ვისაც დედას შვილი უყორს,
ახლა არის სადილობა.

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო,
ომი ვერ იცი კილოსა,
თაფნი კი ნუ სცემ სპლოსა,
ძირნი მოუსვი რბილოსა.
დეექრებიან ბოძალნი,
დეეცემიან ჩარდახსა.

მთაჩი თივანი მოვთიბე,
წამიკდა ავდარობითა,
სულ-გული გედემელია
ქალ, შენი მუდარობითა.

- ქალებო, თქვენი ქმარები
როგორ არიან თქვენზედა?
- ეგრე არიან ჩვენზედა,
როგორც მეცხორე ცხორზედა.

ავდარიმც გაგიდარდება,
როცა შახვლები მთაზედა,
დაგიქსოვ ჭრელებს წინდებსა,
წავალ, დაგირეცხ წყალზედა.

ქალმა თქო: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ, დედაო,
თუ მიმცემ, გუთნის დედასა,
მუცელი ხქონდეს მაძღარი.

თამარმა თავისი თავი
თითონვე დააზიანა,
საკუთრი ხყვანდა მოყორე,
ცხოს რასლა გაუზიარა.

რას მიყურებ პაჭიჭებნი,
მე ვჯობივარ ამ ბიჭებნი.

შურთხისა სტვენა გადმოდის,
ქორ-შავარდენტა ჟივჟივი,
ღამაზისა ვარ მთხოვნელი,
ამას არ ვმაღავ, სულ ვკივი.

ქალავ, ბენაო, ბენაო,
შენც ობოლო და მეცაო,
გზანი ერთურთის შახვედრა
შენც გიამება, მეცაო.

ქალავ, აქათ და შენამდე
ვარდი გასხია ყელამდე,
ნეტაი გამამიშობდენ,
ფრენით მოვალი შენამდე.

ქალო, დედის ნებიარო,
გადახრილო თეძონია
შენთან ეგრე მოვისვენებ,
როგორც ჰარი ეზონია.

თეთრო ქალო, ჩემო მკვლელო,
ჩემო კარის მეზობელო,
გამელელო და გამამელელო,
ჩემო გულის წამლებელო.

არწივის ნაბუდვარზედა
ბაკალნი მაიზდებიან,
მაკვდეს თუ მაკვდეს ჯიქური,
ესლა ცხო გაჯიქურდება.

უხვის კაცის პურ-მარილი
ზღვაზე ჰიდად გაიდება,
ძუნწაის კაცაის ბურ-მარილი
პირნიც კი არ ჩაიშობა.

- ახლა კი წადი, სტუმარო,
სასტუმრო გორი მშრალია.
- საით წავიდე, სულკრულო,
სუყელგნით საზოვარია.



ლაშქრობა ყუროზე (XX ს. 50-იანი წლები)

კარგი ხარ, კარგო ყოფაო,
ბევრო ცხორო და ძროხაო,
ნამუსიანო ვაჟკაცო,
გინდ დახეულო ჩაჯაო.

მაისისა რვასაო
ნუ გადივლი მთასაო,
ნურცა მიხოდ დისასა,
ნურცა მამიდისასა,
თუ მიხოდ და არ დაიშლი,
მიდი, ცოლის დისასა.

სამი თვე ვიწვე ზოფიგა:
მარტი, აპრილი, მაისი,
დათვი და მგელი შეეჭამე,
კორწილი ვნახე ცოლისი.

ტილო, დარიალო,
კლდები ხარ ცარიალო,
კორცი ჩვენ, ტყავი ლეკებსა,
მოწაბრეს - თავრიელიაო.

ვაიმე, რო ესრე დავითვერ
მაღალ დედაის შვილიო,
გამბერტყეს გერგეტელებმა,
გულგახეთქილი ვივლიო.
ჩიოდა მაღალ დედაი
რას მამიკალით შვილიო!

ქალავ, უთხარ დედაშენსა,
რას აპირობს მე და შენსა,
საპერანგეს შენ გიყიდი,
სასაგულეს დედაშენსა.

მთას იქით ქალამ ლამაზმა
ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მაკლა სურვილმა,
აქათ მე დამაბნიაო.

ქალავ, წითელი პერანგი
ჩაუცმევია დედასა,
ადარ გივდება, ლამაზო,
გული მოუკლავ სევდასა.

კელისახოცს გადმაგიგდებ
ოქრომკედით მაქარგულსა,
შიგ გაგისხვევ ჩემსა გულსა,
შენგან დამწორ-დადაგულსა.

საწყალი კაცი გამოვე,
ფეკი დამადგა ყველამა,
სიდედრი ავად გამიჭდა,
ცოლი მამიკლა ჰველამა.

დადაი, გული გაგალა
შაემა ბეჭედმა რქისამა,
შავეთით გამაგზავნილმა
შავგვრემანის ქმრისამა.

ტიალო, სიღარიბეო,
სიზმარხი გემენვენები,
ჩემი სტუმარი ცხოს მიხყავ,
თაო, შენ შემენვენები.

ნუ იცინი, ნუ მაცინებ
გოგოშარიშურებენო,
გოგიგებენ ეშმაკობას,
გოგოჭარიჭურებენო.

ქალო, ქალო, ქეთიაო,
თეთრი კაბა გაცვიაო,
გაიჭადე, მე ჩამაცვი,
ითომ გაგიცვეთიაო.

ბიჭო, წყალხი გამიყვანე
წითელქუდავ, ცხენიანო,
მე მაგის მეტს ვერას გეტყვი,
ქალაი ვარ და მცხენიანო.

ქალმა რო ვაშლი მესროლა,
მეტკივნა გულის ფიცარი,
სახელს კი მაინც ვერ ვიტყვი,
ღმერთმა აცოცხლას ვინც არი.

ქალმა თქო, ახალგაზრდასა
სიცილით შავიყვარებო,
შორით დავსწოვ და დავზდაგავ,
ახლოს არ გავიკარებო.

მოგვეს ქალო, ელისო,
ჩემი გული შენ გელისო,
ბევრი კაზარაი ბჟუვისო,
მეთაფლიასთან ტყუვისო.

წყალი მწყურიან,
წყალს დავღლეგ,
დევექანები გუბესა,
წავალ და ჩაუგორდები
ღამაზაის ქალაის უბესა.

ვისი მზე ხარ, ვისი მთორე,
ვის უბეჩი გძინავს ღამე,
შენი მზე ვარ, შენი მთორე,
შენს უბეჩი მძინავს ღამე.

ქალავ, რას სტირი, რას შჩივი,
რას დაგითხრია თოლები.
ადე და ჩემთან წამოდი,
გადმაიარე ბანები,
ახკადე საბნის პირასა
გადმამახვიე მკლავები.

ბედრიანაო, რწყილაო,
ქალაის უბენი ღფრინაო.

ვაი, შენ მწუხიარეო,
შენი ჳმა გამაგონეო,
დამხურე შენი საბანი,
შენს მკლავზე გამაგორეო.

ქალავ, ქალავ, კისკისაო,
რად მიზღისარ წისქვილსაო,
მეგეწვევა შენი ქმარი,
ჩაგილილავს ცხვირპირსაო.

ქალავ, ჩამაჳე კიბენი,
ქიშმიში მიძევეს ჳიბენი,
ერთას კი მაინც გაკოცებ,
თუ გინდა ჩამსვან ციხენი.

ქარი ხქრის, ქარი სისინებს,
ქარი დახკივის ჳალებსა,
საწყალი მეცხორიაი
ვეღარცად ხედავს ქალებსა.

სიყორულსა მაღვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა,
თუ მოუკვდა, გლოვა უნდა,
როგორც გულის საყორელსა.

აიმ მთასა ვერ შავხედავ,
ჩემი გული ნაკლულია,
მანდ ღმარხია ჩემი ქმარი,
ღეკებისგან მაკლულია.

წვიმა წვიმს და ნამი არა,
ახალუსზე გამიარა,
ქალავ, შენი სიყორული
მე კი მაქვ და შენ კი არა.

ქალავ, წითელს კაბაზედა
ნემსი დაგკიდებიაო,
ჩემის დაწუნებისათვის
ცეცხლი წაგკიდებიაო.

ნეტარ რა უყო თავსაო,
სწორთუარიას ქმარსაო,
აღარც აქვ შანახვის თავი,
აღარც მანებებს თავსაო.
ნეტაი კი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო,
იქნება შევეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო.



გიგო გელაძე

ოდელასა და დელასა,
შავარდენი ხყავს ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა,
გული დაუწყებს ძგერასა,
აქათ ის კვდება, იქით-ის,
ვაი იმათ ბედისწერასა.

ყაზბეგნი ვიყავ სტუმრადა,
თავი ავიგდე ხუმრადა,
ქილიკი ხალხი ყოფილა,
ყველაი გამიჭდა ძმურადა.

ყაზბეგს რად უნდა ცვლები,
ნამგლები უნდა ფხიანი,
ყოღანთ ხქონია სათიბი
ღორღიანი და ქვიანი.

როსტომ თქო: ერთი არა უჯობს
ამ ჩემსა მაგონებასა,
ვარჩიე ერთხალ სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

როსტომ თქო: სიბერეკაცითა
სიტყო სათქმელად გაჭირდა,
გავცვითე ჯაჭვის პერანგი,
ეხლა აღებაც გაჭირდა.

როსტომ თქო: მიწა გრილია,
სიტყოს მით უნდა რბილობა,
ვაშკაცს რომ გაუჭირდება,
მაშინის უნდა ცდილობა.

როსტომ იტირა დედამა:
შვილო, თავშაუდებარო,
სიკვდილის დღემდი მაგარო,
შე სპილოვ გაუტყხარო.

როსტომის სამნი სიტყონი
ინდოეთს ქვაზე სწერია:
ვისთვიც მოგკვდი და ჩამოვდნი,
ეგ უფრო ჩემი მტერია.

შე ქიქაველთა ნეფეო,
შენთვი შევემბი დევთაო,
წამალი გამამიგზავნე,
ზურაბ მიკვდება კელთაო.

ბეთლემის კარზე ხკიღია
ვაჟა ჯურჯაის კმალიო,
მოუფლის ომის წყურვილი,
ხანდისხან შაზძრავს ქარიო.

ღომისას ჯაჭვი ხკიღია,
არავინ იცის, ვისია,
ბებერმა ქალმა დახქუხა:
ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია,
ჯაჭვი მან უნდა ატარას,
ვინც რო ტარების ღირსია.

ესო, მესო, გერგეტლებმა თქვესო:
წმინდა სამება ჩვენია,
ვერვინ წოგორთმევსო.

კაისა ყმისა ცოლობა
ნუ გიხარინ, ქალო,
კაი ყმა ღაშქარს მაკედება,
დამრჩები ცარიალაო.

არ გაგიგიათ, სნოვლებო,
რაი ამბავი მამკდარა,
თარწკზედით წამაყვანილი
თორღაის ცხენი მამკვდარა.

შ ა ი რ ე ბ ი

მოშიარედ გამასულხარ,
ცხვირი დაბლა დაგიშვია,
სადაც სიფროს დაინახავ,
ქერქი აღარ გაგიშვია.

შენისთანა მოშიარე
ბაზარზე უნდა დიოდეს,
კვლხი ეჭირას კაპარი,
სულ „ბრავა, ბრავას“ კიოდეს.

ქალაქს ვიყიდე ბარები,
მცხეთას დავაგე ტარები,
თუ მაგის მეტი არ იცი,
რატომ არ მემებარები.

ტყეზი მარჯილი წავიდე,
გაუკეთე ჭალი, კოფა,
თუ მაგის მეტი არ იცი,
ახლა ნახე შენი ყოფა.

გეტყვი და გეტყვი ლექსებსა,
ტილიფონაზე გრძელსაო,
თუნდა შინ წაგადებინებ,
მაგაწვევებინებ წელსაო.

შენი ნათქომი ლექსები
დილას დავეკრიფე ბეგნია,
წნელივით კისერს გაგიგრეს,
თურცად მაგიგდე კვლნია.

ამათქვი, ბიჭო, ამათქვი,
სალამ მამალი ყიოდეს,
ეგრე გაგივდი საქმესა,
კბილებნი ოფლი გდიოდეს.

ამათქვი, ბიჭო, ამათქვი,
პირნი არ გიდევეს ავშარა,
აქამდე კარგა ამბობდი,
ესლა რამ ღმერთმა შავშალა.

ახალი სახლი ავაგე,
ზედით მე დავხკარ ჳვედაო,
ვინც შენ შაირი გასწავლა,
იმას უტირე დედაო.

ახალი სახლი ავაგე,
თეთრად გავლესე კირითა,
ბიჭავ, თავი დამანებე,
ვერ გაზძელ ჩემის ჳირითა.

თეთრი პური, თეთრი ღვინო,
გრაფინკებით არაყები,
თუ მაგის მეტი არ იცი,
რასლა მელაპარაკები.

ქალავ, შენ კი გენაცვალე,
შავარდენს გიგავ თოლები,
არ გაგიცვითავ კაბასა,
გინდა დამთხარან თოლები.
თოლებს კი ნუ გამაითხრი,
მოდო, ავიღათ ვალები,
ვინდა შოგიმბავს ცხენებსა,
აღარ გვექნება ყანები.



*ანდრია კობაიძე („კალმისწვერა“)
ცოლ-შვილთან ერთად*

ესლანდელი ბარიშნები
როგორ იპარნჭებიანო,
გადითხუფნვენ ფერუმარილს,
წინაც წამადგებიანო.
კარგებს წინ არ გაუშობენ,
თითონ გადადგებიანო,
ეგ უბედური ჯელები
ჩქარე მატყუვდებიანო.
ორშაურიანს ფერზედა
ხედავ, იყიდებიანო,
ფერი რო გედეცლება,
ძრიალ გაყვითლდებიანო.
დედამთილს და მამამთილსა
პირჩი ებრძოლებიანო,
ეს საქონელი არ არის,
აღარც გაიცვლებიანო.

ახლანდელი ქალებიო -
დალესილი ჳმალელებიო,
დედ-მამას ემდურებიან:
შოგრთეთ დროზე ქმარებიო:
სითოლადეც კარგი ხქონდეს,
არ ღმართებდეს ვალელებიო.
წამაბზანას დღეობაჩი,
არ შამიმბას ჳარებიო.
ერთი კარგი სახლიც ხქონდეს,
გვერდზე ემბას კარებიო,
გადიან და გამადიან
თოლჟუჟუნაი ქალებიო.
ბალკონჩი დავსეირნობდეთ,
გვიცინოდეს თოლებიო.

ქალავ, მამაი ქალაქს არის,
მზითევს ემზადებაო,
რად მინდა თქვენი მზითევი,

ჩემთვის რას სწუხდებაო.
დედავ, მიმე ღარიბს კაცსა,
იყოს ჩემი ნებაო.
მდიდარის კაცის ცხოვრება
მაღე აზოვდებაო.
წავა, დუქანი დათვრება,
მოვა, ჩხუბსა შვრებაო.
ღარიბის კაცის ლუკმაი
ტკბილად შაირებაო.

შუაო, გოგორიშვილო,
შენ კარგის დედმამიშვილო,
ხთის მაცემული დავლათი –
ეს ბევრი პური და ღვინო.
ბაღლები გველექსებიან
რასღა ველით, ჩვენც შავრხინათ.

თომას აქებენ კარკუჩას,
სივანნი-ოდიშვილსაო.
სნოს წყალზე ბეჭაიშვილსა,
მეტად ამბობენ ყბედსაო.
არ შეებრძოლა თომასა,
თომას მარსაგიშვილსაო,
ჯან-ღონეს იმას უქებენ,
დუმას შჭამს ძველისძველსაო,
სწრაფად გამასთქომს ლექსებსა,
ერთს არ გაურევს ძველსაო.
ეგრე ჩამასთვლის ლექსებსა,
მღდელი წიგნად ვერ სწერსაო.

ბ ა ლ ა კ რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

ცოდვილსა ცოლი რად უნდა,
ცოდვა ეყოფა ცოლადა.

ცოლსა დიდი ცომი უნდა,
შვიდი ჰელი საფანელი.

ნეფესა და თამასხანსა
ღმერთი მისცემს სამართალსა.

თივა მთისა შჯობს, რეგვენო,
ღვინო და პური- ბარისა.

ლექსების მეტი რა ვიცი,
მეც ვიცოდი ანაბანა,
ჩემი გამათქმული ლექსი
მტერს გაუკლა ხათაბადა.

არ დამაბიზდა ქალაქში,
მე წამიყვანეს ცირბინჩი.

წილად მრგებია სიკვდილი,
დაიწოს ჩემი ბედია.

მე ხოთია, როსტომ ძალითა,
როსტომ დეეცა მკლავითა.

ჰეი, თუ კარგია ავადობა,
იყიდიდა თავადობა.

ცალკელსა ფადიაურსა
დედა ვერ გასცვლის ორკელზე.

დაიცა, ზურაბთ ნადირო,
ერთადა ვჭამათ სადილი,
შენ თიანეთი მიზღიხარ,
მარტუაი გზანი ვერ ივლი,
კაცი რომ გაიმართება,
გზანი დახვდება ნაცილი.

არ ვარგა მეზობლობანი
ნათელი მირეულია,
ზოგი რომ კარგა ინახავს,
ზოგი წყალწადებულია.

მამწყინდა ცხოთა შეილობა,
ღამე ყუდილი ჯოსხედა.

ბაეურვეს მაკლეს ურია,
ჩუშტებით გამართულია,
ხურჯინი, ფარჩა წაუღეს
თათრულად მაქარგულია.

მაში სად იყავ, შავ ბადრო,
როცა ჩემ კმალი წრთებოდა.

წადი და წამეგეწევი,
არ იყო შუას გზობასა.

გერგეტული ესში, მესში,
კენცელი და ცელი ჰელი.

ყაზბეგური ესში, მესში,
სელოტკაი და მჭადი ჰელი.

გარბანული ესში, მესში,
ღორებისთვი გეჯაი ჰელი.

ეს ცდოური ესში, მესში,
გუღურათ უკენ ცული ჰელი.

სივანლების ესში, მესში,
პამადაი და პუდრი ჰელი.

ანდაზები

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილი ისრი გამანახე.

ხე ძირზე მოდისო.

ჭაკი იკითხე და
კვიცი ისრი იყიდეო.

კარგისა ყურძნის ვაზი ხარ,
კარგი რამ გეცოდინება.

კოდალავ, შენს სიცოცხლენი სულ აკაკუნებ
და შენი ხარატული კი ვერ ვნახეო.



*კომისარი... ვანო ქირიკაშვილი, არჩილ
ფიცხელაური, გიგუშა ჩოფიკაშვილი*

რაც მამაა, ის შვილია,
ხეს გემეცხა ხილია.

ძაღლისას ბატკანს
რაილა გამაიყვანს.

მუხის ძირზე არც როდის
არ ამოვაო არყო.

ავთა მამათა ნაქნარი
შვილ-შვილიშვილს გადახვდება.

ავს კაცთან რხინსა
კარგს კაცთან ჩხუბი შჯობიაო.

თხა თხაზე ნაკლები
მგელსამც გაუხეთქია.

ავის ამყვალიც ავიაო.

გონჯს კოკაჩიგათ
გონჯი წყალი წამოვაო.

უნახაემა ცა ნახა და -
ნეტა, რა მაღალიაო.

ეგეთმა პროხამ დამწიხლასო,
ჰელადი რძით ამივსასო.

კურდღელო, შენი სიმაღლე დამიცდია,
შენი ჯორციც დამითმიაო.

ქანლიანი რო ექიმი იყოს,
თავის თავს უექიმებდაო.

ქათამი რო წყალს დაღლევის-კე,
ისაც ღმერთს შასცქერსო.

მე რაი ვარო და პაპი მჯობიაო.

ურემი რო გადაბრუნდება,
გზა მაში გამაჩნდებაო.

ვინც ღამე ჰნა, ისაც მაკვდაო.

ელურსანეს წასვლა - მასვლა ჭირსო,
თორო ვირი კიტრად ღირსო.

თუ გული გულობს,
ქადა ორის ჰელით იჭმევაო.

თუნდა შინ იყავ, ტეტიავ,
თუნდა ბურახულს ტყეჩია.

კარგისა ძვირად სყიდვა უჯობს,
ზედ დამატება სართისა.

ურემმა რო შეშა არ მაიტანას,
თითონ შეშა არ არისო!

ვისაც გული არ სტკივაო,
ცხელი ცრემლი არ სცვივაო.

მკედარს შინათ უნდა მატირალიო.

მოიდა სეტყო და დახვდა ქვაო.

ჭკომა რაი მიყო და -
თაფხი ბრეხონიო.

ახალი ცოცხი კარგა ხვეტს,
ძველი უკენ სერის ნაგეფსა.

თევზმა თქო, პირჩი წყალნი მიდგანან,
თორო ბევრს რასმე ვიტყოდო.

ცა ნამუსს უჭერია,
თორღ აქამდე ჩამოვარდებოდაღ.

შენ რღმ მიზღიხღდი, მე მოვღდიღდი.

ჭიანჭველავ, სულ ბარგს ეზღიღები დღ
შენი მთღ-ბარღბღ კი ვერცღ ვნღხეღღ.

ცული ბღტღრღიღ, მღგრღმ
ღღღს ხეს წღღღცღვესღღ.

რღ ქნღს ეფხემა უბეღურღმღ,
თუ მღხიღღები არ ასღიღღ.

ციხე შიგღთიღთ გღთხტებღღღ.

ღბღღის კვერი ცხღ, ცხღ დღ
ვეღღრ გღმღცხღღღ.

არ შღგრღხებღ, გღღღეგღღღ,
სღწეღღის კღცის წვეღღღღღღღღ.

ერთღხღღ წღღვიღღ კოჭღღღღი
დღ მღშიც წღღღცღღღღღ.

ძაღლი კოჭლობით არ მაკვდებო.

რაიც არ იყო, რაი გაიყო.

სალამ პეტრე მოვიდოდა,
პოვლეს ტყავი გააძვრიანო.

უპატრონოს ეკლესიას
ყორანი დახპატრონდებო.

ცხორი მბრუნდა და
კოჭლი წინ მაიქცაო.

როცა მაგიკვდი, მაში მაგიტკბიო.

სალამ მწარე არ ვჭამე,
სალამ ტკბილი არ მეტკბაო.

ცხენი ეგრე არ დავარდება,
რო ვირის ბარგი კიდავ არ ზიდასო.

ვირი გარბოდა ცხენთანა,
მეც კი წილი მაქვ შენთანა.

დათვი საძაღლედ გაჭდა და
იმისი საქმე წაჭდაო.

შენც არ მინდოდი და
კარიც ღია დამიგდეო.

შინ არვინ აყენებდა და
მამასახლისობას ფიქრობდაო.

როგორც გიჭირდეს,
ეგრე გიღირდესო.

უამბოდ არ გადასწყდება
ემდენაი დევთა ხრიალიო.

კარგს მოქმედს
კარგი გამგონეც უნდაო.

უბედური ფრინველი
დაჯდომის დროს ადგებაო.

მკედარი მკედარს ეეკიდა:
სამარემდე მიმიტანეო.

არაი არას გედგეკიდა,
შენს იქით ღონე არა მაქვო.

საქირჯლავი წყალს მიხქონდა,
ამაყო თავი და ცხრა სოფელი გაქირჯლაო.

როგორს ტაშსაც შენ უკრავ,
ეგრე მე დავთამაშდებო.

ცხენდავარდნილმა
შინ მშვიდობის მეტი რაილა თქო.

რასაც დასთეს, იმას მამკო.



*ალპინისტები: მიტო სუჯაშვილი, ვიგუშა ქირიკაშვილი,
ლევან სუჯაშვილი. 1938 წ.*

როგორი ლოგინიც გიგია,
ფეკნი ისრი გაწოდეო.

რასაც ვერ შასწვდები,
იმას ნუ შეეწაწებიო.

უბედურს რაილა გააბედრიანებსო.

ქურდს რაი და ბნელი ღამეო.

დამა დას საცერი აუჭირა,
როგორც შენ მხედავ, ეგრე მე გხედავო.

ბრმას ხოყანას ცალთოლიც ორთოლიო.

ბრმაო, რას შჩივი და -
ორთავ თოლთაო.

ავი შვილი
დედმამის მაგინებელიაო.

ავს ნუ იზამ და ავისაგა
ნუ გეშინიანო.

თხას თხა ურჩევნია
ათასს სულს ცხორსაო.

ურემს სიმძიმე აჭრიტინებსო.

ერუვებისთვი მღდელი
მეორედ არ სწირავსო.

დამრჩოს წიწილას
კვერცხნი ეტყობაო.

უდროო ყანა არ ივნებაო.

დრონი ნეფობენ,
განა ნეფენიო.

კოკა წყალზე გათხტებაო.

ბევრი უჭდია ნაბადსა
ავიდარი და მზე ცხელი.

არ გათეთრდება ყორანი,
თუ გინდა ვქლიბათ ქვიშითა.

ცეცხლის თქმით
ენა არ დაიწვებაო.

გველი მუცელში არ დაინდობაო.

მელას მინდორში გაუთენდებაო.

სახელის გატეხას
თავის გატეხა შჯობიაო.

დაიპოცნეს ბედაურნი,
ვირებს დარჩა სინდახორიო.

სოფელი ვნახე უძაღლო,
უჯოხო დავილაჯები.

პატრონს დახედიან და
ძაღლს ისრი დახკრიანო.

თუ საქონელი პატრონს არ ღგავ,
არამიაო.

წილნი უარიათიაო.

ვირის წიხლი
საწყენი არ არისო.

ცხორი ცხორია და
თუ გაცხარდა, მცხარეაო.

კინჩიანს რაი და დიდი გულიო.

დარჩი არ იყო ბზიკაი და
ავიდარჩი ბზიკობდაო.

განა კოკა სულ მუდამ
წყალს ზიდავსო.

გველი გარე არი ჭრელი და
კაცი კი შიგათაო.

ბებერაი იანვარჩი
მარწყობ წავიდაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ამიტანდაიები)

ერთი საბელი მქონდა, -
ვკეცე ვკეცე ვერ დავკეცე.

(გზა)

თავმახვეული ბებერი
დედაშენს ეჯავბურება.

(სადღობელი)

გარეთ ოქრო, შიგათ ვერცხლი,
ძირს ცეცხლი, ზედ წყალი.

(სამოვარი)

დავამბავ, დადის
აუშობ - დგას.

(ქალბანი)

უსულოსა, უბულოსა
სამი სარტყელი არტყია.

(ცოცხი)

ჩემი ბატარა ველია
ბატონის საყორელი.

(ვერცხლის მანათი)

ტყეხი ჳარი შამივარდა,
გამო, გამო, გიშერო,
ძონძ-მანძები გადაყარა,
გამოვარდა შიშველაო.

(თხილი)

ამიცანდი, ცანდიო,
ტყეხი დავდგი ფანდიო,
ეგრე შავე და გამოვე
არ გამამყვა ტყლაპიო.

(ხის ფოთლების გაცვენა)

გამოცანას მაგახსენებ,
დიდი არაფერია,
ზოგა წითელ, ზოგა ყვითელ,
ზოგა აღის ფერია.

(ხალიჩაი)



ერობა გერგეტში

ორმო ბნელი, შიგ მაზვერი,
ძნელად მასატრიალები.

(კმალი)

ჩემი პატარა მანანა
ხან გაიცინებს, ხან – არა.

(ღამფაი)

ევი ევისა, ფეკნი დევისა,
კმა საზანდარისა,
ტყავი ეფხვისა.

(ბაყაყი)

აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი
მზით ავიდე, მთორით დავდეგი.

(ყინული)

ოთლო, თოთლო, ოთხო ბოძო,
ზაით მთაო ნათიბარო,
ქოით წყალო ნადინარო.

(ცხორი)

წყალხი ჩავაგდე, წყლად იქცა,
ცეცხლხი ჩავაგდე, ქვად იქცა.

(მარილი)

ჩემი ბატარა ბელაი
ბატონის საყორელია.

(ფული)

საკედენი ჰელი შავყავ,
ძუამ ძაღლამ მიკბინა.

(ჭინჭარი)

ჩემი ბატარა შუკუნა
ბროლით გამაჭედლია.

(კბილები)

ზაითითა წამოვიდა
რაის კილის კამურაო,
ქოით მელამ ყური მისცა,
რაის თხილის თხამურაო.

(ხორხოშელაი სეტყვა)

ორბი დაჯდა ორასი,
ფრთა გაშალა სამასი,
წვერი ხქონდა აღმასი,
ბოლო ოთხას-ხუთასი.

(წიგნი და კალამი)

აბურძგალამ შიპი შობა,
შიპმა აბრძგალაი შობა.

(ქათამი და კვერცხი)

კუბსა, კუბსა, კუბსარასა,
ნადირს ხკლავს და შჭამს არასა.

(თოფი)

შვიდი ფიცარი შვიდად შეკრული
ვერც ნეფემ გახსნა, ვერც იმის ჯარმა.

(დიდმარხვა)

ოთხნი არიან, ძმანი არიან,
ბაღჩას ჩაღიან, ჩაიმღერიან

(ძროხის ძუძუები)

ფეჩი ქვისა, ტრუბაი ხისა,
ბოლი ადის ბაღახისა.

(ყალივანი)

თოფი ხისა, ტყვია წყლისა,
ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

(წისქვილი)

ამე და ამე ჩხუბობდეს
ამე და ამეს კარზედა,
ამე რომ არ მისულიყო,
ამე მახკლავდა ამესა.

(ჭეკა-კლიტე)

მოიდა შავი მაზვერი,
გააგდა თეთრი მაზვერი.

(დღე და ღამე)

ერთი ჳელისაჯოცი მქონდა,
ვაშერ, ვაშერ, ვერ გავაშერ.

(ენა)

უზრუმელი გველი
მიწა-მიწა მძრველი,
ნადირს გახკლავს და არ შაშვამს,
ესაც საკვირველი.

(თოფი)

კმალი დაგხკარ, სისხლი არ დააჩნდა,
გუთანი გავავლე, კოლი არ დააჩნდა.

(წყალი)

კარი ბოსელნი შავაგდე,
კუდი ჭელნი დამრჩა.

(მსხალი)

ჩემნი ორნი ფრინველნი
ცის კიდურამდე მწდომნია.

(თოლუბი)



*ვლადიმერ ავსაჯანიშვილისა და ანეტა
საბაურის ქორწილი არშაში. 1934 წ.*

შელოცვა

თოლის ლოცვა

შაგილოცავ თოლისასა, გულისასა, პირველ ჩემის თავისასა.
გამოვიდა შავი კაცი, შაჯდა შავს ცხენზე, წამაისხა შავი ნაბადი.
წაივლა ჯიბას ჰელი, დანაი ამიღა შავტარი, დაკლა გველი წითე-

ლი,

შაწო უცეცხლოდა და შაჭამა უკბილოდა.

იჯდა ქრისტეს დედა მარიამი, იშლიდა თმასა ძოწეულსა.

ჩამაიარა ქრისტე ღმერთმა: - ქრისტეს დედა, მარიამ, რა გატირებს?

- გედემექცა კოკა გოზეული, დემეღორა წყალი ვარდისა.

- ნუ გეშინიან, ქრისტეს დედა მარიამო,

სამი უმძრახი მაიტანე: ორშაბათი, ხუთშაბათი და შაბათიო.

კოკა აგიდგება გოზეული,

წყალი ჩაგიდგება ვარდისა.

შენსა შამთოლაგსა, შენსა შამეულაგსა თოლსა ეკალი, გულსა
ლახორი, ბანით მესი, კარით ცეცხლი.

ეგრე გერგას ჩემი ლოცვა, როგორც დედიშენის ძუძუ.

ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

თოლის ლოცვის მეორე ვარიანტი

შაგილოცავ თოლისასა, გულისასა, უწინ შენის თავისასა, ჩვენ ვი-
ყავით სამნი ძმანი: მართო, მარკოზ და ივანე. სამნივე წავედით სანადი-
როდ. კოლი ვიპოვნეთ ქალისა, ქალ ქაჯეთისა. მახე დაუდგი, შიგა გა-
ვამბი.

თოლნი ხქონდეს ცეცხლისანი,

ფეკნი უკუღმართოს ჭიქისანი,

- ნუ დამთხრით თოლთა ცეცხლისათა, ნუ დამჭრით ფეკთა უკუღ-
მართოს ჭიქისათა.

ორფი ვარ, ორფერს გაზდილი, მიმავალს ვეცემი, მამავალს ვეცემი,
ქალს ფეროვანს ფერს წავართომ, კარს ძალოვანსა ძალს წავართომ. ნა-
ხა ისაც არ იქნება, ჩაუხტები ქრისტეს დედა მარიამსა, ჭურჭელს წაუქ-
ცევ ვერცხლისასა, წყალს დაუღვრი ვარდისასა.

ჩამაიარა ქუჯო დაწყველილმა:

- დედა მარიამ, რა გატირებს, მაგის წამალი ადვილია: სამი ორშაბათი, სამი შაბათი, სამი ხუთშაბათი.

- სამჯერ უსმელი, სამჯერ უშრეტი.

- სამჯერ იმით დაიბან, ტანი აგიდგება ალვისა, ჭურჭელი აგიდგება ვერცხლისა, წყალი ჩაგიდგება ვარდისა.

გასქდა უპირული კლდე. გამოვიდა წყალი შავი, ამახევა გველი შავი, დანაი ჩავეყვ ტარიშავი, ამოვიღე გველი შავი, შენს მთოლავსა, შენს მგუღავსა. თოლჩი ეკალი, გულჩი ლახორი, ბანით მეხი, კართ ცეცხლი, გააქროს და გაანიავას წმინდამ გივარგიმა ინდოეთისამა.

თოლის ლოცვის მესამე ვარიანტი

ახალ სახელო, ხთისაო, სახელი იქნა ხთისგნითა, შაგილოცავ თოლისასა, წინპირ ჩვენის თავისასა. ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი: მათე, მარკოზ და ივანე. მთას წავედით ნადირობა, კოლი ვერ ვხპოვნეთ ნადირისა, კოლი ვიპოვნეთ ქალისა, ქალი ქაჯეთისა. თოლჩი ხქონდეს ალისანი, კბილჩი ხქონდეს რვალისანი, წვივჩი უკუღმართოს ჭიქისანი.

ნურც თოლთ დამთხრით ალისასა, ნურც კბილთ დამამტვრევთ რვალისათა, ნურც წვივს მამჭრით უკუღმართოს ჭიქისათა. მიმავალს ვსძებნი მამავალსა, ჰარს ძალოვანს ქალს წავართომ, ქალფეროვანს ფერს წავართომ. თუ იქ ვერა გავაწყვერა, ჩაუჭდები ქრისტეს დედა მარიამსა, ტოლს დაუწყვეტ ძეძუელსა, თმას ჩამოუყრი ბრძეძუელსა, კოკას წაუქცევ ვერცხლისასა, წყალს დაუღვრი ვარდისასა. შამაბზანდა ქრისტე ღმერთი:

- რას სტირი, დედამარიამ, რას შჩივი?

- ჩამაიარა ქუჯმა ურიამა, ტანი დამიდრა ალვისა, კოკა წამიქცია ვერცხლისა, წყალი დამიღორა ვარდისა.

- ნუ სტირი, დედა მარიამ, მაგის წამალი ადვილია: სამი შაბათი, სამი ორშაბათი, სამი ხუთშაბათი, ამიღე წყალი უსმელი, ჩაუფარე ნიგუზალი. ლოცვა ჩემი, რგება ხთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი.

ეგრე გერგას ჩემი ლოცვა, როგორც დედიშენის ძუძუ.

თოლის ღოცვის მეოთხე ვარიანტი

ახალ სახელო ხთისაო, მშველელო ჳმელეთისაო, ხოყანაზე მოარულო. ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი, სამებისა ძალისანი. მთას წავედით ნადირობა, კოლნი ვერ შოგხედეს ნადირთანი, კოლი ვიპოვნეთ ქალქაჯისა. ნუ დამიჭერთ, სამნო ძმანო, მიმოვალსა - მამავალსა, სუყელას გზანი გადუღობნა, ქალს ფეროვანს ფერი წავართო, ბაღღს ძალოვანს ძალი წავართო, ძროხას ძუმკერდი გაუჭმა. თუ იქ ვერა გავაწყვე რა, ჩაუღგები ქრისტეს დედას მარიამსა, თოლებს დავსთხრი გიშლისასა, ტოლს დაუწყვეტ ოქროსასა.

ატირდა დედა მარიამი, ქრისტე ღმერთი დაიბარა, ჩამოვიდა ქრისტე ღმერთი: - ნუ სტირი, დედა მარიამ, მაგის წამალი ადვილია:

- სამნი მახვილნი უმძრახისანი, ცეცხლის ნიგზურანი უქურთოსანი. გაიტანე მდინარეზე, შაბათს შამამავალთა ჳელიკუღმა გადაყარე, თან გადააყვალე თოლნი უწმინდურისანი, გულნი ბოროტისანი, შენსა მთოლაგსა, მგულაგსა ბანით მესი, კარით მტერი. გააქვერ და გაანიავე. წმინდაო გივარგიო, ინდოეთით მახზანებულო ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

თოლის ღოცვის მესამე ვარიანტი

შაგილოცავ თოლისასა, გულისასა, ნეფისასა და დედუფლისასა, შავგერემანისასა, თეთრფეროვანისასა, მწითურისასა, უწვერულისასა. დავდიოდი აღუხითა - მალუხითა, ჩიხმალუხითა კარგითა, ვსძებნიდით კოლთა ქაჯეთისასა. კოლი ვიპოვნე ქაჯეთისა, თოლნი ხქონდა აღისანი, წვივნი უკუღმართოს ჳიქისანი, ჳის დედა მარიამი კართა სამოთხისასა. ტანი აქვ აღვისა, თმა ბროწეული. კოკა ედგა მკერდითა, შიგ ედგა ვერცხლის წყალი. ჩამაიარა ქრისტე ღმერთმა: - რაი გატირებს, დედავ მარიამო?

ჩამაიარა თაჯი-თუჯით დედაკაცმა. თოლინჯლისანმა, კუდინჯლისანმა. ტოლი დამიხია ძოწეულისა, ტანი წამიქცია აღვისა, წამიქცია ოქროს ქსელი, წყალი დამიღორა ვარდისა.

გასქდა შავი კლდე, გამახყვა შავი გველი, ჩაყავ შავტარავ დანაო, განთ გადაშჭერ, განს გადაუჭერ შენს შამთოლაგსაო, შენს მგულაგსაო, კარით შატანიღს სარკმლითამც გაუტანენო.

ლახორიმც მახვდება გულჩი და თან გაიტანს. შავი გველი ყელყურზემც ჩემეკიდება. ფუი, დასწყიას წმინდამ გივარგიმა და გადახკრას თავისი ცეცხლიანი მათრავი. თოლაიმც გემეეთხრება შენს შამთოლაგსა. ღმერთო, შენ დასწერე ჯორი.

საკმეის ქარის ლოცვა

საკეკი შამაჩვეულა სათიბისა ბოლოსა, ეგრე შჭამდა რკინასა, როგორც კარი თივასა. ბატარაი ცული ხესა შჭრის, წემეეგება ტარადა. ჩემი ლოცვა შენ შეგერგას წამლადა. წმინდამ სამებამ დახკრულას, გაპარულა დილასა.

მეორე ვარიანტი

საკეკი შამაპარულა სარკინისა ბოლოსა, ეგრე შჭამდა რკინასა, როგორც კარი თივასა, ის ტიალი და ოკერი გაპარულა დილასა.

წითელის ქარის შალოცვა

ახალ სახელო ხთისაო, მოწამეე კმეღეთისაო. მადლო ხთისაო და ბარძიმო დედამიწისაო, ისრიე ხთით გაჩენილისაო. ცხორისაო, მეცხორისაო, კარისაო და გუთნისაო. გეელა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი, იმას გამახყვა წითელი ცხენი, თავის მორთო-მართულობითა.

გეელა ლემანი კლდე, გამოვიდა ლემანი კაცი, უწვერული. იმას გამახყვა ლემანი ცხენი უფამფრო, თავის მორთო-მართულობითა. გეელა ლურჯი კლდე, გამოვიდა ლურჯი კაცი, გამახყვა ლურჯი ცხენი, ლურჯის მორთო-მართულობითა.

ჩაუყარა დეკის კონანი, აავსნა კალონი, შარეკნა ას-ორასი ცხენი და კარნი მიღეწნა-მაღეწნა, მიხვიე-მახვიენა, შაანიავნა. ჩამაბზანდა ქრისტე ღმერთი: რას სტირი, დედა მარიაჲ, რას დაგითხრია თოღებო?

მაგის წამალი ადვილია.

ქომო ნუ უგდებ ნიავსა, ზაითკე ნუ ატანინებო, ზემო შაუგდე ნიავი, ქოითკე გაატანინე. ლოცვა ჩემი, რგება ხთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!



ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში

დამწორის ლოცვა

ახალ სახელო ხთისაო, სახელი იყოს წმინდისა თევდორისა. თევდორე ელაგდა, ზღვა დელაგდა, ზღვისპირა ხუცესი ხვწავდა, სთესავდა, ხფარცხავდა.

წმინდა თევდორე ჯავრობდა, წყრებოდა, ბობოქარობდა. ისა ვინა თქო, ქვა კწულა, ქვიშა თესილა, იმაზე პური მასულა? ვინ ნახა, დამწორი ძირს წასულა. ლოცვა ჩემი, რგება ხთისა, წმინდისა თევდორისა, დმერთო, შენ დასწერე ჯორი.

მეორე ვარიანტი

ახალ სახელო ხთისაო, სახელით იყო ხთისგნითა.

ელი ელაგდა, ზღვა ბიბინებდა,

ზღვის პირს ხუცესი ხვწავდა. ესა ვინა თქო, ქვა კწულა, ქვიშა თესილა, იმაზე პური მასულა?

გველის უღელი, ფსვენის ტაბიკი, ვინ ნახა, რო დამწორი ქოით წასულა.

ლოცვა ჩემი, რგება ხთისა, დმერთო, შენ დასწერე ჯორი.

ბედრიანის ღოცვა

ახალსახელო ხთისაო, იქნა ხთისგნითა, ქრისტეს შაწევნითა, ქრისტე ღმერთის თანხმობითა, უბედურთა კვნესითა და ბედრიანთა დიდებითა. ბედო, ბედო, ბედრიანო, ტანადო და შვენიარო, ამახოლი ცეცხლივითა, დაღბრუნდები ვერცხლივითა.

ფეკთ მცმია რკინის ქალბანი, კვლთ მჭერია ურძის ყავარჯენი, კმელეთი შამოვიარე, ზღვა ჩქეფით გამოვიარე, ცის კედურამდე მივლია, მაგის წამალი ვერ ვიშოვნე.

ჩამოვიდა ქრისტე ღმერთი: კაცო რას სტირი, რას შჩივი, რას დაგითხრია თოლებიო? მაგის წამალი ჩემგა სწავლებული მიიღე წამლადაო.

თეთრი შაქარი, პირიმზის ბალახიო, პირიმზის მადლიანი გოგრაის ყელი, შავი ქათმის ჩივი.

ღოცვა ჩემი, რგება ხთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

შაშინავულის ღოცვა

ოსანეთითა მოვდივარ, მე ვიტყვი აღსარებასა, ეშმაკო, შენ კი დვეგვეხსენ, არა ვართ შენსა ნებასა, ფუი ანტიქრისტესა, ეშმათაგა შასყიდულსა, ქრისტეა ჩვენი, ჩვენ ქრისტესანი ვართ.

ნათლიმცემლის მანათლულთა ნათელღებას დაგსწრობივარ. ეშმაკები ქრებიან, დევები იკოცებიან, ქაჯები იფანტებიან.

დიდია და ძრიალი ქრისტე ღმერთი.

წმინდა გივარგი იმის მათრავს ვერ გაუძლებს. ავი ქარი ხოყნიარობისა.

ცით ჩამოვიდა ელაი, სული დადგება ძრიალი. შენამც მეგეწევიანათასნი თოლნი ხთისანი: მარკოზისანი, ნათლიმცემლისანი, ყველაწმინდისანი, ხთისმშობლისანი. ზაქარიასანი, წმინდის სამებისანი. პეტრე-პოვლე პურსა შჭამდეს ივარდანეს ყანაზედა. პეტრე, რატომ არ შჭამ პურსაო. პური მამხვდა გულსაო, გაღვარდება, გაგორდება, როგორც ცვერცი ტყისაო. რამა შაგაშინაო? არაბმა შაგაშინაო? ლეკის ბელადმა შაგაშინაო? ღამე მავალმა შაგაშინაო? დღე მავალმა შაგაშინაო? თოლდაჭყერილმა შაგაშინაო? კბილგაკრეჭილმა შაგაშინაო? კუდიანმა მასკვლევემა შაგაშინაო? ჭექა-ქუხილმა შაგაშინაო? კმამალმა შაგაშინაო? კმადბალმა შაგაშინაო? შავგვრემანმა შაგაშინაო? თეთრფეროვანმა შაგაშინაო. თუ დიდოთა მაციქულმა შაგაშინაო? ქორი შაჯდა ქანდარასა, შენი გული ალაგასა. სპილოს გულიმც გექნება, როსტომის მკარბეჭიო, ტარიალის მკლავებიო, წამალი შენ გაუკე, წმინდაო გივარგიო. შენ გადააფარე შენი კალთაიო.

უშაგოს ღოცვა

ქრისტეს ბზანებით მოდიოდეს პეტრე და პოვლე, როსტომ და ტარიალ და ამირან, ქრისტე ღმერთის ნათლული.

წინ დახვდა წმინდა ესტატე სამოცდასამის თავითა.

- სად მიზდიხართ, შავნო ძმანო, თქვენის შავის ძაღლებითა?

- ჰევს მივდივართ სასმელადა, საჭმელადა, ბაღღების შასაწუხებლადა, პატრონების დასაღონებლადაო, ხალხის გამასაცდელადაო.

- გირჩევთ დადბრუნდეთ, შავნო ძმანო, თქვენის შავის ძაღლებითა.

- არ იქნება გაბრუნება, გზასა მივდივართ, გზათა იადთა.

გამოდი თუ გამახოლი ჩემის ფრანგული დანაითა. გამოდი თუ გამახოლი შავის ღორის ღრუტუნითა.

გამადი თუ გამახოლი შავის კატაის ბღავილითა, გამოდი თუ გამახოლი შავის ლეკვის ყეფითა, გამადი თუ გამახოლი შავის მამლის ყივილითა, გამადი თუ გამახოლი შავის ჰარის ყვირილითა.

- გამოვალ, წმინდა ესტატე, სამოცდასამის თავითა, ქალსა მახქონდეს, მდინარეთან მახქონდეს თავის აღნი, ჩაუყარე ნიგუზალი, ჰელუკუღმა გადაყარე, თან გადახყვეს თავის აღნი. ღოცვა ჩემი, რგება ხთისა. ღმერთო, შენ დასწერე ჯორი.

ეგრე გერგას ჩემი ღოცვა, როგორც შენის დედის ძუძუ.

ჰარის ყოვილის ღოცვა

ღმერთო, შენ მამე ძალა და შეწვენა.

ზღვას იქით ვიყავ, ზღვას აქეთ ვიძაღებოდი. ჰარის ნაჭლიკავჩიგა, ცხენის ნაქაჩარჩიგა, ჰარის რქას მოვხვდები, ცხენის ფამფარსა, ვაშკაცის მკლაფსა.

დედაკაცის ძუძუსა, ქრისტეო ღმერთო, თუ შენ არა მცნობ, კაცი არ მიცნობს ადამიანი. მე ვარ ყოვილი ბოროტისა. გამოდით მამა-ძმა, სულმა წმინდამა, თორო დაგცემ ჩემსა დანასა, არა არის ამის წამალი? გოგრაის ყელი, დიკის ფქვილი, ვარიანი ჩემი თავისა.

ექოსი

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

ტარიალმა მამიდასა:

ეგა კაცნი ვინ არიან,
ცხენებს შჭედენ,
აბჯრებს ადგმენ,
კაცნი მეუცხოვებიან.

მამიდამ უთხრა: ბიძაშენსა ქალსა სთხოვენ, საჯორწილოდ შადლო-
დიანო.

ბიძას ჩემს რომ ქალსა სთხოვენ, ჩემსას რასდა გააგებანო.

ტარიალმა დაიქაღნა, რომ იმათ ცოცხლებს არ გაუშობო.

და, მართლაც, დაჯოცა. ამაზე ნუფე გაჯავრდა და ტარიალს უთ-
ხრა:

ტარიალ, დაგსვი ვეზირად,
საქმე შენ გაგაბჭობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
როტომ არ შამატყობინე.

გაჯავრებულმა მამიდამ ქალი კიდაბანჩი ჩაასვინა და წყალში ჩა-
აგდებინა.

როცა ტარიალმა გაიგა ეს ამბავი, მაშიენე წავიდა საძებნელად თა-
ვის მიჯნურისა.

ტარიალი დადიოდა წყლის პირას და ტიროდა:

წყალო, რა უყავ ჩემი მზე,
წყალო, შენ არა გვიანო,
არც გეკრის თოფი, არც კმალი,
არცა შუბი დეგეცემა,
წყალო, დაგლეგ და დაგაშრობ,
ამის მეტი რაი იქნება.

მონადრეებმა დაინახეს ის ყმა და მივიდეს იქა.

ერთი ვინმე ზღვისა პირსა
დამტირები ღგვანდა გმირსა,
წვრილად ესხა მარგალიტი
მაგის ლაგამ -უნაგირსა.

კაცმა რომ ყური დაუგდას,
საკვირველს კი რასმე სტირსა,
დიდი ველი მეეთვირთლა
მაგის თოლთა მანაწურსა.

ახლა წავიდეს ის მონადირეები და როსტავანთ მეფეს უთხრეს,
ჩვენ ერთი საკვირველი რაიმე ვნახეთო, ზღვის პირსაო. ესლა ჯარები
შახყარა როსტავანთ ნეფემა ამ ყმის დასაჭერლად. ავთანდილიც გააყ-
ვალა, როგორც ნეფის ჯარების სარდალი.

ტარიალს კრუგი დაარტყეს და შვინდ-ისრები დაუშინეს.
ტარიალმა თქო, ეს რა ამბოვიაო.

ფიცხლა შაჯდა თავის ცხენსა,
ცხოკე მჭარეს ემართა,
მათნი ჭირნი არ გახკრულნა...

არ უნდოდა იმათი დაკოცა, მაგრამ გზები შაუკრეს. და გზები არ
მისცეს. მახყვა ამ ჯარებსა და ერთს საათნი გაათავა. დაყარა როსტო-
ვანთ ნეფე და ავთანდილი, როგორც მექონა და ვერ გაიმეტა კარგი ჭა-
ბუკები სასიკვდილოდა. ესლა წავიდა და დაიკარგა ტარიალი.

დაბრუნდეს უკენ როსტოვანთ ნეფე და ტარიალი.

როსტოვანთ ნეფე საბნელონი შავიდა, ეგ რაი იყო და რაი მემქნე-
ნაო. ყველა კუთხეხნი დაგზავნეს კაცები, კაცი იყო თუ რაი იყო, გამი-
გეთ ისაო.

გაგზავნილმა კაცებმა ვერა გაიგეს რა. მამრე ავთანდილს უთხრა
როსტოვანთ ნეფემა: შენ წადი სამის წლის ვადითა, თუ გაიგე, რაი კა-
ცი იყო ეგა, ჩემს ქალს ცოლად მაგცემ და სანეფოსაც შენ ჩაგაბარებო.

ახლა წავიდა ავთანდილი, სამი წლისა სამი თვედა დარჩა. მინ-
დორნი სამი კაცი შეეყარა, კემწიფის შვილები და იმათთან მივიდა.
იმათ უმცროსი ძმა უკვდებოდა. ავთანდილმა უთხრა, რა ამბოვია, რაი
დაგმართებიათო. ამათ უპასუხეს:

ერთმა შენსავით მოყმემა
ცხენხეთქით ჩომოვიარა,
ჯამბარას წიხლი დოგიკრა,
ზღვას იქით გოგისრიალა.
მუცელსა წიხლი ჩოგიკრა,
კუნელმა ამაიარა,
იმან რო პირი გაადა,
შუქმა მთა გადაიარა.

უმცროსი ძმა შეეგება წინა, დახკრა მათრაკი და მკერდამდე გააპოვო.

ესლა ავთანდილი ეუბნება, რომ საითკე წავიდა ის კაციო. ჭემწიფის შეილები ეუბნებიან: აგარ, მინდორჩი რომ მიდის შავადა, ის არისო., ავთანდილი გამოუდგა, მაგრამ რო დეეწიას, ის არ უნდა, ვაი თუ ანაზდეულზე გამაფუჭასო. ესლა ტარიალი ტყეჩი გავიდა და ავთანდილმაც მაში დაუნქარა ცხენსა. ტყეჩი რომ შავიდა ავთანდილი, ჩქარ გადმაფრინდა ცხენზედითა და ხეზე ავიდა. იქით უნდა გაიგას, სად წავალის ეგ კაციო.

ტარიალი მივიდა გამაკოფილს კლდეჩი. იქით დედაკაცი გემეეგება. ეს დედაკაცი იყო ასმათი, რომენმაც ტარიალი გაზარდა. ცხენი ჩამართო და გაუშო. თითონ შავიდეს ქოხნი. ავთანდილი ხეზედით უყურებს ამათა. დადამდა. ავთანდილი ჩამაჭდა ხეზედითა და ძირს ტყეჩი გაათენა. დილა რომ გათენდა. ისრივ ხეზე აჭდა.

ავთანდილი ხეზედით უცქერს, ისინი რას იქნიან ან ვინებია. ასმათმა ცხენი შაუკმაზა, შაჯდა ტარიალი და წავიდა, მინდორჩი დარჩა მარტო დედაკაცი. მაში თქო ავთანდილმა: ამ დედაკაცთან ავალი, მე ესლა გამაგებინებს, ვინ არი ეგა.

ავთანდილი უცებ შავიდა ქოხნი. ეს ასმათი შაშინდა: - შენ ვინ ხარ ან თუ რამ მაგიყვანა აქა?!

ავთანდილი ეუბნება: - მე ადამიანი ვარ.

ასმათი ეუბნება:

- არა შენ შმაგი ხარო, შმაგი...
- აბა, მითხარ, ეგ ვინ იყო შენთანა?
- არა, არ გეტყვი, თქმა არ შამიძლია.

ავთანდილი წამადგა და ყელჩი ხანჯალი დააბრჯინა: - აბა, მითხარ, თორო მაგკლავ. ასმათი არ შაშინდება და ეუბნება: - მაშკლავ და მადლი მამივა, მოვრჩები ამ წვალეხასა.

ავთანდილმა, შაშინებით რო ვერა გააწყო რა, დაჯდა და დაიწყო ტირილი მოთქმით. სამი წლისა ორი თველა დამრჩომია, მეკარგება ჩემი მიჯნურიო. ასმათმა ყური დაუგდა ამის ლაპარაკსა, ესაც მიჯნურზე ყოფილა დაღონებულიო.

- კარგი, ნუ სტირი, გეტყვი, რაკი შენც ტარიალივით მიჯნურზე ღონდები. ეგ ტარიალია, თავის მიჯნურს ზძებნის, რომენსაც სახელად ნესტან-დარეჯანი სქვიანო. ახლა დაგმაღავ ლოგინჩი, რო უეცრი მოვიდეს, არ გაგაფუჭას.

ამ დროს ტარიალიც მოვიდა, დაუტოცია ბევრი მჭეცები, გაუკიდებია ტახტაზე. შამოვიდა შინა, დასხდეს ისა და ასმათი და დაიწყეს ტირილი.

ასმათი ეუბნება ტარიალსა: შენს მიჯნურს ვერ იპოვნი, ის განა მჭეცებჩი იქნება. ან თუ განა მინდორჩი იქნება, ხალხჩი ის იქნება, გო-

როდღი, აბა როგორ იპოვნი შენ მხეცებში, შენ ხალხს არ ეკარები, ნუ-
თუ არვინ გყავ შენა სოყანათაზე, რო გაიჩინა ამხანაგი.

ტარიალი ეუბნება ასმათსა: - კი მყავ, როგორ არა, ერთი ფრიდო-
ლი, მეორე ავთანდილია. ეგენი ჩემი ნათესავები არიან და არ ვიცი კი,
სად არიან.

- ავთანდილი რომ მაგიყვანა, რას უზამ? - ეკითხება ასმათი...

- არაფერს არ უზამ.

- მაშ, ხთის ფიცს მამცემ, რომ არას დაუშავებ? მე ავთანდილს
გაჩვენებ.

მისცა ფიცი, რომ არაფერი დაუშავას. ავთანდილი და ტარიალი
ერთმანეთს გედევხვივნეს და სამი დღე და ღამე ისაუბრეს თავის თავგა-
დანაყარზე.

- ტარიალ, აღარ გახსონს, ზღვის პირზე ჯარები რომ დაგიკოცე,
იმას უკენ გძებნი. ტარიალი ეუბნება: - ძალიან დიდი ხანია ეგ საქმე,
მაგრამ მახსონს.

- თვენახევარიდა დამრჩა, თუ არ მივე და ამბოვი არ მიუტანე შენი,
მიჯნურზე კელი მეღება. დამითხოვე შინა ეხლა და ხთის ფიცს მაგცემ,
რომ ისრივ მოვიდე აქა, დეგეკმარები კიდეცა და სადაც იქნება, ვიპოვნი
კიდეცა.

ავთანდილი წამოვიდა თავის საკემწიფოში. გამოუცხადა როსტო-
ვანთ ნეფესა, რო ის ტარიალი ყოფილა, რომენიც თავის მიჯნურს სძებ-
ნის, ხთის ფიცი მივე, რო ისრივ უნდა წავიდეო, მაგრამ როსტოვანთ ნე-
ფე არ უშობს.

თეთრი შინ დაკლა
ფურბერწი,
შავი თან გაიყვალაო,
ციხით იჭყვივლა თინამა,
ავთანდილ გაიპარაო.

ავთანდილი მივიდა ტარიალთანა.

მაილაპარაკეს და ავთანდილი წავიდა ნესტანის საძებნელად. ავ-
თანდილი დადიოდა და ზძებნიდა გოროდებში. შახვდა სადღაც სიტყოსა,
რო ტარიალის მიჯნური ქაჯებს ხყავ ციხეში.

ამბოვი სამის ბმირისა

ერთხალ ერთად შაიყარნეს სამნი გმირნი:

ტარიალი, ამირანი და როსტომი.

უთხრეს ერთმანერთსა, ვინ რაიმე ვნახეთ ხოყნიერობაზე სუყელაზე საკვირელი.

როსტომმა თქო: ერთხალ მინდორჩი დამიღამდა, სულ მარტუაი ვიყავ, ძე ქრისტიანი იმ მინდორჩი არ მაიბადებოდა. ერთბაშად ჩემს წინ გავიგონე ფეკის ჳმა. მივიხედე-მოვიხედე და დავინახე კაცი. ერთი მტკაველი ტანი ხქონდა და ერთი ციდაი წვერები. გამიკვირდა, რო ჩემს წინ გულიანად მიღბიჯავდა და დავუბახე: ეი, კაცო, კაცო, ვინა ხარ და ან სად მიზდისარ. იმ კაცმა მითხრა: მეო მივედივარო როსტომის ჯოგის მასაპარავადო. მამრე მე მკითხა, შენ ვინდა ხარო და ან სად მიზდისარო. მე უთხარ, მეც როსტომის ჯოგის მასაპარავად მივედივარო. მაშ დავემობილდეთ და ერთად წავიდეთ, - უთხარ მე და წავედით ორნივე ერთადა.

როცა ჯოგთან მივედით, ის საკვირელი კაცი გადაფრინდა ბაქჩი და დეერია ცხენებსა. დაავლებს თითო-თითოს ცხენსა ჳელსა და გადამასტყორცნის გალავნის გარეთა.

სულ ბოლოს რო ცხენი გადმაიწია, იმას ფეკი მოუთხტა, მაგრამ მაინც არ დაავდა წაუყვანი. როცა დიდი გზა გავიარეთ, მაში უთხარ, მე რას მინაწილებ-მეთქი.

იმ კაცმა შამამაბღვირა და მითხრა გაჯავრებითა: თუ გინდა ეგე ეგ კოჭლი ცხენი წაიყვანე, თუ არადა დაიკარგე აქათაო.

მე დაეხყაბულდი. როცა კიდავ კარგა გზა გავიარეთ, ვსკითხე, შენ არცრაისი არ გეშინიან-მეთქი. არაო, არცრაისაგა არ მეშინიანო, გარდა როსტომის დაჭყვივლისა და იმის რაშის დაჭიკვინებისაო. ეს ამბოვი რომ გავიგე, გამიხარდა. წამოვიყვანე ჩემი ნარგები კოჭლი ცხენი და წამოვე.

შავჯე ჩემს რაშზე და ჩქარადვე წამოვეწიე.

წამოვშჭყივლე მე, დაშჭიხვინა ჩემმა რაშმა. ასთხტა ერთი უბედურობა. იმ კაცმა ერთი ციბრუტივით შამაიტრიალა და გაქრო. დავირეკე ჩემი ცხენები და მოვრეკე შინა. მე იმ კაცივით საკვირელი არა მინახიარა ამ ხნისა და ამდენი ჳირ გადავდილობის პატრონსა.

ახლა ტარიალი მახყვა თავის საკვირელს ამბოვსა: ერთხალ თორმეტი გმირი ომგადავდილნი მოვდიოდით ერთს მინდორჩი. დოგოდამდა და ქოსს რასმე დაუწყეთ ძებნა, რომ თავი შევგვეფარა. იმ დამესა ქოსი კი ვერა ვიპოვნეთ რა და ერთს საკვირელს ხოსრიალას წავადეგით.

თორმეტივ გმირი შიგ შავედით და კიდავ ადგილი დარჩა. იმ დამეს იქ დავიძინეთ. დილაზე თურმე ჩამოუვლია ერთს მეცხორესა, გაუკრია წიხლი ხოსრიალაისათვი და დაუგორებია და მაშიდა გავიღვიძეთ და დამტვრეული-დამსხვრეულები გამოვედით.



და ეს ორი კბილიც მაში დავიმტვრიეო. მამრე თორმეტმა გმირმა ვინატრეთ, რომ ის კაცი, ვისიც ის ხოსრიალი იყო, ცოცხალი გვენახვა. ვილოცეთ, ვილოცეთ, ბევრი ვოლოცეთ და დაიწყო ამ ხოსრიალამ ჩუჩუნი.

იჩუჩუნა, იჩუჩუნა და დეეჟუდა უშველებელი კაცი. ეხლა იმაზე ვილოცეთ, რომ გაცოცხლებულიყო და თოლები კი არ ეეხედა.

იჩუჩუნა, იჩუჩუნა და გამთელდა და დაიძახა: ვინა ხართ, ყმანო, ვინ ილოცეთ ჩემთვისო, ვინ გამაცოცხლეთ, თოლებიც ამახედებინეთ და იმ ღმერთს ვიფიცავ, რამაც ხოყანა გააჩინა, რო არას გავენებთო. თორმეტმა გმირმა ვილოცეთ და თოლებიც აგახედებინეთ. მიიხედა, მაიხედა, გადაავლა თოლი მთა-ბარსა და თქო: ძრი-

ალ გამაცვლიდა ხოყანაო, სუყელას სისხლის ფერი აქვსო. მთელს ხოყანას ცოდვა-ბრალის იერი და გაუტანლობის, დაუნდობლობის სუსხი აქვო. ეს ხოყანაკი არა, ხოყნის ნაგრილიაო. ოხ, დიდებულო ჩემო დროვო, - ცას ახედა, მამრე თოლებზე ჰელი დაიფარა, თქო: დალოცვილო ღმერთო, ბედრიანს მკედარს უბედური სიცოცხლე რასდა მამანახვეო. მამრე მოგიბრუნდა და გვითხრა ჩვენა: წადით აიმ ქოხნი, ჩემი ნადგომია, იქ პურის ნატეხი რაიმე დარჩებოდა და მამიტანეთო. მოუტანეთ. მამრე ჩვენი პური მიგოტანინა. მოუჭირა ჰელი თავის პურსა და რქე გემეედინა. მოუჭირა ჩვენს პურსა ჰელი და სისხლი გემეედინა. მამრე გვითხრა: ხედავთო თქვენს პურსა, როგორ ბოროტად გადაქცეულა ხოყანა... მე თქვენს დროს სიცოცხლე არ მინდა და ილოცეთ, რომ ისრივ ხოსრიალად გადამაქცია, თორო სულ ნიავად გაქცევთო.

ვილოცეთ, ვილოცეთ, და ისრივ ის ხოსრიალი დეეჟუდა მინდორჩი. ჩვენ კი გააკვირებულებმა პირჯორი გამოვიწერეთ. მე ეს ვნახე საკვირელი.

ახლა ამირანმა უამბა თავის საკვირელი ამბოვი:

ერთხალ დამიღამდა და ქოხს შავაფარე თავიო. შუადამის დროს წყალი მამწყურებიყო. გამოვე, მივიარე-მოვიარე და წყალი ვერცა ვიპოვნე. მეორეს დილაზე წამოვე და ერთს რუვს მივადე. ემ რუენი სისხლი ხან ჩამოვა და ხან დაშრება.

დავხყევ ემ რუვსა და მივადე ერთს უშველებელს დევსა, რომენ-საც წინ შუბი დეეჟუდა და სისხლი გადმანქეფებდა. მივე და უთხარ დევსა: რას შნადიხარ-მეთქი ამასა? დევმა მითხრა: შენ ვინ კაცი ხარ, რო ეგრე გულად მასულხარ ჩემთანაო? მე უთხარ, მე ამირანი ვარ - მეთქი. შამამხელა და გაუკვირდა, რომ გაიგა ჩემი ამირანობა. დმერთს შენთვი ჳმა დიდი მოუცია და ტანი კი ბატარაი, მაგრამ არა უშავ რა, ვიცი, დემეჳმარებო. ემაზე გამაივლის ერთი თეთრი დევი და სულ გად-მანათებს მთა-ბარსაო და მაში გამაღვიძეო. იმას მახყავ ერთი მზეთუ-ნახავი ქალი და მე უნდა წავართოო. ადგა, სამი წიხლი დახკრა მიწასა და სამი ორმო გააკეთა და მითხრა: როცა ჩვენ ომს დავიწყებთ, შენ იქი-აქა დავიწყე ფრენა აი, ამ ორმოჩიო... როცა ჩვენ შუას ომს ვიქნებით, შენ მეორეს ორმოჩი გადაფრინდი და დიდის ჳმით დაიკივლეო, დახკარ და მეგეშველებო. მესამეს ორმოჩი რო გადახოლი, კიდავ მითხარ, დახკარ და მეგეშველებო. იმ დევს გული გაუთხტება და მე დავსძალა-ვო.

ბატარა ხანია და გადმანათა თეთრმა დევმა. მოვიდა ახლოსა და გაიმართა ჩხუბი კიდეცა. მე, როგორც იმ დევმა დამარიგა, ისრი ვიქცეო-დი. როცა მეორეს ორმოჩი გადაფრინდი, დავიკივლე: დახკარ და მეგეშ-ველები - მეთქი! ახლა მეორედ გავხბახე: დახკარ და მეგეშველები-მეთ-ქი!

ჩემმა გაგულადებულმა მოუქნია შავმა დევმა და დახკრა ჳმალი ისრი, რო სული გააგდებინა.

მაკვდა თეთრი დევი და ის ქალი დარჩა შავს დევსა. მამრე იმ დევ-მა მითხრა, რო თუ რაიმე დნახა საკვირელი, არა გაგიკვირდეს რაო. მო-ვიხედე და დევს შუბლჩი თოლი გამოუვიდა. შავხედე და გამიკვირდა და უთხარ: ვაიმე, ეგ რაი ამბოვია-მეთქი, შუბლზე თოლი. დევმა მითხრა: აი შენ და არ გაშენებაო და დალია სული. დავრჩით მე და ის ქალი. იმ ქალმაც გაიგა, რომ მე ამირანი ვიყავ და მითხრა, მე შენს იქით აღარ წავალიო. წადი, ჳარები მაიყვანე, ურემი და ეს მკვდრები დავმარხათო და წავიდეთ აქათაო.

მოვიყვანე ჳარები და დააწყო მკვდრები ურემზედა. წავიდეთ. ერთს დევს ფეჳი გადმადვარდნიყო და მითხრა იმ ქალმა: არიქა, ის ფეჳი გად-მოვარდა და შააგდე ურემზეო.

მივე, ვეზიდე, ვეზიდე, მაგრამ ადგილზედითაც ვერ დავძარ. მაში მოვარდა ის ქალი, დასცა ჳელი ფეჳსა და შააგდა ურემზე. მამიბრუნდა და მითხრა:

ისამც ადგილი კრულია,
სადაც შენ ამირანობდიო,
წესი რო იყოს დედათი,
ადგილად გინადირებდიო,

დაგკრავდი მათრავის წვერსა,
სულ გიდელ-გიდელ გაგრევიდო.

დახკრა ფევი და გადაიარა მთანი ერთის ბობოქრობითა.
მე ეგ ვნახე საკვირელი.
იმ სამმა გმირმა დადევს პირობა, რო სადაც ერთს გაუჭირდებოდა,
სუყელანი იქ ყოფილიყვნეს.
მაში როსტომმა უთხრა ტარიალსა:
ნეტაი შენი მზე ეხლა იყოს ქაჯეთით დასახსნელი და ომს გიხვე-
ნებდიო.

ამირანანი

უსიბ, ბადრი და ამირან
ობლები დავიზარდენით,
ვინც კარგი გვიყო, გოხსონდა,
მუშახი დევეკმარენით.
ვინც ავი გვიყო, გოხსონდა,
კმალდაკმალ დევეტანენით,
ავდეგით, კალხეთს წავედით,
ქურდულად ჩავიპარენით.
სამნი ჩვენ და ცხრანი დევნი
ერთად სამ შავიყარენით,
ვერც იმათ გოვნეს, ვერც ჩვენა,
ბარდაბარ გავიყარენით.
გამოვიარეთ მინდორი,
მინდორია დიდი გზისა,
იქ ერთი კოშკი შომოგვხვდა,
ანაგები თლილის ქვისა.
უარეთ სამი დღე-ღამე,
ვერ ვიპოვნეთ კარი მისა,
სადაც მზემა შუქი დახკრა,
იქ ამირან წიხლი მგლისი.
შავხედეთ და შოგოზარა,
შიგ წევს მკედარი ცამცუნისი,
თითთა შუა წიგნი ხქონდა
დაწერილი ქაღალდისი.
ესა წიგნი იმას ამბობს,
არც დედა მყავ, არცა მამა,
არცა თვისი ნატამისი,
არც ეგეთი ტიალი ვარ,
დისწული ვარ სამთავ ძმისი.
სალამ ვიყავ, დევნი ვკოცე,
ჯავრი აღარ მიმდევს ვისი,
ვერა შავხედი ბაყბაყს დევსა,
მარტო მიმდევს ჯავრი მისი.
ვინც მე იმას არ შამაჭმევს,
ჩემი კმალა ალალ მისი,
ვინც მე მიწას მიმაბარებს,
ჩემი რაში ალალ მისი.
თქო უსიბმა, დაემარხათო,
დისწულია სამთავ ძმისი,

ნუ ამირან, ძმათა მზესა,
 ნურა გვინდა ნურავისი.
 ხვალ გმირნი გმობას დოგიწყებს,
 მკვდარი დაუცოროცავ ცხვისი.
 აიქ ნუ ჩავალთ, ამირან,
 გუშინ რო მთანი ხვიოდა,
 ან არის, დევნი იბძვიან,
 ანდა სულ კლდენი ცვივიან.
 არ დაიშალა, ჩავიდეს,
 თურმე მათ პური შიოდეს,
 დევების დედათ ნაქნარი
 კერაჩი ქადა შხიოდეს.
 შამააყენეს, გატეხეს,
 კაცის ჰელ-ფეკი ცვიოდეს,
 ამირანს იმათ ცოდვითა
 თოლებზე ცრემლი ზდიოდეს.
 დევთა დედათა ეგონა,
 ამირან შიშით ტიროდეს,
 აკვანჩი უწევს ყმაწვილი,
 დედამათ შამაშჳყიოდეს.
 აკი მას მეუბნებოდით,
 ამირანს მაგაკლევინებთ,
 უსიბის ქამარ-ხანჯალსა
 შენ წელზე შაგარტყმევინებთ.
 იმ ბადრის მსუქანს ბარკლებსა
 მწოდვით შაგაწვევინებთ...
 შაიმბნეს დევ და ამირან,
 დაიწყა მიწამ გრიალი,
 დასცა ამირანმა დევი,
 ადგილი შახვდა კლდიანი.
 დასცა და მკარიც მასტესა,
 დააწყებინა ღრიალი.
 - ნუ მამკლავ, დედო ამირან,
 გილოცა ჰელი კმლიანი.
 ზღვის იქით ქალი გასწავლა,
 სახელად ყამარ ხქვიანი,
 მივეს გაქვ გზა მშვიდობისა,
 გამოვეს ნარეკლიანი.
 გადიდა გამაიყვანე
 ბოლოჩი დალატიანი.
 ვინ მიხოლ, კაცო, მთასაო,

მაგ საქარავნო გზასაო,
გადადი, გადაუძრახე
უსიბსა, ჩემსა ძმასაო.
მაბრუნდით, ნულარ მიზდიხართ,
ნულარ გადივლით მთასაო,
ხო ისაც მოვკალ, პირცეცხლი,
მიწას რომ ზდებდა ზაესაო.
სულ გაუოჭრე სახლ-კარი,
ბანები დავსცე თავსაო,
დევთა დედანიც შიგ ჩახყვეს,
ველარ იხსნიან თავსაო.

აიქ ჩავიდეთ, ამირან

აიქ ჩავიდეთ, ამირან,
გუში რომ ქარი ხვიოდა,
დევებს კორწილი ხქონია,
სიმღერე ამოდოდა.
შავედით, შოგიპადიჯეს,
ამირანს პური შიოდა,
დევთა დელათა ნაქნარი
კეცებზე ქადა შხიოდა.
შამაშკრა, შამააყენა,
კაცის ჳელ-ფეჭი ცვიოდა,
საღვინით ღვინო მოგორთვეს,
შიგ გველ-ბაყაყი წიოდა.
უსმელ-უჭმელად გავძედით,
ყელჩიაც ამოგვდიოდა...
აკვანჩიგათ შვილმა მამას
დაქადნითა დაუძახა:
არწკი მამავ, მიქადიდი
ამირანს მაგაკლევინებ,
ბადრისა წითელ ბარკლებსა
სადილად შაგახრევინებ,
უსიბის ქამარ-ხანჯალსა
წელზე შამაგარტყმევინებ.

მაში ამირანმა უთხრა თავის ძმებსა:

შვილი მამასა პირსა ხკარ
სულისა საგუბარადა,
დევის დედანი - კერათა
ნაცრისა საფუტკარადა,
რად გინდა ომი, ამირან,
ბაღლისა ნაუბარხედა.

ასრი ხარ, ბუსრო ამირან,
ლოდი ხარ აბრუნებული,
ლამაზს ყამართან მწყერი ხარ,
მტერთან ხარ გარისხებული.

ამირან ჩამადიოდა

ამირან ჩამადიოდა
ცხენ-აბჯრით ჩამაჩენილი,
წინ დედა შემეყვარა:
- სით მახვე, შვილო, დღონებული?
- განა ღმერთი ვარ, დედაო,
სულ მუდამ გამარჯვებული.

ბადრი, უსიბ და ამირან
ობლები დავიზარდენით,
სულ არ გვინახავ კერაი,
შაჩალებს მოვიყარენით.
ვინც კარგი გვიყო, გოხსონდა,
მუშაჩი დევეკმარენით,
ვინც ავი გვიყო, გოხსონდა,
კმალდაკმალ დევექანენით.
მამის კერაი ჩოგიქრო,
ადარვის გევეკარენით.

აბესალომ და ეთერი

გეგესსნა ძველი საკინძე,
ეთერი გულ-მკერდი გეჩინა.

აბესალომის ჩაძახილზე გემეველიძა ქალსა.

უცხო კაცი რომ დაინახა, ძრიალ შაშინდა და გასაქცევლად მეემ-
ზადა. რომ შაატყო აბესალომმა, რო ქალი გაქცევას აპირობსო, ბოლო-
ნი დაუჭირა და დაუწყა კითხვა, თუ ვინ იყო ისა და ან იმ უღრანს ტყე-
ჩი რას აკეთებდა. ქალი ჯერ შიშით გაჩუმებული იყო, მამრე კი უთხრა:

თავი დამანებე, ნეფიშვილო, რას გეკადრება ჩემთან ლაპარაკიო.
წყემსი ქალი ვარ, არც დედა მყავ, არც მამა, მარტო ერთი მარტე, ავი
დედინაცვალი მყავო.

რაი გქვიან სახელად, - უთხრა აბესალომმა.

თავი დამანებე, ნეფიშვილო, რას გეკადრება ჩემთან ლაპარაკიო,
მაგრამ მაინც გეტყვიო:

ეთერი მქვიან სახელად,
აეთერ-წაეთერია,
გული მამიკლა ობლობამ,
ობლობა მეტად ძნელია.

აბესალომმა მაინდომა ეთერის ცოლად წაყვანა.

ეთერმა ემაზე უარი გამოუცხადა და უთხრა: შენ ნეფიშვილი ხარ
დიდებული და მე კი

მწყემსი ვარ ობოლ-ოკერიო.
შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედმამათაგან ქებული,
მე ობოლი, ობლიშვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრილი.
შენ რო შენი ხქნა, წახვიდე,
დამაგდა წყალწადებული.

აბესალომმა ღთის ფიცი მისცა, რო სიკვდილის დღემდე არ უღა-
ლატებდა. აი, როგორ შახფიცა აბესალომმა ეთერსა:

ღმერთი ცაჩიგათ ცეცხლსა ხერის,
ძირს აბესალომ უდგება,
გამაქცეულსა ცხენზედა
უზანგამც ჩამამიწყდება,

წყალი უწყლოსა ადგილსა
ზღვა იყოს, ამამიშრება.
კმალი საჭირო ომის დროს
ვადაზემც გადამიტხტება.

რაკი აბესალომმა ხთის ფიცი მისცა, ეთერიც წახყვა. აბესალომს ხყვანდა თანა ერთი ვეზირი - მურმანი. იმ წყეულსა ვგრე მეეწონა ეთერი, რო მაშინვე გაიფიქრა გულის:

გინდა მოვკვდეო, ეგ ქალაი მე უნდა ჩავიგდა ჰელჩიო. მართლაც, მურმანმა იცოდა, რო აბესალომს დედ-მამანი გაუჯავრდებოდეს ობოლის მწყემსის შართვაზე, ეგ რაი ჩვენი საკადრისიაო.

მურმანმა ქერი შაალოცვინა ერთს კუდიანს ეშმაკს დედაკაცსა, წაილა და ეთერს შააყარა. ეთერს აბესალომის თოლჩი სულ ჭია-მატლი დაეხვია, აღარ შაიძლებოდა იმასთან ყოფნა. შასწუხდა აბესალომი და ბზანება გასცა, რომ ვისაც უნდოდა, წეყვანა ეთერი. მაში მივიდა მურმანი და უთხრა აბესალომსა: მთელს საკვლმწიფოჩი ჩემსავით ერთგული ყმა არა გყაო და ეთერიც ჩემზეა უპრიანიო.

ეთერს არ უნდოდა წასვლა მურმანთანა და უთხრა აბესალომსა ძრიალ შაწუხებულმა:

აბესალომო, ბატონო,
რა ხინჯი ხპონე ჩემჩიგაო,
რად გამიწბილე მაყარნი
უცხო თემ-ქოყანაჩიგაო.

გავიდა რომდენმე ხანი. ეთერი ვგრე გაღამაზდა, რომ მთორეს დეემგვასა. ერთხალ აბესალომმა ხკითხა მურმანსა ეთერის ამბოვი:

- მურმან, მურმან, შენსა მზესა,
შენი ეთერ რარიგია?
- რას ხკითხულობ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია.
შენც რო იცი, ბროლის ციხე
როგორ ცამდე მაღალია,
შიგა ზის ქალაი ეთერი,
ყელი მოუღერებია.
მარჯვნი უდგანან მულები,
მაზე უფრო ღამაზნია,
მარცხნი უდგანან მაზლები,
დალესილი აფთარნია.
ფეხდით უწევს დედამთილი,

იაგუნდის მარანია.
კარზედ უწევს მამამთილი,
გველეშაპის მყლამპავია.

აბესალომს გაუსქდა გული და წავიდა შინა. შაჯდა თავის ცხენზე და გაქუსლა ეთერის კოშკისკე. გაუვლის და გამოუვლის. ეს რო ეთერმა დაინახა, გადმოუძახა:

რას ამივლი, რას ჩამივლი
მაგ თოხარიკი ცხენითა,
თუ შენ ჩემს ფიცს გადაურჩი,
ჯორწილი ქენ ამ სთველითა.

ამ სიტყვებმა ძრიად შააწუხა აბესალომი. გულმაკლული წავიდა შინა და იმ დღით ჩაილოგინა. და ვეღარც აუდგა ბეჩავი. მთელს საჯემწიფოჩი ექიმები მალიეს, მაგრამ ვერა უშველეს რა. წავიდეს მკითხავთანა, ამკითხვინეს და მკითხავმა უთხრა:

- აბა, მიუტანეთ და წინ დაუდგით მაღალყელიანი დოქი, წითელი ვაშლი და თეთრი პურიო. მართლაც ისრი მაიქცნეს, როგორც მკითხავმა უთხრა.

მიუტანეს დოქი და დაუდგეს წინა. აბესალომმა რო დაინახა, დაიძახა: ოჯერო დოქო, ეთერის ყელს არ გიგავ ყელიო!

ვაშლი მიუტანეს: ოჯერო ვაშლო, ეთერის ლოყებს არ გიგავ ფერიო! ახლა პური მიუტანეს. ისრივ ეთერი მააგონდა: ოჯერო პუროვო, ეთერივით თეთრი არა ხარო!

მაში გაიგეს აბესალომის დედ-მამათა, რომ ეთერის სიყორულით არის ავადაო და დედამ ჩასძახა: შვილო, ეთერი რო მოგიყვანათ, რო არ გაგიხარდებო! აბესალომმა უთხრა თავის დასა:

ადე, ვარუხო მასკველო,
ეთერსა გარე უარე,
თუ გკითხა ჩემი ამბოვი,
უთხარ უარ და უარე.

გაგზავნა აბესალომმა თავისი და ვარუხი ეთერის მასაყვანლადა. მიუდგა ვარუხი ეთერის კოშკსა და შასძახა:

ფეჭიშველს გადმამივლია
ქალო, ეთერო, მთაისნი,
რა გეგმო, ერთი მიკოცო,
ძმა დამირჩინო მე ისრი.



ეთერი ძრიალ გაჯავრებული იყო აბესალომზე და არ დაუჯერა.
მაში დედა გაგზავნა. ახლა დედამ შასტირა ეთერსა კოშკის ძირითა:

ეთერო, შამოვდიოდი
ამ შენი ციხის მზორესა,
შამაგხედე და ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთორესა.
თმა გურიზი, კოსტა დარალო,
დარალო ოქროს ფერია,
სახე ფერ-გადაწმენდილი,
თოლები გიშრის ფერია.

შეებრაღა ეთერს აბესალომის დედა და წახყვა. როცა ეთერი მოვიდა, დედამ ჩაუძრახა სულით მობრძავ შვილსა:

- შვილო, მოვიდა ეთერი,
თუღა გაქე თოღებს ნათელი,
- გინდა მოვიდეს, გინდა არა,
ადარ მაქე თოღებს ნათელი.
ეთერსა აქა მასეღისთვი
ცხენი უბოძეთ სადარი.
ეთერსა ცხენი რად უნდა,
დანაი უბოძეთ, ხანჯალი.

მივიდა ეთერი და გუღის საწოვად დასტირა აბესალომსა:

მე შენეული დანაო
უბეჩი მიდევს განაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარჯვენას ძუძუსთანაო.
ტარი შენკე, პირი ჩემკე
ზედ დაგაკვდები თანაო.

აბესალომს დააკლა თავი ეთერმა.

აბესალომ და ეთერი
ერთადამც გაწედებიანო,
გზის ძირსამც დაადირებენ,
გზის თავსამც დადმარხვიანო.
ზედ ვეშთა წყალნი ამოვლენ,
შიგ ორი თასნი ხყრიანო,
გამვლეღი და გამამვლეღი
სომდიან, ღნატრიდიანო.
რა მოყორულნი ყოფიღან,
კიდავამც ადგებიანო,
ადგომა წესი არ არის,
სულითამც ცხონდებიანო.
მურმანი მარტომც მაკვდება,
თან ნურვინ ექნებიანო,
ზედამც ნარნი ამოუვლენ,
ვირნი სახრავად დიანო.

ამირანისა, როსტომისა და ტარიალის დაპოვება

ამირანი, როსტომი და ტარიალი ძრიალი გმირები სადმე ყოფილან. და ერთურთს დაჯოცის შიშით თურმე არ უდგებიან. ძრიალ კი თურმე უნდა, რო ერთმანეთს დაუხლოვდენ. ერთხალ თურმე ერთი ერთს მთაზე შამკდარა, მოარე-მოარეზე და მესამე-მესამეზე და ერთურთისთვი შორით ხთის ფიცი მიუცია, რომ ერთურთს არას დაუშავებდეს. მაში კი თურმე დაძმობილდეს ეს სამი ფალაგანი. ერთხალ ძმობილებს უთხრა როსტომმა: აბა, ერთი ვამბათ, ვის რაი გოდოგკედია უფრო საკვირეულიო. ვამბათო, უთხრეს ძმობილებმა. ამათნი როსტომი ყოფილა უფროსი და ამბოვიც იმას არგინეს სამბობლადა.

როსტომმა თქო: მე დიდის ჭირის გადამკვდელი კაცი ვარო. ჩემს სიცოცხლენი ბევრი ომი გადმივდია, ბევრი ხალხი მიჯოცია. ბევრი საკვირეული რაიმე მინახია, მაგრამ ერთი რომ საკვირეული ვნახე, ეგეთი სულ არა მინახია რაო.

ერთხალ დამე მივდიოდი ერთს ტრიალს მინდორჩიო. ამ მინდორჩი არც ქვა მაიბადება, არც ხე და არც კლდეო.

მივდივარ ცხენითა და შუბის წვერი რასმე მეედვაო. ვეღარ გავიარე და დავრჩი იმ დამეს იმ ადგილზეო. გათენდა დილა და ერთი საკვირელობა ვნახეო: თურმე მე და ცხენს გოგივლია კაცის მენჯჩიო და შუბის წვერიდა გაზდებიო.

გამიკვირდა და პირჯორი გამოვიწერეო და ღმერთს შავენატრე, რომ ეს კაცი ცოცხალი მანახეო. ვილოცე, ვილოცე, რო ეს კაცი გაცოცხლებულიყო და თოლები კი არ ექხედა, თორო მჯიღნი გამსრესდაო.

ემ ჩემს ლოცვანი იხრიალა, სამი მთა ერთმანეთს მახვდა და გაცოცხლდა უშველებელი კაციო.

თოლები კი ისრივ დამჭუხილი აქო. მამრე მითხრა იმ საკვირეულმა კაცმა: ვინა ხარ, ვინ გამაცოცხლეო? თოლებიც ამახედებინე და ხთის ფიცს მაგცემ, რო არა გაენა რაო. ვილოცე, ვილოცე და აუხედე თოლებიცა. მაში მითხრა იმ კაცმა: წადი, შვილო, აიმ კლდენი ქოხია, იმ ქოხნი ჩემი ჳმალა და ჩემი პურია და მამიტანეო. მივე, მაგრამ ვერცერთს ჩუჩუნი ვერ ვაქნევინე, ისითი დიდები იყო. მოვე და უთხარ, რომ ვერ მევერიე-მეთქი. იმ კაცმა მკითხა: შენ ვინა ხარ, რაი კაცი ხარო? მე უთხარ: მე გმირი ვარ და სახელად როსტომი მქვიან-მეთქი.

იმ კაცს გეეცინა და მითხრა: წადი, შენის ჳმალით მაშქერ ჩემს პურხედითაო და აქ მამიტანეო. წავე და ერთის ცოდვილობით მოვშქერ ბატარაი პურაი და მიუტანე იმ კაცსა. მამრე ჩემი პური მამთხოვა. ისაც მივე. ორივე პური ჳელი დაიჭირა, მოუჭირა ჳელი და მითხრა: აბა, უცქირეო. თავის პურს მოუჭირა ჳელი, რქე გემეედინა, ჩემს პურს მოუჭირა და სისხლი გემეედინაო. მაში მითხრა იმ კაცმა: ხო ხედავ,

ჩემს დროს რძის პურის ჭამა ყოფილა და შენს დროს კი სისხლისაო. აღარ ღირებულა ეხლა სიცოცხლეო და მითხრა:

ვირჩევ, როგორც ვიყავ, ისითადვე გადამაქცია, თორო გაგაქრობო.

ვილოცე, ვილოცე და ისრივ იხრიალა, გაიყო სამი მთა და დარჩა მარტო ჩონჩხი იმ კაცისა. აი, ჩემს სიცოცხლენი ესეთი საკვირველობა არა მინახია რა, – გაათავა როსტომმა.

ახლა ტარიალის რიგი მოვიდა.

ტარიალმა თქო: მეც ბევრი მახსონ ჩემს სიცოცხლენი ჭირი და რხინიო. მაგრამ ერთი ძრიალ საკვირელი ამბოვი მეც ვნახეო. ერთხალ ცხვრებს ვაძოვებდიო. ერთბაშად მოვარდა ხორხოშელაიო.

დოგიწიოკა ცხორი და გავიქცეთი გამაქობილისაკეო. ეს გამაქობილი თურმე ყოფილა კაცის თავის ხოხრიალაი. სამოცი ფარა ცხორი დეკტია შიგა და ორმოცი წყემსი და კიდავ იმდენი ადგილი დარჩა, რო ერთი პოლკი ჯარი დეეტეოდაო.

ვიყავით იქა და უცდიდით გადარებასაო. ერთბაშად ამ ხოხრიალამ გაიქნია მაჯახალი და კაცისა და ცხვრის რიყე დაყარა.

მე კი როგორღაც კბილნი გადმოუვარდიო.

მე ესრე არა გამკვირებია რაო, - თქო ტარიალმა.

ახლა ამირანის რიგი მოვიდა.

ამირანმა თქო: მე ჩემს სიცოცხლენი სულ იქი-აქა დავხეტიალობ. არც სახლი მაქვს, არც კარი, არც ცოლი მაწუხებს და არც შვილიო. დავდივარ და ვხვოც დევებსაო.

ერთხალ გზანი დამიღამდა, ერთს გამაქობილს შავაფარე თავიო. დამე წყლის წყურვილმა გამაღვიძაო. ქოხის გვერდზე რუვი ჩამოდიოდა. გავე, დავლიე და უგემური წყალი იყო. ეს წყალი ერთბაშად მოვარდებოდა, ერთბაშად დადგებოდა. როცა გათენდა, გავე, ვნახე და გამიკვირდა. ეს უგემური წყალი სისხლი ყოფილა. დავხყევ რუვსა და მივადე ერთს სისხლნი გასვრილს დევსა, წინ კმალნი დეეყუდა და ისრი ეძინა.

თურმე იმ დევსა თვის ძილი აქვ და თვის სიფხიზლე. როცა ჩემეეძინება, იმ კმალს თავს თურმე დახკრავს და გადმოვარდება სისხლი და დევს გემეეღვიძება.

მივე და ვხკითხე, რას შვრები-მეთქი ემასა. დევმა უთხრა: თეთრმა დევმა მაიტაცა ჩემი საცოლო და იმას ველი, ემაზე უნდა გამაიარასო...

მამრე მე მითხრა, იყავ შენ აქაო, მიყავ სიკეთეო და მთა მთას არ შეხვდებო, თორო კაცი კაცს როგორ არ შეხვდებო. როცა აიმ მთას გადამაანათებს, მაში გამაღვიძეო.

დეეძინა დევსა, ბევრმა ხანმა აღარ გაიარა და გადმაანათა მთანი. ვაღვიძე, ვაღვიძე და ვერ გამოვადვიძე. კმალნი უნდა ემეღა დ ავერ მევერეი. როგორც იქნა, გადავაქციე კმალნი, მახვდა მარცხენას ფეკზე და მასტეხა.

გემეღვიბა ფეხმოტეხილს დევსა და წამოვარდა ზეზა და მე მითხრა: ქვას სადმე ემეფარეო, ჩვენმა ბძოლის ქარმა არცად გაგიტაცოსო.

ამ დროს მოვიდა თეთრი დევი და გაიმართა ომი, ორივე ძრიალი დევები ყოფილიყვნეს და ერთურთი დაჯოცეს. დაჯდა მარტო ქალი და დაიწყო ტირილი.

ეს ორი დევიდა იყო ხოყანაზე ჩემი საფერიო, ემათაც ერთმანეთი დაჯოცესო და მე სადღა წავიდეო, მარტო ამირანს აქებენ და სად მოექებნაო.

გამოვარდი გახარებული და უთხარ, მე ვარ ამირანი-მეთქი. შამამხედა და არას ეჭაშნიკა ჩემი ამირანობა. მამრე მითხრა, რაზღა უცქერო, დავწვეთო. დავწვეით დ ამ ოცერხი სულ შიგ შავარდი, წელხი გაყრილმა შუბმადა დამიჭირაო. მამრე მითხრა, დამარხე დევები და წავიდეთო. შუბის წვერით მოუდე სასაფლუაის გათხრასა. ქალმა მითხრა, რას შხადიო. მიიტანა ორივე მკვდარი ბეგის პირა და დაასვინა, დახკრა ბეგს წიხლი და დასცა ზედა. დემეცქირა და დაცინვით მითხრა:

ისამც ადგილი კრულია,
სადაც შენ ამირანობდიო,
არ წესია დედათაგა
მამათ კმალზე წამაგება,
თორო ჩემს კვლთ იქნებოდა
შენი სულის ამაღება.

დახკრა ფევი და წავიდა.

მე ეს ვნახე ჩემს სიცოცხლეხი საკვირველი.



ნადირთმწყემსის წყალობა

ა მ ბ ე ბ ი

ერთ მეცხორეს ხევანია ლამაზი ქალი. იმ ქალს ითხოვდა ბევრი თივის პატრონი კაცი. მეცხორემ მეთივეს არ მისცა ქალი.

მოვიდა გაზაფხული. დადგა ძრიალ გონჯი ამინდები. მეცხორეს დააკლდა თივა და საქონელი სიმშლით ეკოცებოდა. თივის პატრონს კი უხაროდა - ეხლა მაინც გამოვსტყუებ ქალსაო და გაღექსა:

თოვლო, ითოვნე
ცხორბევრის კარსა,
მაშიც არ მამცემს
ცხორბევრი ქალსა?

ცხვრების გადასარჩენლად მეცხორემ მაიგონა ერთი ჳერჯი: ცხვრის ფარახნი ჩამახკიდა თავითავკვე კატაი, იმიტომა, რომა ცხორი შაშინდებოდა, დაუწყებდა ცქერასა და აღარ მააგონდებოდა შიმშილი.

ავიდა მეცხორე ბანზე, დახვეტა თოვლი და აგროვილს თოვლნი ნიჩაფი ჩაასვინა. თურმე იმ დალოცვილს ღამეს ამოვარდა მზექარაი (აღმოსავლეთის ქარი) და სულ გაუდნია თოვლი. გამასულა დილაზე მეცხორე და გახარებულს გამოურეკია ცხორი ბალახზე და თქო:

ჩემი ქორფა შახტაო,
ღუმა კარსა გახკრაო,
ავსა კაცსა არ ვემძახლე,
თივა ძველად დარჩაო.

ბერა და ხოგაის მინდი

ბერას ხეყანია ერთი ამხანაგი - ხოგაის მინდი. და ის ორნი წასულან მდევარჩი.

ქიშტების სოფელჩი კორწილი ყოფილა გაჩადებული და ერთი ტაშფანდურაი და ხოსორი თურმე გამოდის. ბერაი და ხოგაის მინდი შაპარულან იმ სოფელჩი, ასულან ბანაზე და გაუგონია ბაღლის ტირილი. ჩაუყურა თურმე სარკმელჩი და გაიგონა, რომ მამა შვილს აყუნებდა: გაჩუმდი, თორო ბერაი მოვა და მაგკლავსო. როცა ვეღარ გეყუნა და სარკმელჩი ემეყოფინა თავი, დაუნახია ბერასა ბაღლის თავი და მოუჭრია. იქით გამაქცეულა და კორწილი სადაც იყო, იმათ მისდგომია კარზე და ნეფე მოუკლია. შათქონთქორდა თურმე ხალხი. დახეყალია მდევარი, აუტეხია სროლა და დაუჭრია ბერაი. ხოგაის მინდის კი გაუსწვრია. ბერაი ბოგირის ძირ შამძვრალა და ასცილებია მდევარი. როცა ვერ იპოვნეს, დაბრუნდა მდევარი. სულუკეს ცხენიანი კაცი დამჩაღა.

როცა ბოგირთან მისულა, გამახვლომია ბერაი, მოუკლია ის კაცი, შამჯღარა იმის ცხენზე და გაუქუსლია კიდეცა შინათკე.

ამ დროს ქიშტების წვისქვილჩიგათ სინათლე დაუნახია და წასულა იქითკე. იმ წისქვილჩი ყოფილა იმის ძმისწული ქალი, რომენიც ქიშტებმა მაიტაცეს და რომნის გულისათვიც ბერამ შური იძია. როცა დაუნახია ქალსა თავის ბიძაი, არ სიამოვნებია და ბაღლი გაუპარებია ქიშტებთანა შასატყობინებლად, რომ ესა და ეს კაცი არი აქა და მაკალითო.

ბერას გაუგია, რო ძმისწული დაღატობდა და ძრიალ გაჯავრებულა. შასულა წვისქვილჩი და ძუძუები დაუჭრია ქალაისათვი.

დაუკრია ცხენისათვი და გამაქცეულა.

მასწევია ხოგაის მინდისა და დაუსვენებია თურმე. როცა დაღალულს ბერას დასძინებია, ხოგაის მინდის მაკლვა მოუნდომებია ბერაისი, მოუღერებია კი ხანჯალი დასაკრავადა და ჳელი შახვმობია ამხანაგის დაღატისათვი. მაში შაუძრახია ხოგაის მინდისა ბერაისათვი:

- ადგე, ძმაო, მამკალ, ღირსი ვარო სიკვდილისა!
- რაი ამბოვიაო? - უთქმია ბერასა.
- რაი ამბოვია და შენს სიკვდილს ვფიქრობდი და ჳელი შამჯმაო.

ბერამ თურმე უთხრა: - წადი, წადი, ძმაო, მამშორდიო.

იმას იქით დასწვია თურმე ბერამა მეგობრობაცა და ძმობაცა.

ეშმაკების მარვენება

ერთი კაცი თურმე მიდის ღამე ცოლურთასა.

ჩასულა თუ არა გორისციხულს კიდზე, შახვედრია ორი ნაბლიანი კაცი და დაუძახებია;

- გამარჯვება, იაგორაო! - გაგიმარჯოსთო, - უთქმია იაგორასა.

- საითკე მიზღიხარო, - უკითხია იაგორაისათვი.

- ცოლურთას მივდივარ, ლეწვას უნდა ჩევეშველაო.

- მოდი აქათკე, ცოტაი ღვინო დავლიათ და მამრე წადიო. მახკიდეს თურმე ცხენის აღვირებს ჳელი და ეზიდებიან კლდისაკე. ცხენი თურმე არ უჯერებს, გაკერპებულა და ფრუტუნი დაუწყია. იაგორაი კი ვეღარას თურმე ხედავს, ისრი აურეგია - გაურეგია იმ წყეულებსა.

იაგორას უკითხია, სად მიგყვივართ, რომ ცხენი არ იჯერებსო და მაშინვე ჩამაფრენილა ცხენზედითა.

ჩამაფრენა იმისი და იმ ორის კაცის გაქრობა ერთი ყოფილა.

ეგრე შაშინებულყო იაგორაი, რო თმანი სულ მალლა დაზღომიყო. ცხენს თურმე ეზიდება და ცხენი აღვიღზედით აღარ იძრება.

როცა იყო, როცა არა, წაიყვანა ისრივა ცხენი თავის სახლისაკე. როგორც კი გაიარა ნახევარი, ცხენს ისრივ წინ დახვდეს ის ორი ნაბლიანი კაცი. როგორც კი ცხენს დაუნახია ეშმაკების ნაკოლავი გზა, ისრივ გაქერებულა. აღარც წინ თურმე მიდის და აღარც უკენა. ჩამაჭდა თურმე იაგორაი, პირჯორი გამაიწერა, ახსენა ჳეური სალოცავები, მამრე სამჯერ გადააფურთხა: ფუი, წმინდამ გივარგიმ დაგწყიასთა და გადაგკრასთ თავისი ცეცხლიანი მათრაკი! თქმა იმისი და ცეცხლის ნაკვერჩღებმა აიარა თურმე იმის წინა. მაგრამ ცხენი მაინც ვეღარ გააფლია. იმოდენი სცა ცხენსა, რომ იქვე მაკლა.

როცა შინ წამოვიდა, არეული-გარეული, სულ ფეკებში თურმე ეხლათებიან ის წყეულები, ზოგი საით თურმე დაიკივლებს: იაგორაო! იაგორაო! ერთის ვაივაგლახით მოუცილებია შინამდე, როცა ცხოს ვეღარას გაჭდეს. იაგორას ეზოჩიგათვე დაუკივლებია, სინათლები ჩააქვერითო. ჯალაბთ მაშინვე გაუგია, რომ ეშმაკები დახვედრიანო. ჩაუქკრია სინათლე, შაუყვანია და დაუწყენია ეს კაცი. სამი კვირე ენაჩავარდნილი ყოფილა. დეკანოზთან წასულა, რაი ფითილანი, რაი წილების ჩაყრა და, აბა, არა ეშველა რა. მამრე წავიდეს არაჭვეთს მკითხავთანა და ამკითხვინეს. მკითხავმა უთხრა, თავის მამის სალოცავისათვის უწყენიაო.

მე, მამაწმინდა წვერზე მზანებელს მინდოდა, კლდეზე გედემეჩხე, რო წასვლისას არ მახსენე, მაგრამ წმინდა გივარგი გადამიდგა წინა და იმან დაგიფარა.

დიდება ხქონდეს ყირვნის წმინდა გივარგისა, დიდია და ძრიალი, იმას სუყელაი შაუძლია. მაგისმა მადლმა უშველას და ამოვალთ შენს მოედანზე ფეკიშველები, თავზე ქვა დადგმულები და სამხთოს გაგდმარ-

თავთ, შენმა მადლმა, ოქროს მამაწმინდაო, ოღონდ დატკბი და დაშაქრდი.

შენმა მადლმა, რასაც შემოგვიკეთ, აგისრულებთო.

ის იყო და ისა, ენაც აამაგა და კარგაც გაჭდა. ესლაც უჭირველია.

მაშ!



დომიტრი გომიაშვილის ჯაღაბობა

ზ ღ ა პ რ ე ბ ი

ზ ღ ა პ ა რ ი წ ი ძ ა რ ა ზ ე

იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაილა იქნებოდა, იყვნეს ცოლი და ქმარი და ხყვანდა ერთი ბაღდაი. ეგრე თურმე ზდიდეს, ეგრე, ეგრე, რო ცივს ნიავს თურმე არ აკარებდეს. მაგრამ დედა ჩქარე მოუკვდა და დარჩა ობოლი. მასწყენია იმ კაცსაც უპატრონოდ ყოფნა და შაურთია მეორე ცოლი. იმ ხთისაგა წყეულსა ეგრე შასქულებია ის ბაღდაი, ეგრე, რო თოლით თურმე არ გაიცდის. ერთხალ ემ წყეულს დედაკაცს ავადობა მოუგონებია, ჩაწვალილა ლოგინნი. ქმარი და გერი თავს თურმე ევლებიან, მაგრამ ვერა უშველეს რა.

ერთხალ ქმარმა უთხრა: რო ვიცოდე, რაი მაგარჩენს, შენ თუ აღარ[...] ამ წყეულს ქმრის სიტყო ძრიალ გაუხარდა თურმე და უთხრა: მაშ, რომ გითხრა, რაიც მამარჩენს, ამისრულებო?

იმ ცოლის ცოლას კაცუასაც უთქმია:

მითხარ და ეხლავენე აგისრულებო.

- მე თუ მამარჩენს, შენის შვილის გულ-ღვიძლი, თუ არადა ცხო ვერა მამარჩენს რაო.

შვილის დაკლვაზე მამას უარი უთქმია, მაგრამ იმდენი უჩინებია, რომ გაუბედვინებია შვილის დაკლვა იმ გულდამიწებულსა.

ერთხელ ის კაცი ძრიალ დილიან ამდგარა, გამოუტანია ქასური, დანაი და დაუწყია ლესვა. მისულა ბაღდაი და ეკითხება თურმე, რად გინდა, მამავ, დანაიო.

რად მინდა და წიქარაი უნდა დაგეკლაო.

იმ კაცს ხყვანია ჯარი წიქარაი და იმ ბაღდას ეგრე ხყორებია წიქარაი, რო თავის თავს თურმე ურჩევნია.

დაუწყია ტირილი, მისულა წიქარასთანა, დაუდვია თავი იმის ქედზე და ჩასაძახა: ვაიმე, ჩემო წიქარავ, დაკლვას გიპირობენო, თურმე წიქარაი გულთმისანი ყოფილა და იმას სუყელი სცოდნია, რაიც იქ ხვდებოდა. ჯარს ამოუკვნესებია და უთქმია:

უბედურო ბაღლო, მე კი არ დამკლვენ, შენი მამა შენ გიპირობს დაკლვასაო თავის ცოლის მასარჩენლადაო. მაგრამ ნუ გეშინიანო, მე გადაგარჩენო, ულომც თან წამაიდე ქასური, სავარცხალი და წყალიო.

მოდო, ეხლა შაჯე ჩემს ზურგზე და გაგაქროლებო. მირბის წიქარაი და თან მიხყავ მამისაგა დასაკლავად გამეტებული ობოლი, წიქარამ უთხრა ბაღდასა: აბა, უკენ მიიხედე, თუ არ მოგვდევენო. ჰოო, ბაღდმა უთხრა და ეგეთი ამიკვნესა, რო გული თან ამაყვალა. წიქარამ უთხრა, ნუ გეშინიანო, გადააგდე ქასურიო. ბაღდმა ქასური გადა-

აგდა და გაჩნდა ისეთი კლდე, რო იმის წვერი ცას ებჯინებოდა. იმ კაცს ხყვანდა ისეთი ღორი, რო რასაც კბილს გახკრავდა, არ უშობდა გაუფათრავსა. როცა გაიგეს იმ ცოლ-ქმართა წიქარაისი და ბაღლის გაქცევა, იმ ღორზე შაჯდა და გამოუდგა დასაჭერლად. ამ ღორმა დაამტვრია, დაამსხვრია კლდე და გავიდა. აბა, კიდავ გაიხედე, რო არავინ მოგვდევსო. მოგვდევენ, აი, საცაა დოგიჭერენო. წიქარამ კიდევ გაამაგრა ბაღლი და უთხრა: აბა, ახლა სავარცხალი გადააგდეო. გადააგდა სავარცხალი და ეგეთი ეკალი გაჩნდა, ეგეთი, ეგეთი, რო გველი კუდს ვერ თურმე გახყოფს შიგა. ღორმა ისაც დაკაფა და გავიდა. აბა, კიდავ გაიხედე, რო არ მოგვდევენო. აი, მოგვეწივნეს, გადაღორე წყალიო. გადაღორა წყალი და გაჩნდა ისეთი ზღვა, ისეთი, რო სულ ბიბინი თურმე გააქვ. შამოურეგია ღორს ზღვაჩი და შიგ ჩამხრჩოლან ორნივე, ღორიც და იმის პატრონიცა. მაიშორეს მტერი და დაისვენეს კიდევცა. წაიყვანა ბაღლი წიქარამა და ერთს ტყეჩი დიდს ხეზე დაასვინა. ჰელჩი მისცა ორი სალამური და უთხრა: აი, ერთი სამგლოვიაროა და ერთი სასიხარულო. მე წავალ საძოვარზე და შენ დაბლა არ ჩამახვიდეო. დაუკარ სამხიარულო და თავად მაგივა სასმელ-შაჭმელიო.

თუ რაიმე გაგიჭირდა, სამგლოვიარო სალამური დაუკარ და მაშინვე იქ გაეჩნდებიო.

ეს ბაღლი ისრი საამურად თურმე უკრავს სალამურსა, რო ფრინველებიც კიდავ ყურის საგდებლად მიდიან.

ერთხალ ჩამოუვლია ბებერას დედაკაცსა და უთქმია ბაღლისათვი: ჩამოდი, დედაშვილობასა, ბარგი ველარ ავიკიდე და ამკიდეო.

ჩამასულა ბაღლი და დაუჭერია იმ დედაკაცსა და უნდა თურმე რო მეშოკი ჩაასვინას და ჰემწიფესთან მიიყვანას, რო საჩუქარი მიიღას.

ამ ბაღლმა დაუკრა თურმე სამგლოვიარო და წიქარაი მაშინვე იქ გაჩნდა და გადაარჩინა. შაასვინა ისრივ ხეზე და უთხრა: აღარ ჩამახვიდეო, თორო იქნება მეც მოგვდეო და ვინდა გიშველსო.

იმ ძაღლმა დედაკაცმა კიდავ თურმე არ მაისვენა, არ იქნებო და თუ ეგ თავის სალამურითურთ ჰემწიფეს არ მიუყვანაო.

შაიკმაზა ერთხალა ცხონაირადა და თან თიკანი წაიყვანა და იმ ხის ძირ მივიდა, სადაც ის ბაღლი სალამურს უკრავდა.

გადმააქცია თიკანი და სადგისით დაუწყა დაკლვა. რამდენჯერაც ჩაშჩხვერს სადგისსა, იმდენჯერ თიკანი დაიჩხავლებს.

ბაღლს ჯავრი მოუვიდა, დაყარა ორივე სალამური ხეზე და ჩამოვიდა. გააგდებინა თიკანი, მაგრამ დედაკაცმა ჩააგდა ის ბაღლი მეშოკი და წაიდა. და მიუყვანა ჰემწიფესა. ჰემწიფემ ბზანება გასცა, რო ცხრაკლიტულჩი ჩეეგდა. სალამ არ ასწავლიდა, სად იყო იმისი სალამურები.

ერთხელ იმის სარკმელთან მერცხალი ბუდეს აკეთებდა თურმე. დაინახა ემ ბაღლმა და შეეხვეწა, შენი ჭირიმე, ჩემო კუდმაკრატელაო, წადი, ამა და ამ ხეზე ჩემი სალამურები არის და აქ მამიტანეო. მერცხალმა დაცინვით უთხრა: როცა ბუდეს მიშლიდი - კე, მაში როტომ არ ვიყავ შენი კუდმაკრატელაო. მოზანდი და შენ მაიტანეო.

მამრე ყორანს უთხრა: კოხტავ ქრუვოო, შენი ჭირიმე, ამა და ამ ხეზე ჩემი სალამურებია და მამიტანეო. ყორანმა უთხრა: ჯერ შენის წიქარაის ლეში მაჭმიეო და მამრე მაგიტანო. შაიბარტყუნა მჭრები და წავიდა.

ბოლოს დაინახა მტრედი და უთხრა: შენ, ხთის ფრინველო, ერთი სიკეთე მიყავო: წადი, ამა და ამ ხეზე ჩემი სალამურებია, მამიტანე და ტყვეობაჩით დამიხსენიო.

მტრედს შეებრალა ობოლი, წავიდა და მოუტანა თურმე და ერთი კი დახარა თურმე და ეგრე ააქვითინა, რო სულ ცოდვით დაწო ცა და ხოყანა.

სალამურის კვამ ეგრე გააყუნა ხალხი, რო ჩქამი აღარ იძრის თურმე. ბატარა ხანია, მოვარდა თურმე წიქარაი, დახკრა თურმე ერთს კარს რქები, შამდგვლია, დახკრა მეორესა, შამდგვლია, როცა მერვე კარიც მიამტვრია და მასთხტა თურმე ერთი რქა და იმ ერთის რქით ის ერთი კარიც გატეხა, შაისვენა ობოლი მჭარზე და მახკურცხლა კიდეცა.

როცა სამშვიდობოს გავიდეს, მაში უთხრა წიქარამ, ეხლა მაინც ჭკუით მაიქეო, რო მიხედავ, ერთი რქა მამთხტა და მტერს ვეღარ დავამარცხებ ეგრე ადვილადო ან იქნება მოვკვდე და ვინლაა შენი მშველელიო.

აიყვანა ისრივ ხეზე და თავად კი ისრივ წავიდა საძოვარზე.

გავიდა რამდენიმე ხანი და ბაღლაი ძრიალ დასწუხდა წიქარაისაკე და თქო: მოდი, სამგლოვიაროს დაუკრავ და მოვაო. წიქარას ნათქომი ხქონდა, თუ სამგლოვიარო დაკრვაზე არ მოვიდოდა, ის მკვდარი იქნებოდა და მაში თავის თავისათვი თითონ უნდა მეველა. დაუკრა სამგლოვიარო სალამური. წიქარაი არცა ჩანს. დიდი ხანი უკრა, მაგრამ, აბა, არცაით მოვიდა წიქარაი, მაში კი თქო: წიქარაი ცოცხალი აღარ მყავ და ეხლა დავობლდიო. ჩამოვიდა ხეზედითა და წავიდა სამეზნელადა. იარა, იარა და როგორც იყო, იპოვნა მკვდარი წიქარაი. ყორნებს ეგრე დეეჯიჯგნა, რო აღარც კი იცნობოდა. ჯერ იტირა, იტირა, რო სულ თავიდა დააკლა და მამრე კი თქო, უემისო ჩემი სიცოცხლე აღარ ღირსო. მოდი, მამავ და ეხლა დამკად, წიქარაი ვეღარ დამიფარავსო. ადგა, გაუჭრა მუცელი კარსა და შივ შაძრო. აჰა, ყორნებო, მეც აქ შამჭამეთო, წიქარაის ლეშთან ერთადო.

შაძრო და იქით აღარც გამასულა ის უბედურის დღისა. ისრი გაკორტნეს ყოვ-ყორნებმა, რო ქვანი და კლდენიც კიდავ აატირა იმის

ცოდვა-ბრალმა. მზე და მთორეც კიდავ ღურბლებს თურმე ეფარებოდა, რო იმის ცოდვილობისათვი აღარ ეცქირა თოლითა.

მაგრამ იმ უბედურის ოკერ-ობლის მშველელი კი აღარავინ იყო. მოელი ხოყანა იმის მტერი გამჭდარიყო და იმ არემარეს ეშმაკები-ლა დახპატრონებიყენეს.

ჭირი იქა, რხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
ნაცარი იქა, ხორბალი აქა,
სამ ვაშლი მქონდა, ერთი შენა,
ერთი მე და ერთი იმ ბაღდაის შანდობის მოქმელსა.

ანდაზა: ობლის კვერი ცხო, ცხო და ვედარ გამაცხო.

იყო და არა იყო რა, იყო ორი ცოლ-ქმარი, ხყვანდა სამი ქალი და ეგრე ძრიალ ღარიბად ცხოვრობდეს, რო სიმშილითა და სიტიტველით სული ამაზდიოდა თურმე. ერთხალ ამ კაცმა მაიფიქრა, რომ როგორმე მაიშორას. ის კაცი წავიდა ტყეჩი და გათხარა ორმო, ზედ ისრიე წააფარა მიწა და წამოვიდა შინა, თან სამი ვაშლი წამაიდა და სამსავ ქაღს მისცა. ქალები შემეხვიენეს მამასა და ერთურთის შურაზე ეკითხებოდეს, საით მაიტანე ან ვინ მაგცაო. წავიდეთ, შვილო, ხვალა ტყეჩი და ბევრი დაგკრიფათო. მეორეს დილაზე გარეკა სამივე ქალი და წავიდა. ორმოზე გადააფარა ხალიჩაი, დაყარა ზედ ვაშლი და უთხრა შეილებსა: აბა, მიდით და აკრიფეთო, როგორც კი შასდგეს ორმოზე, მაშიენე ჩავარდა ხალიჩაი და ჩაიტანა შიგ სამივე დები. მივიდა მამა და ჩასძახა: მაიცათ, შვილებო, არცად წახვიდეთ და კიბეს ამოვიტანო და ამაგრეკთო.

მაგრამ ის იქ აღარ მისულა.

ამ დებსა სალამ ბევრი ვაშლი ხქონდა, ჭამეს და როცა შაუცოტავდა, მაში კი გაიყვეს. ის ორნი დანი ჩქარ-ჩქარ შჭამდეს და უმცროსი კი ძრიალ ნება. როცა იმ უფროსს დებს გაუთავდა, უმცროსი უზოგავდა და აჭმევდა.

როცა ისაც გაუთავდა, მაში კი ერთ-ერთს უთხრეს უფროსმა დებმა, რაი ვჭამათ? რაი ვჭამათ და უმცროსი და შავჭამათო.

უმცროსმა დამ უთხრა: დაიცა, დებო, ცდა ბედის მონახევრეაო, ოქნება ვიპოვნა რაიმეო და დაიწყო მიწის თითით თხრა. თხარა, თხარა და ერთი ლეღვი იპოვნა, გაუტეხა ორს დასა და თითონ თითები გაილოკა.

კიდავ ჩქარ-ჩქარ იტყვიან უფროსი დები, რაი ვჭამათ, რაი ვჭამათ და უმცროსი და შავჭამათო. უმცროსი და კიდავ შეეხვეწება, ბატარია და კიდავ დამაცალეთო. კიდავ თხარა და ახლა ორი ლეღვი იპოვნა. ერთი ერთს დას მისცა და მეორე მეორესა, თითონ ისრივ თითები გაილოკა. კიდავ იტყვიან დები, რაი ვჭამათ, რაი ვჭამათ და უმცროსი და შავჭამათო. უმცროსი და კიდავ ეხვეწება, ერთი დღე კიდავ დამაცალეთო და მამრე შამჭამეთო.

თხარა, თხარა და სამი ლეღვი იპოვნა, ერთი ერთს მისცა, მეორე მეორესა და ერთი თითონ შაჭამა. იქამდე თხარა, იქამდე, რომ ქვეშკნელს გავიდა, ისითს ადგილას გაიტანა ტუნელი, სადაც ჳემწიფის ცხენები ემბა და სულ ლეღვით იკვებებოდეს. მივიდოდა ეს უმცროსი და, გაივსებდა თურმე კალთასა და მიუტანდა თავის დებსა.

ერთხალ ჳემწიფეს თურმე მაახსენეს, რომ ცხენებს თუ მეტს არა, ნაკლებს არ ვაჭმევთო და ძრიალ კი დაჯდესო. ჳემწიფემ უბზანა, რომ იქნება ვინმე იპარავსო და უყარაუღეთო. ერთხალ, როცა ქალი გამოვიდა და ლეღვი მიხქონდა, დაიჭირა ყარაულმა და ჳემწიფესთან მიიყვანა და უთხრა: აი, ეს იპარავდა თურმეო.

ჳემწიფემ სუყელი გამახკითხა ქალსა, თუ ვინ იყო, სადაველი და როგორ მოვიდა აქა. თურმე ქალმა სულ უამბა თავისი თავგადასავალი და ისაც უთხრა, რომ ორი და კიდავ ხყვანდა იქა. ჳემწიფემ უბზანა, რომ მარეკეთ ის ქალებიცო. მარეკეს და სამნივ ისითი ლამაზები იყვნეს, რო არა ეს შჯობია და არა ესაო.

ჳემწიფემ უთხრა უფროს დასა, შენ რაის გაკეთება შავიძლიაო: მე ერთის კვერცხით იმდენს საჭმელს გავაკეთებ, რომ სულ გეყოფა შენ შენის ამალითაო. შაშუალს ხკითხეს, შენ რაისიდა გაკეთება შავიძლიაო. მე ერთის ჩონგაის მათულითა ისითს ფარდაგს მოვხქსოვ, რო მთელი საჳემწიფო დაფარასო.

ახლა უმცროსს უთხრეს, შენ რაისიდა გაკეთება შავიძლიაო. მე არცრაი არ შამიძლიაო, მარტო ეს ვიცი, ორი შვილი ტყუპად გამინდება, ერთი ქალი და ერთი ბაღლი, ოქრო ქონრიანებო. უმცროსი თავის შვილს მისცა ცოლადა.

გავიდა დრო და ქალი დაორსულდა. ამ დროს ჳემწიფიშვილი ცხოს საჳემწიფოჩი აპირობდა წასვლასა. ცოლმა უთხრა, ნუ წახოლიო, გული გონჯს რასმე მეუბნებო, მაგრამ იმან არ დაიშალა და წავიდა.



*დგას ირაკლი ფიცხელაური
სხედან: სტეფანე ქირიკაშვილი, ვახტანგ ქირიკაშვილი,
გიგუშა ფიცხელაური, ბორია ავსაჯანიშვილი.
უკან: გაიოზ ხართიშვილი, იორამ ქუშაშვილი.*

ამ ქალს მოუვიდა მშობივრობის დრო და გაუჩნდა მართლა ოქრო ქორიანი შვილები. იმისმა დებმა შაისყიდეს ბებიები, ის შვილები მახპარეს და ძაღლის ლეკვები მიუყარეს ძირსა. ის ბაღლები ჩაყარეს ერთს მაგარს ეშიკი და წყალჩი გადაადგეს. ჳემწიფესთან კაცი წავიდა და მაასხენეს, რო შენს რძალს ძაღლის ლეკვები გაუჩნდაო.

ჳემწიფიშვილი გაჯავრდა და უბზანა, სალამ მოვალ, მანდ აღარ დამხვდესო. ისითს ადგილას წაიყვანეთ, რო გზაჯოროდინი იყოს და ბევრი ხალხი ხვდებოდესო.

წაიყვანეს, გათხარეს მიწა და ძუძუებამდე მიწანი დაასვენეს, ზედ ძაღლის ლეკვები მიუყარეს და დაუწყეს ძუძუს წოვა. იქვე ფიცარი გააკრეს და დააწერეს: „ვინც გაივლით, სუყელამ შაახუშეთ“. გამვლელი და გამამვლელი სულ იმას ახუშებდა.

ერთს წისქვილჩი ცხოვრობდა მეწისქვილე და იმის ცოლი. იმათ შვილი არ ხყვანდა და ამ წისქვილით ცხოვრობდეს.

ერთხალ, შუაღამის დროს, წისქვილი ერთბაშად გაჩერდა. მეწისქვილე ადგა, ღარის სათავე ნახა და დაინახა, რომ სარუფი ეშიკი იყო გაციდული. ამიდა გახარებულმა მეწისქვილემ და შინ შაიტანა.

გახსნეს ეშიკი და სულ გახკვირდეს; აი, დედაკაცი, შვილი არა გვეოვ და ღმერთმა უწვალებლად ოქრო ქონრიანი შვილები მოგვცაო. დავზარდათ და ჩვენი შვილები იქნებიანო.

იზღებოდეს ეს და-ძმანი მეწისქვილესთანა და ისითი ლამაზებიც იზღებოდეს, რომ მაღლი იყო იმათი ნახვა. ის ბაღლი ისითი ღონიარი იზღებოდა, რომ სუყელას ელდას ატანინებდა. როცა გაიზარდა, ძრიალ შაუყორდა ნადირობა და ძრიალ ხშირად დადიოდა.

ერთხალ დამ უთხრა თავის ძმასა: ძმაო, უშენოდ ვერა ვსძლებ და ან თან წამიყვანოდე და ან ერთი მაღალი კოშკი ამიგე, რო სულ გხედავდო. აუგა კოშკი ერთს ტრიალს მინდორზე, შაიყვანა შიგა და იქით სულ ხედავდა იმის ნადირობასა. იმ ბაღლსაც იქ უჭდებოდა ნადირობა, სადაც კემწიფე ტყეწი ნადირობდა. ერთხალ ნადირობის დროს კემწიფე და ეს ბაღლი შახედეს ერთმანერთსა და ისრი შაუყორდა ერთურთი, რომ რაიდა თქოს კაცმა. სულ ერთად დადიოდეს, ის დღე დღედ არ მიანდა, როცა ერთურთს არ ღნახავდეს.

თურმე დედიდებს გაუგია, რომ ის ბაღლები დაზდილანო და უფიქრებია, რო ესები კარგს არას დოგოყრიანო და ერთი ჳერკი მაუგონებია, რო ისინი როგორმე დავკოცან. ერთხალ ამ დედიდამ თურმე ჩაიცო ბებრულადა და მივიდა იმ ქალთანა კოშკი და უთხრა ეშმკურადა: ოი, შვილებო, როგორ დიდებულად ცხოვრობთ, როგორი კარგი და-ძმანი ხართ, მაგრამ ერთი რაიმე გაკლიათო, ისაც რო გქონდესთ, მაში კემწიფეც ვეღარ დეგედრებოდათო. ერთს ადგილას ისითი ვაშლია, რო ანათებსო და ის უნდა ქონდესთო. წავიდა ქალი, ძრიალ დაჯავრიანდა.

როცა იმის ძმა მოვიდა, ხკითხა, რაისთვი ეგრე ჳავრიანად ხარო. ჳერ კი არ უნდოდა თქმა, მაგრამ მაინც უთხრა თავის ძმასა. ძმამ უთხრა, ჩემი ცოდვა ხქონდეს, ვინც შენ ეგ გითხრაო, მე წავალი, ან მოუკვდები და ან მოვიტანო.

წავიდა, ბევრი იარა და ერთს ადგილას დაინახა, რომ სახლჩიგათ სინათლე გამოდიოდა და იქ მივიდა, კარები დაუხრიალა და ერთი დედაკაცი გამოვიდა. ბაღლმა უთხრა: დედაშვილობას, ღამე დამაყენეთო. აი, დედაშვილობა არ გეთქო კი კაი ლუკმა გამიხვიდოდო, ეხლა კი მოდი, შვილოო... შავიდა თურმე და იქ ერთი უზარმაზარი კაცი დახვდა თურმე.

იმ კაცმა ხკითხა თურმე ბაღლსა, რო რას გაურჯიხარ, რაი ძალა დაგდომიაო, რო აქათკე წამასულხარო. ბაღლმა უამბა, რაისთვიც მიდიოდა. კაცმა უთხრა: ჳეი, შვილო, მართლია კარგი ვაშკაცი ეტყობი, მაგრამ მაინც ძნელი საქმე შავიბედია. ღმერთმა ჳელი მაგიმართასო და დაარიგა: იქ დღე წასვლა არ შაიძლებო. იმიტომა, რო ძნელი საპოვნი

იქნებო, ღამე კი ისითი ვაშლია, რომ ასინათებსო და მაშივნე მასწყვეტო, მაგრამ ეს კი იცოდე, რომ მასწყვეტ და წამახოლი.

სუყელია დაიკივლებს: ქვა, კლდე, ბალახი, წყალი და სუყელია: მაიპარა! მაიპარა! მაიპარა! ის გეგონება, რომ სუყელანი მე თუ მამდევენო და თუ შენის თავისთვი კარგი გინდა, უკენ არ მიიციქირა, თორო დაიღუპებიო.

მეორეს ღამეს წავიდა ეს ბალდი და გადაფრინდა ბაღჩი. რო მასწყვიტა და გამაბრუნდა, დადგა ერთი კივილ-წივილი: მაიპარა, მაიპარაო! ისრი შაშინდა თურმე ეს ახალგაზრდაი, რო თმები სულ მაღლა დაუდგა თურმე, მაგრამ უკენ კი არ მიიხედა, როცა შინ შავარდა, მაში სუყელია გაჩუმდა. როცა მივიდა და მიიტანა ვაშლი, იმ კაცს ძრიალ გაუკვირდა ამ ახალგაზრდაის მოცადობა. და უთხრა: კარგი ვაშკაცი ხყოფილხარ და ალალია ეგ ვაშლი შენზეო. გემეშვიდობა და წამოვიდა. როცა მივიდა, დას ძრიალ გაუხარდა.

როცა ეს ჳემწიფე ამ ახალგაზრდას აღარ ხვდებოდა, ძრიალ დაღონებულა და შავები ჩაუცმია, თავის სახლისათვიც შავები ჩამოუფარებია. დადის და სძებნის თურმე, იქნება ნადირმა გააფუჭაო და ძოლს მაინც ვიპოვნო.

ერთ დღეს, როცა დაღონებული დადიოდა ჳემწიფე, შახვდა ისრიე ცოცხალსა და ძრიალ გაიხარა. გაიჳადა შავები და ისრიე გამხიარულდა. როცა გაიგეს დედიდებმა, რო ის ისრიე ცოცხალი მასულაო, ახლა მეორე და მივიდა. იმანაც უთხრა: აი, შვილებო, როგორი ოჯახი, როგორი დიდებული სახლ-კარი გაქვთ, მარტო ერთიღა რაიმე გაკლიათო, ისაც რომ გყვანდესთ, ვერცერთი ჳემწიფე თქვენსავით მაწყობილი ვედარ იქნებოდაო. ქალი კიდავ დაჯავრიანდა და როცა ძმა მიუვიდა, უთხრა, რაიც იმ დედაკაცმა უთხრა, რო ამა და ამ ადგილას ერთი ოქროს თხა არის, ის დაგიმშვენებსთ ოჯახსაო. ძმამ უთხრა: ჰაი, ჩემი ცოდვა ხქონდესთ და მე კი წავალიო. ან უნდა მოკვდეო და ან უნდა მოვიტანაო. და წავიდა. იარა, იარა და ერთს ადგილას დაინახა ცხორი. იარა, იარა და მივიდა იმ ცხორთანა და ნახა ოქროს თხა და უთხრა, გამარჯვებო და გაგიმარჯოს, უთხრა თხამა.

თხამ უთხრა: რაი ამბოვია, რას მოუყვანიხარ აქაო? ბალღმა უთხრა: შენს წასაყვანლად მოვეო. არაო, - უთხრა თხამა, მე მყავ ერთი ბრმა პატრონიო. აი, იმის ცხორს მე უდგავარო. წადი, უთხარ, თუ გამამიშო, წამოვალიო. ოქროს თხა, როცა ცხორს მიურეკდა დევი, ბაკის კარებნი გაიჩაჩხებოდა და ისრი სთვლიდა. დახკლავდა დევი ერთს ცხორსა. ეს ბალდიც დახკლავდა. დახკლავდა დევი ორსა და შაშკამდა. ის ბალდიც ორს შაშკამდა.

სთვლის დევი და აკლდება და სთვლის და აკლდება, მამრე თქო: ვინა ხარ, ვინ მიშერები ესეთს საქმეს, გამამინდი და ქალი ხარ, დად მიგიღებ, კაცი ხარ, ძმად მიგიღებო. მაგრამ ოქროს ქონრიანი არ უჩნდე-

ბოდა იმიტომ, რო ოქროს თხამ დაარიგა: სალამ ჩემსას არ დაიფიცავ, არ გამოუჩნდეთ. როცა მასწყინდა, დევს უთხრა, გამაჩნდი, ვინა ხარო და ოქროს თხა მამიკვდეს თუ რაიმე გავნაო. მაში კი გამოუჩნდა ჭაბუკი და უთხრა: მე მოვსულვარ, შენი ოქროს თხა უნდა წავიყვანაო. დევმა უთხრა: ვერა, ოქროს თხას ვერ მაგცემო, ჩემი ცხოვრება მაგაზე ხედი-აო. ერთი უსინათლო კაცი ვარო.

არ მამცემ და მეც აქ დავრჩებიო. დარჩიო, - უთხრა დევმა. მეორე დღეს გახყვეს ცხორსა ოქროს თხა და ოქროს ქორიანი. დევი შეეხვეწა, არ გადრეკათო. როცა გარეკეს, მარჯვნივ დიდი ბალახი იყო და იქ გარეკა. დაალევიანა წყალი და შახვინა მზორეზე. ბატარა ხანია და ერთის ლანძღვა-გინებით მადის ეგეთი სამთავიანი დევი, რო პირით სულ ცეცხლის დორღლები გადმოუდის: ვინ გაბედა ჩემს ადგილჩი ცხვრების გადმარეკაო. ჩემის შიშითა ცაჩი ფრინველს არ გაუვლია და დედამიწაზე ჭიანჭველასაო. ახალგაზრდას გეცინა და გასძახა: აქ ჩამოდი და მკლავის ძალა ვსცადათო. ჩამოვიდა დევი და ხვდეს კიდეცა თურმე. ხან ოქროს ქორიანია ზედა და ხან დევი, ბოლოს დაძალა თურმე ამ ბაღმა და დასცა დევი. დევი შეეხვეწა, ნუ მამკლავ და კარგს საქმე გიზამო. შენ რომენსაც დევთან ხარ, ის ჩემი ძმია და მე დავაბრძემო. გამიჭერ ცოტაი გულის ადგილასა, ცოტაი ჯიგარი ამაჭერ, დაასხი იმას ცოტაი წყალი, მამრე წადი ჩემს სახლჩი, ჰელიმარჯვნი ყუთი დგას, იმ ყუთს ახვადე და იქ აწყვია დევის თოლებიო. მიუტანე, ჩაუსხდინე, მამრე ჩემი ჯიგრის სისხლიანი წყალი შაასხი და თოლებს აახედებსო. როცა ესეები გაიგონა, მაკლა დევი, წავიდა, მაიტანა იმის თოლები. როცა ცხორი მირეკეს, დევს ეუბნება: მაჩვენე, ძიავე, როგორ გაქვ თოლები დათხრილიო. მივიდა, ჩაუსხდინა თოლები, შაასხა სისხლიანი წყალი. დევმა მაიფშენიტა თოლები და ცოტას დაინახა და უთხრა: კიდავ შამასხიო. შაასხა ერთი ვედრაი და დევმა სულ აახედა თოლები, გადაკოცნა ჭაბუკი და უთხრა: ალალი იყოს, შვილო, ჩემი ოქროს თხა შენზეო, წავიყვანეთო. წამაიყვანა ოქროს თხა და მშვიდობიანად მივიდა შინა. ჰემწიფეს ისრიე შავები ჩეცო და გლოვობდა. როცა გაიგეს დედიდებმა, რო ისრიე ცოცხალი მასულაო, კიდევ მივიდა ერთი და უთხრა ქალსა: ეხლა აღარა გაკლიათრო, მარტო იმისი მეტი, ამა და ამ ალაგას მზეთუნახავი ქალიაო, როცა ძმა მოუვიდა შინა, უთხრა ქალმა ბებრის ნათქომი. ძმამ უთხრა, მესამედ კიდევ წავალი, ან უნდა მოგკვდე და ან უნდა მოვიყვანაო, წავიდა, იარა იარა და ისრიე იმ ქოსს მიადგა. ბებერმა კაცმა უთხრა, რაიდა გაგჭირებიო. აიმ კოშკი რო მზეთუნახავი ქალია, ის უნდა მოვიტაცაო. სახლის პატრონმა უთხრა, დიდი საქმე გაგიბედიო, მაგრამ როგორც თქვენს ვაჟკაცობას ვიცნობ, მგონია რო შასძლებო და კარგს დროსაც მასულხარო. იმ ქალმა სამი დღე-ღამე ძილი იცისო. წუხელ დაიძინა და ხვალეზე გამაიდვიძებსო. უნდა მიხვიდე ღამეო, თან წაიდე ბლომად ჰორცი, ორი ცოცხი და დუქარდი. კარებჩი ორი ისითი ძაღლი

უწევს, რო ერთ ლუკმადაც არ ეყოფიო. რო შახოლ, ეს კორცი უცბად მიუგდე ერთი ერთსა, მეორე მეორესა. იქვე დედაკაცს ფურნე უნთია, ძუ-ძუებით სწმენდსო. რო დაგინახავს, გამაქანდება შენკე და ეს ორი ცოცხი თუ არ მიაგებე, დაგაფლებს კელსა და შენით გამასწმენდსო. ის მზე-თუნახავი ქალი კოშკი წევს, თმები გარეთ აქვ გადმაწყობილი, ორი მტკაველი მიწაზე ხყრია. ის მაშკერ, გამაიქეო და ხვალ დილაზე ის ქალი თავის ფეკითვე მაგიდგება კარზეო. რო წამახოლი, სუყელაი კივილს დაიწყებს: გაიპარა, გაიპარაო! და არ შახცდე, უკენ არ მიიხედა, თორო დაიღუპებიო. მეორეს დამეს წავიდა და ისრი გაიქცა, როგორც იმ კაცმა დაარიგა. გამაშტრა ქალს თმები და მახკურცხლა კიდეცა. სუელსუყელამ კივილი დაიწყა: მაიპარაო! მაგრამ ბაღდმა უკენ არ მიიხედა, შავიდა შინა და სუყელაი გაჩუმდა. მეორეს დღეს ქალი თავის ფეკით მიადგა კარზე და წამოვიდეს კიდეცა შინა, წამაიყვანა ქალი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. ნადირობის დროს ეს ოქროქორიანი ჭაბუკი შახვდა ისრივა შავად ჩაცმულს კემწიფესა. იმან მაშინვე გადაყარა შავი ტანისამოსი...

ერთხალ ცოლმა უთხრა ახალგაზდასა: კემწიფეს უნდა დავხპადიჯათ თავის ამალითაო. ქმარმა უთხრა, რაი გოქ, რაზე დავხპადიჯათო. შენ დახპატიჯე და ეგ მე ვიცი, შენ მარტო მარიფათიანად მაიქე. მოჯამაგირებს უბრძანე, აი ესრე მაიქეცითო. ბაღლი ადგა და წავიდა ხემწიფის დასაძახებლადა.

ხემწიფეს უთხრა: მახზანდი შენის ამალითაო. როცა მივიდეს იმის ოჯახნი, გაუკვირდა, რო არა ბაიბური იყო. არც ქათმების კოცა, არც ქობების დუღილი და არცრაი არა. კემწიფემ თავის დიდებულებს გააჩუნწურა, თუ მასხარად გვიგდებენ, თავი აქვ სამასხარო, მე ვიცი მასხარობა რასაც ხქვიანო. ბატარა ხანია, გაყო ამ ქალმა აკოშკაი თავი. თურმე ის ქაჯების ხემწიფე ყოფილა. დაიძახა ერთი რაილაც ქაჯურადა და გაცვივდეს კიდეცა ქაჯები. დადგა ერთი სიფრების გაშლა. რაი გინდა სულო და გულო, რო იქ არ მოვიდა. ტრიალებს ეს ოქროქორიანი და ბრძანებას იძლევა: აი, ეს არ ვარგა, აი ეს კარგია, აეს ესე, აის ისრი. ისითი ამბოვი გაუმართია, რომ ყანწებს ყანწებზე სცლიან. ახლა კემწიფემ დახპატიჯა, ხვალ ჩემთან წამოდიო. შეემზადა კემწიფე, როცა წავიდეს იმ გზაზე, სადაც კემწიფის ცოლი მიწაი იყო ჩასვენილი, ოქრო ქორიანმა დაიძახა: ბეჩავი ეს ქალი, როგორ იტანჯებო. ნუ გეშინიან, ემაგასაც მალე ეშველებო, - უთხრა ცოლმა. როცა დასხდეს, ჯერ ჩამარიგდა წვნიანი საჭმელი. სუყელამ ჭამა. სამი სტუმარი არ შჭამდა. კემწიფემ უთხრა, თქვენ როტომ არ მიირთომითო. ქალმა უთხრა, ჩვენ ემას სალამდე არა ვშჭამთ, სალამ იმ ძაღლებს არ ამაიყვანთ, რომნებიც შენს ცოლს ძუძუს სწოვენო. ჩვენ იმ ძაღლებს თუ მკვდრებს, ცხო ცოცხლებს ვერ დავიჭერთ, კაცს არ იყენებენო. ჩემს ოქროს თხას გააყვალეთ ერთი კაცი და თითონ მადრეკსო, - უთხრა ქალმა. გააყვა-

ლეს კაცი. დაუკრა ოქროს თხამ საღამური და მაშინვე თურმე გამახყვეს ძაღლები. სამივე ბაკანი იმ ძაღლებს შაატმის. ძაღლები მაშინვე დაიკოცნეს. ის ჭემწიფე თურმე სულ სახტად დარჩა, ეს რაი ამბოვი არისო. ეს ის ამბოვია, რომ ჩვენი საჭმელი მაწამლული იყო აემ შენის ცოლისდებისაგაო. აი, ეხლა გეტყვით სიმართლესაო: ეს ქალი და ბაღლი შენი შეიღებიაო. მე შენი რძალი ვარო. მიწაჩი რო ქალია, ის შენი კანონიერი ცოლიაო. აემ შენმა ცოლის დებმა შეიღები მახპარეს და ძაღლის ლეკვები მიუყარეს. ის ქალი ალაღმართალი დასტანჯეთო. ამ ჭემწიფემ გააყვანინა თავისი ცოლის დები და სულ ცხენის ძუაზე დააწვეეტინა, თითონ კი ორი ხელი ვორწილი გამართეს და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი იქა, რხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ანდაზა: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო.



შეხვედრა სნოში დეპუტატობის კანდიდატ შალვა დადიანთან. 1937 წ.

იყო და არა იყო რა, იყვნეს ორი ცოლ-ქმარი. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნეფე, ხყვანდა ერთი შვილი, სახელად ექვივნა ალექსანდრე. ემ ნეფეს ხყვანდა ერთი ტუსალი. ნეფეს ნათქომი ხქონდა, რო ვინც ამ ტუსალს გაუშობდა, აუცილებლად მოვხკლავ.

ერთს დღეს ალექსანდრე თამაშობდა ბურთითა. ბურთს ამასკრა ფეჭი და გადაუარდა ციხეში. ემ ტუსალს ეხვეწა, რო გადმამიგდე, ბურთითო, მაგრამ იმან არ გადაუგდა.

ტუსალმა უთხრა: წადი, მამაშენს გასაღები მახპარე, გააღე კარი და გაიტანეო.

წავიდა, მახპარა გასაღები, გააღა კარი და ის რო ბურთს დეეხარა ასაღებადა, ტუსალი მიღვარდა ალექსანდრესა, მკლავზე უკბინა და გაიქცა. წავიდა ალექსანდრე და ეს ამბოვი დედას უთხრა. დედა ძრიალ შასწუხდა, რაკი იცოდა თავის ქმრის ამბოვი, რო არ აპატიებდა და დატრიალდა. შახყარა თავისი ვეზირები და უთხრა, აბა, მიშველეთ რაიმეო. წავიდეს ვეზირები ნეფესთანა და ხკითხეს, შენი პატიმარი რო ვინმე გაუშოსო, რას უზამდიო. რას უზამდიო და ვინც გინდა იყოს, არ გაუშობ მოუკლავსაო.

მამრე უთხრეს, რომ ალექსანდრეს გადქცევიაო და აპატიეო. ნეფე გამწარდა და თქო, შვილია, როგორ მოგკლავ, მაგრამ ამ საცემწიფონი აღარ დადგესო.

ალექსანდრე ადგა და წავიდა. იარა, იარა და შახვდა ერთს მონახშირის შვილსა და გამარჯვება უთხრა. გაგიმარჯოსო, - უთხრა მონახშირის შვილმა. სად მიზდისარო, ხკითხა ალექსანდრემ. მინახშირის შვილმა გაჯავრებით უთხრა, რაი შენი საქმეაო, მე რას ვაკეთებო და სად მივდივარო. მამახემს კამბეხები დაუკარგე და შინ აღარ მიშობსო. მამრე ალექსანდრემ უთხრა: ძმაო, მეც მამამ გამამაგდა და ერთად ვიარათო. დაძმობილდეს და წავიდეს ცხო საცემწიფოსაკე. გზაზე ალექსანდრეს ძრიალ მასწყურდა წყალი და უთხრა თავის ამხანაგსა, წყალი რო არცად იცი ამ ახლო-მახლოსაო. მონახშირის შვილმა უთხრა, მდინარე კი არა ვიცი რა და ერთი ჭა მეუგლებაო და იქ წამადიო. როცა მივიდეს იმ ჭასთანა, ჯერ ალექსანდრემ მათავლა მჭრებნი საბელი და ჩაუშო ჭაჩი, მამრე მონახშირიშვილმა.

როცა ალექსანდრემ წყლის დაღევა გაათავა, ზაით შამაიხედა თურმე და დაინახა, რო იმისი ამხანაგი საბელს შჭრის, დაუკივლა, რას შერებო! მონახშირიშვილმა უთხრა, თუ შენს ტანისამოსს მამცემ, ამაცივანო. ალექსანდრემ უთხრა, ტანისამოსისათვი რაზდა მკლავო. მანდ ვეღარ მითხარ და განა არ მაგცემდიო. ამაცივანა და მისცა ტანისამოსი. და ისრიე წავიდეს ცხო საცემწიფონი. ალექსანდრემ უთხრა ამხანაგსა, ეგ კემწიფის შვილის ტანისამოსი რო მაგე, იცოდე, გამაიყენე კიო.

იარეს, იარეს და მივიდეს ერთს საკემწიფოჩი და მივიდეს ნეფესთანა. მონახშირიშვილმა უთხრა, რო ითამ ის იყო ნეფიშვილი და ალექსანდრე კი იმისი მოსამსახურე, მაგრამ როცა სასახლეჩი შავიდეს, მონახშირიშვილს გაუკვირდა მართულობა. რაკი არ ენახვა და სულ იქი-აქა იცქირებოდა. და იკითხა, რაისთვი ეგრე იცქირებო. ალექსანდრემ უთხრა: დიდებულო ნეფეო, თავის სასახლესთან არად მიახნიაო და იმი-ტომ ათოლიარებსო.

მამრე კი ნეფემ ეს მონახშირიშვილი მიილა, როგორც ნეფიშვილი და ალექსანდრე კი დააყენა ლაქიდა.

ემ ამბოვჩი მოდის თურმე დრო. ნეფის ქალსა ძრიალ თოლჩი მას-ვლია ალექსანდრე და ჭურჭლის რეცხას თურმე მიეშველებაკე. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და ძრიალ შახეორებია ერთურთი.

მოსამსახურეებს შაუტყვია ეს ამბოვი და ნეფისათვი უთქმია. ნეფე ძრიალ გაჯავრებულა და უთქმია ამ ითამ ნეფიშვილისთვი, საქმე ეს-რეო, ჩემს ქალს თურმე ხეორობს ის შენი მოსამსახურე და მითხარ, რაი უყოთო.

იმან უთხრა, მაკალით და გადაადეთო ეგ მურტალიო. ნეფემ სა-სიკვდილოდ ვერ იქჩერა და მთაჩი გაგზავნა ცხენებთანა ყარაულადა, თურმე ეს კემწიფის ქალი სკოლაჩი დადიოდა, მაგრამ რაც ალექსანდრე მთაჩია, ისაც წამოვა თურმე, ითამ სკოლაჩი წავიდა. ის კი ალექსან-დრესთან იყო მთელი დღეები.

ერთხალ თურმე ნეფემ დახპატიჯა დიდებულებსა, ამ ხალხჩი იყო იმის ქალის მასწავლებლებიცა და უთხრა ნეფესა, რო შენი ქალი რო-ტომ არ დადის შკოლაჩიო. კემწიფეს გაუკვირდა და უთხრა, ჩემი ქალი ყველაჲ დღე დადის შკოლაჩიო.

ადგა ნეფემა და ყარაულები დაუყენა თავის ქალსა, სად წავიდო-და. ქალმა იარა, იარა და მივიდა ალექსანდრესთანა. ეს ამბოვი შაატყო-ბინეს ნეფესა.

ნეფემ კიდაჲ უთხრა თავის სტუმარსა და რაილა უყო იმ შენს მაყ-ვანილს ლაქიასა, ჩემი ქალი ეხლა მთაჩი თურმე ადისო.

სტუმარმა უთხრა, მე გეუბნები, რომ მაკალითო. ერთხალ ალექსან-დრეს სულ დახფანტვიან ცხენები, ვეღარ მოურეკია და დაუწყია ტირი-ლი.

ამ დროს თავს წაზდგომია ერთი უშველებელი კაცი და უთქმია, რაი გატირებსო. ამ დროს ალექსანდრესათვი იმ ნაკბენს მკლავს დაუწყ-ვია ძრიალ ღონება. ალექსანდრეს თურმე ძრიალ უკვირს, ეხლა რამდა ამატკიაო.

ის კაცი თურმე ეუბნება, წამოდი ჩემთანაო, ვერ მიცანო, შენ რო ტყვე გაანთავისუფლე, მე ისა ვარო. მოდი და ახლა მე გიშველო და ცხენებსაც მე მაგირეკო. წაიყვანა ალექსანდრე და დაალევიან ერთი ჭი-ქა რაიდაც წითელი სასმელი, თან მისცა ისითი სალამური, რო და-

უკრა, სულ ალექსანდრესთან მოვიდეს. იმ სასმელის დაღვევით ისიითი ძაღლონე მოუვიდა, რომ სულ დაგლიჯა ხეები. ახლა ნეფემ გამაგზავნა კაცი, რო უთხარ ალექსანდრესა, ნეფე ვიბარებს-თქო.

ალექსანდრემ უთხრა, არა, მე ვერ წამოვადიო. არ მცალიან-თქო, ვერე მახსენეთ ნეფესა. წავიდა კაცი და მახსენა ნეფესა, რაიც ალექსანდრემ დააბარა.

გაჯავრდა ნეფე და ახლა სამი კაცი გაგზავნეს და დააბარა თუ ნებით არ წამოვიდა, შაკარით და ისრი წამაიყვანეთო.

ბევრი ეხვეწნეს, მაგრამ არ წახევა, მაში მაიმლომეს ძალით ყოფნა, მაგრამ დაიჭირა ერთი ერთს კვლხი, მეორე მეორეხი და ერთურთს შამანატრა. მესამე კი გაიქცა და ნეფეს მახსენა, რომ ალექსანდრემ ორი კაცი დაკოცაო. მაში ნეფემ ასი კაცი გაგზავნა დასაჭერლადა. მაგრამ ის ასი კაციც იფრინა. ორი-სამი კაციღა გადურჩა, მახსენეს ნეფეს ეს ამბოვი.

ადგა ნეფე და ახლა ვაზირი თურმე გაუგზავნა და სთხოვა, იმასთან მისულიყო.

ალექსანდრემ უთხრა: არ მინდა წამასვლა, მაგრამ რაკი მიბარის, წამოვადიო. როცა ალექსანდრე მივიდა, ნეფემ უბზანა თავის ჯარსა, რომ ის ორმოხი ჩეგდა და ზედ დიდი ლოდი დეეფარა და არც საჭმელი მიეცა და არც სასმელი.

ერთხალ ნეფის ქალმა დაუძახა ერთს ურიასა და უთხრა: აი, ემ ოთახნიგა ორმომდე ტუნელი რო გაიყვანა, რას აიღებო. ურიამ უთხრა, ორასი ოქრო მამეო.

ივაჭრეს, ივაჭრეს და ას ოქროდ მარიგდეს. გაიყვანა ტუნელი ამ ურიამა და მივიდა ქალთან ოქროსათვი. ქალმა უთხრა: ჯერ ენა გამაყავ და მამრე მაგცემ ფულსაო. ურიამ გამაყო ენა და ქალმა დუქარდით მასჭრა და ასის ოქროს მაგივრად ორასი ოქრო მისცა.

ქალმა ეხლა ამ ტუნელით დაიწყო სიარული და უზიდავდა საჭმელ-სასმელსა.



პატრიარქალური ოჯახი

ერთხალ ამ ჳემწიფეს დევმა შამაუთოლა, რომო თუ ამა და ამ ადგილას გამაგიყვანია შენი ქალი ჩემთვიო, რა კარგი, თუ არადა მთელს საჯემწიფოს სულ აგიოჯრებო.

რაილა მეტი გზა ხქონდა ჳემწიფესა. უნდა გაუყვანას ქალი. ეს ქალი ჩავიდა ალექსანდრესთანა და უთხრა, ესრე ესრეა ჩემი საქმე და მშვიდობით მე ველარ გნახავო. ალექსანდრემ უთხრა, წადი და ნუ გეშინიანო. ქალი წავიდა და უკენ გახყვა მონახშირის შვილი იარაღჩი ჩამჯდარი.

მაგრამ ისითს ადგილას დაიმალა, რო დევს ვერ დეენახვა. ბატარა ხანია და მოვარდა დევი, უნდა წაიყვანას ქალი და ამ დროს გადმოუფრინდება ალექსანდრე. დაზბლევს დევსა და იქვე გააქრობს და წამოვა, ამადერება მონახშირიშვილი და ეტყვის ქალსა, ის თქვი, რო ეგ დევი მე მოვკალიო, თორო ცოცხალს არ გაგიშობო. რაილა მეტი გზა ხქონდა ქალსა, როცა ნეფემ ხკითხა, ვინ გადაგარჩინაო, ქალმა უთხრა, ვაი თქმასა და ვაი არ თქმასაო. მამრე უთხრა, ჩვენმა სტუმარმა გადამარჩინაო. ბატარახანია, ახლა მეორე დევმა შამოუთოლა, ჩემი ძმა რომ მახკალით, მახკალით, თუ ეგ ქალი ამა და ამ ადგილას არ გამაგიყვანიათ, სულ აგიოჯრებთ საჯემწითოსაო.

რაილა მეტი გზა ხქონდა, გაუყვანეს ქალი დანიშნულს ადგილზე, მოვარდა ორთავიანი დევი, უნდა მათვლას ქალს ჳელი. გადმოუფრინდა ალექსანდრე და ის დევიც მაკლა და წამოვიდა. ი მონახშირიშვილმა ძლივ გამაყო საითმე თავი და უთხრა ქალსა, ვაი შენი ბრალი, თუ არ გითქმია, რომ მე მოვკალო.

ნეფემ უთხრა თავის ქალსა, ვინ დაგიხსნაო. ჩვენმა სტუმარმაო.

ახლა მესამე სამთავიანის დევის ნაბარები მოუვიდა, თუ ქალი არ მაგიციათ, ჩემთვიო, სულ ძირს დავსცემ საჯემწიფოსაო.

ქალი კიდავ მივიდა ალექსანდრესთანა: მე მივდივარ და მშვიდობითაო შენ იმ დევს ველარ გაუძლებო და ნუღარ დამანახვებ შენს სიკვდილსაო. ალექსანდრემ უთხრა, ნუ გეშინიან, ჩემო მზეო, შენის გულინათვი მთელს ხოყანას ვეომებიო.

ჯემწიფემ ისრივ გაუყვანა თავის ქალი. ბატარა ხანია და მოდის სამთავაი დევი, ისითი, რო სულ მათმდგვლევს ყველასა.

გადუფრინდა ალექსანდრე და ის სამთავაიც მაკლა. მონახშირიშვილმა კიდავ უთხრა, ის თქვი რო ითამ მე მოვკალო, თორო, შენის თოლების მეტი ველარა გიხსნის რაო. აბა, რაკი ამ ითამ ჳემწიფიშვილმა გადაარჩინა, ნეფემ გადასწყვიტა, რომ ჩემი ქალი ამას უნდა მივსცაო. დადგა ერთი მზადება და ამბოვი. ქალმა უთხრა, ერთის სიტყვის თქმის ნება მამეციო. ნეფე გაუჯავრდა. არა, შენ ნება არა გაქვო, მაგრამ ვეზირებმა უთხრეს, რაი იქნება მივსცათ ერთი სიტყვის ნებაო.

ქალი ადგა და მოუყვა სუყველასა, რაიც კი იცოდა ალექსანდრესა და მონახშირიშვილზე. რაისთვი მათხოვებთო იმაზე, ვინც არც ნეფიშვი-

ლია და არც გადაურჩენივარო. მე გადამარჩინა ალექსანდრემა და უთხრა, ამა და ამ ჭემწიფიშვილიც ეგ არისო. როცა სუყელი კარგა გაიგეს, ნეფემა და იმის დიდებულებმა. უბზანეს რო ემეყვანა ორმოჩივითა. მიიყვანეს ნეფესთანა. ნეფემ დიდის ამბვით მიილა და უთხრა, ჩემი ქალიც შენ გეკუთნისო, ჩემი საჭემწიფოცაო.

მამრე უთხრა ნეფემა: ამ შენს მონახშირიშვილს რაი უყოთო. ალექსანდრემ სთხოვა, რომ ეგ იყოს ჩემი პირველი ვაზირიო.

გამართეს ეგეთი კორწილი, რო ჩიტის რძეც კიდავ იქ იყო.

ნეფემ თავისი სანეფო თავის სიძეს დაულოცა და ცხოვრობდეს ტკბილადა და თბილადა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
სიკვდილი იქა, სიცოცხლე აქა.

ანდაზა: არა შაჯდა მწყერი ხესა,
არა ითხოვდა გორი მისა.

იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რაილა იქნებოდა, იყვნეს ორნი ცოლ-ქმარნი, ხყვანდა სამი ქალი, ეგეთი ლამაზები, ეგეთი, რომ ავის თოლით არ ინახებოდეს. ცოლი ჩქარე დააგადდა და სიკვდილის პირს მივიდა. დაუძახა თავის ქმარსა და უთხრა, მე ჩქარე მოვკვდები და ერთი სათხოვარი მაქვ შენთანაო: მე რო მოვკვდები, თოლჭრელი და ფეკდილი არა მოუყვანა რა ემ ჩემს ობლებსაო, თორო დაგიტოცსო.

აი, ეს ჩემი ქალბანი წაიღეო და ვისაც ეს გამაადგება, ის შაირთეო.

გავიდა რამდენიმე ხანი და ეს დედაკაცი მაკვდა. დარჩა სამი ობოლი მამის ინაბარასა. იმ კაცს უდედაკაცოდ აღარ უკვდებოდა და წავიდა ცოლის სათხოვრად.

იარა, იარა და ერთი დედაკაცი შამახვდა წინა და უთხრა, ესა და ეს სოფელი არ იციო? დედაკაცს უთქმია, როგორ არ ვიციო. მამრე უკითხია იმ კაცისთვი, რომ იმ სოფელნი რაი გინდაო. კაცს უთქმია, ცოლი მამიკვდა და მეორე ცოლი უნდა შავირთაო. მეც ქმარი მამიკვდა და მეორე ქმარი უნდა შავირთაო. ვერაო, შენ ვერ შავირთავ, ფეკებიც დიდი გაქვ და თოლებიც ჭრელიო. მე კი ისითი ცოლი მინდა, რომ აი ეს ქალბანი გამაადგესო.

წავიდა ის წყეული დედაკაცი და დაიშავა თოლები, დაითალა ფეკები და ისრივ წინ დახვდა იმ კაცსა.

ისრივ ხკითხა, ვის სძებნიო, იმ კაცმა კიდავ უთხრა: აი, ესრე და ესრეა ჩემი საქმეო. გაუხარდა დედაკაცსა და უთხრა: მაშ მე ქრუვი ვარ და მე შამირთეო.

შახედა კაცმა, შავი თოლები აქვ. ანახვა ქალბანი და გამაადგა.

ადგა და წაიყვანა ცოლადა ის დედაკაცი. იმ ერთს კვირეს ეგრე ექცეოდა, ეგრე, რომ სულ იმ ქალების მზეს იფიცავდა და მამრე კი შაყარა სბანელონი და გარეთ აღარ უშობდა. როცა ქმარი შინ მოუვიდოდა, ხკითხავდა თავის ცოლსა, ბაღლები სადღა არიანო. დედაკაცი გააჩუმებდა: სუო, ზძინია და არ გამიღვიძაო.

გადიოდა დღეები და ის დედაკაცი ისრი იქცეოდა, ქმარმა ვერა გაუგარა.

ერთხალ მეზობლებმა უთხრეს ამ კაცსა, შენს შვილებს რატომ არ მიხედავ, იქნება იკოცებიანო.

როცა შინ მივიდა, ცოლს უთხრა, მანვენე, სად არიან ბაღლებიო. დედაკაცმა პირზე ჳელი მიაფარა: სუ, არ გააღვიძაო. ქმარმა აღარ ხკითხა, შაალა კარები და დაუძახა ბაღლებსა. ის უბედური ობლები სიმშილისად და სიბნელისად ისრი დამკდარიყვნეს, რო სიარულისა და ლაპარაკის ღონე აღარ ხქონდათ. მამას უფროსის ქალისთვი უთქმია, მოდი, ჩემო ქალო, ქალბანი გამკადეო.

ძლივძლივ მისულა ის უბედური და გაუკდია ქალბანი, ვაშლი გადმადვარდნია, იმ ქალას აუტაცებია და მაშიენე პირჩი უკრია. ვაშლის დანახვაზე მეორეს დაუღნავლებია: მამავ, მეო... მეორე ქალბანი იმისათვი გაუხდევინებია და მეორე ვაშლი იმას აუტაცებია. ახლა მესამეს დაუღნავლებია: მამავ, მეო. მოდი, შვილო, მოდი, კისერი დამფხანეო და იმანაც კისერჩიგათ ამაილა ვაშლი.

როცა შვილებმა მამას თავის თავგადასავალი უამბეს, მამამ იფიქრა, რაიდა ვქნა და როგორღა ვქნაო.

ეს ხთის წყეული დედაკაცი მაინც არ მაასვენებს, მაინც დახკოცსო და მოდი ცოცხლებს დავღმარხავ და მეც შივ ჩავხყეებო.

წასულა მეორეს დღესა და გაუთხრია ისითი ორმო, რო კაცის თოლნი ვერ ჩასწვდებოდა და ზედ ხალიჩაი გადააფარა.

როცა შინ მოვიდა, ცოლს უთხრა, ბევრი ცომი მაზილე და ბევრი პური გამააცხვეო. იმ დედაკაცმა გამააცხო ორი მეშოკი პური. მამრე უთხრა მამამ შვილებსა, რო შვილებო, წავიდეთ ტყეჩი და ვაშლი დავკრიფათო. იმ უბედურებმაც დახარეს თავი და გახყვეს მამას ტყეჩი.

როცა იმ ორმოსთან მივიდეს, დაასხდინა ხალიჩაზე სამნივე, დამძიმდა ხალიჩაი და ჩავარდა ორმოჩი ქალებითურ. მამაც თურმე ვარდებოდა და ვისდაც კაცს დეეჭირა ჳელი და გაუჯავრებიყო, შვილების გულისათვის თავს რას იკლაო.

დაუმშვიდებია ეს კაცი და წაუყვანია შინა. ეს უბედური დები კი სულ ცოდვაბრალობენ. სალამდე ის ორი მეშოკი პური და ერთი ტიკი

წყალი ეყოფოდა, კიდავ არაუშავ რა, მამრე კი მისვლია ერთურთის დაჭმაზე საქმე.

სიმშილისაგა აღარ იციან, რაილა ქნან და მაიფიქრეს უმცროსის დის შაჭმა. უმცროსმა დამ უთხრა: ნუ შამჭამთ ჯერთა, სულ ხო მე არ გეყოფით, იქნება რაიმე გიშოვნათო. დაიწყო ამ უბედურის დღისამა თითოთ თხრა მიწისა და იპოვნა ერთი თხილის გული. შუაზე გატეხა, ერთი ერთს მისცა და მეორე - მეორესა და თითონ თითები გაილოკა. კიდავ თხარა, თხარა და იპოვნა კაკლის გული. ისაც შუაზე გაუტეხა და მისცა თავის დებსა, თითონ ისრივ თითები გაილოკა.

იმ ქალამ იმდენი თხარა, იმდენი, რო ქვეშენელს ბებრის ბანაზე გავიდა. იმ დროს ბებერაი დედაკაცი არ ყოფილა შინა, წირვაზე ყოფილა წასული. შასულა ეს ქალაი, დაულაგებია ბებრის სახლი და თან პური წაუღია. მასულა ბებერაი შინა და სულ სახტა დამრჩადა (გაპკვირვებია): ვინა ქნა მადლი და ვინ დამილაგა სახლიო.

რამდენჯერაც ბებერაი სადმე წავიდოდა, იმდენჯერ შავიდოდა ეს უმცროსი და დაულაგებდა სახლსა.

ერთხალ ემ ბებერმა თურმე იფიქრა: მოდი, დავიმაღლები და იქნება გავიგა, ვინ მილაგებს სახლსაო.

ერთხალ ბებერამ სულ არია-დარია თავის სახლი და კარები გარეთით ჩაკეტა და თითონ კრაოტის ძირ დაიმადა. ამ ქალამაც როცა დაიგულა, რო ბებერი წასული იქნებო, მივიდა, გაადა კარი, შაჭამა პურაი და მოუდგა სახლის ლაგებასა.

ეს რო ბებერმა დაინახა, პირჯვრის წერას მოუდგა. ქალია, ქალია, რომ მზეს აზძრახდება. ისითი ლამაზი ქალი იმის საკემწიფოხი არ მაიბადებოდა.

თუ ღმერთია, დიდება ხქონდესო, თუ ადამიანია, ჩემი სულის მამსვენო იქნება, ეგრე შავინახავ, რომ ცივს ნიავს არ მივაკარებო. თუ ეშმაკია და ჩემს სულსაც არ დავინანებო, ეგრე შამიყორდაო. ბებერი ნელ-ნელა გამაძრო კრაოტის ძირითა, მივიდა ქალსთანა, დაადგა მჭარზე კელი და სამჯერ დაზძახა: შენ შვილი და მე დედაო. ერთბაშად ეგრე შაშინდა თურმე ის უბედურიშვილი, რო თმანი სულ მადლა დაუდგა.

ბებერამ უთხრა, ნუ გეშინიან, შვილო, მე დედა და შენ შვილიო. მითხარ, ვინა ხარო და შენ იქნები ჩემი მზის წინ საფიცნელი. მე ცხო არვინ მყო.

მოუყვა ის ქალაიცა და სულ უამბა თავის თავგადასავალი. და ისაც უთხრა, რომ იმას იქ ხევანან ორნი დანი.

გაუხარდა ბებერსა, რო ესეთი მარგალიტით ქალი იშოვნა. გედუეხვია და დაკოცნა. მამრე უთხრა: წადი, შვილო და შენი დებიც მარეკეო. წავიდა და მოურეკა.

გახარებულმა ბებერმა აღარ იცოდა, რაილა ექნა. გამართა დიდი რხინ-თამაშობა და ერთი ცის ჩამოვარდნა ხქონდა.

მთელს საცემწიფოს მაზღებია იმ ქალების სიღამაზის კმა. მოდის თურმე და მოდის მნახავი. ეს ამბოვი ჳემწიფიშვილის ყურადაც მისულა. ერთს დღეს ახალგაზღები ბებრის ბანახე თურმე კოჭობენ. ჳემწიფიშვილიც იქ მისულა, რო ის ქალები ნახას.

ემ ჳემწიფიშვილსა კოჭი ნებით ჩაუგდია ბებერის სარკმელნი და ჩაუძახებია: დედავ, კოჭი ჩამამივარდა და ამამიწიეო.

ბებერმა ააწოდა, კიდავ მეორედ ჩაუგდა, ბებერმა კიდავ ამააწოდა. მესამედა კიდავ ჩაუგდა და კიდავ ჩაზძახა: დედაშვილობასა, კოჭი ამამაწოდეო. ბებერმა უთხრა, მე ამდენი აღარ შამიძლიაო, ჩამადი და აიტანეო.



პურის ცხობა

ჩავიდა ჳემწიფიშვილი და როცა ის უმცროსი ქალი დაინახა, კიდან შაიშალა, ეგრე ძრიალ მეწონა თურმე. მივიდა დედასთანა და უთხრა: დედი, ძუძუ მამაწუეო. დედას თურმე გაუკვირდა და უთხრა, რაილა შენი ძუძუს წოვებისააო.

მაშ ერთს საქმეს დაგავალე და თუ არ შამისრულე, მთელს საცემწიფოს დავანგრეო.

ბებერს რო უმცროსი ქალი ხეავ, ის შამრთეო.

დედას გაუკვირდა და უთხრა: მთელის საცემწიფოს ბატონ-პატრონი ჩვენა ვართ და ის ბებერი რაილა მყავ ეგეთი, რომ იმან ქალი არ მამცასო.

გაგზავნა ფემწიფიშვილმა ბებერთანა შუაკაცები, მაგრამ ბებერმა უარი შამოუთოლა და თან ესრე დააბარა: ჳემწიფიშვილს უარი არ ეთ-

ქმის, მაგრამ მარტო უმცროსს არ გავათხოვებო, სამნივე ერთად უნდა გავათხოვაო.

მაში თურმე ამ ჳემწიფიშივილმა შახყარა სამი საჯემწიფო და სამმა ჳემწიფიშივილმა ითხოვეს სამნი დანი.

ჯერ გამაიყვანეს უფროსი და და ათქმევინეს, შენ რაი შაგიდლიაო. იმან უთხრა, მეო ერთის კვერცხის გულით ისითს (.....) გავაკეთებ, რო თქვენმა საჯემწიფომ ბეერი დახარჯას და ბეერი ხქონდესო. ეგ მე მინდაო, დაიძახა ერთმა ჳემწიფის შვილმა. ახლა მეორეს ხკითხეს, შენ რაი-და შაგიდლიაო. მე ერთის კვერცხის გულითა ისითს შაჯმელს გავაკეთებ, რო მთელის საჯემწიფოს ჯარებმა ბეერი ჳამას და ბეერი ხქონდესო.

ახლა უმცროსს ხკითხეს, შენ რაილა შაგიდლიაო. იმან თაგმადარი-ბებით უთხრა, მე არც რაი არ შამიძლიაო. მე გამინდება ორი ოქრო ქონრიანი შვილიო. ეგ მე მინდაო, - დაიძახა იმ ჳემწიფიშივილმა. სამივე დანი კარგს დღეხი ჩაცვივდეს, მაგრამ უმცროსი სუყელას შჯობდა. იმ უმცროსას დიასა ისრი ეეჯაბრნეს დები, ისრი, რო სასიკვდილოდ აღარ თურმე ზოგვენ.

როცა უმცროსი და მშობივრობაზე ავად იყო, უფროსი დები წავიდეს და თან წაიყვანეს ახალმაგებული თიკანი .

ამ ქალს თურმე ოქრო ქონრიანი ბალდი გაუნდა. დებმა ბალდი მახპარეს და თიკანი მიუგდეს. ეს ბალდი წაიყვანეს და წყალხი გადააგდეს.

მთელს საჯემწიფოხი დამდგარა მითქვი-მათქვი და ერთი ამბოვი. ამ დროს ჳემწიფიშივილი ომხი ყოფილა წასული, ეს ამბოვი რო ჳემწიფიშივილს გაუგია, უთქმია, რაი უყოთ, ერთი შაცდომა ყველას ეპატიებაო.

როცა მეორე და გაჯდა მშობივრობაზე ავად, კიდავ მივიდეს იმის დები და ეხლა ძაღლის ლეკვი მიუგდეს.

წაიყვანეს ის ოქრო ქონრიანი ქალი და ისაც წყალხი ჩააგდეს.

ეხლა კი მთელი საჯემწიფო სულ ერთურთს თურმე მახვდა. მაშივნე აცნობეს ჳემწიფიშივილსა, რო შენს ცოლს ოქრო ქონრიანი შვილების მაგივრად თიკანი და ლეკვი გაუნდაო.

გამწარებულმა ჳემწიფიშივილმა ბზანება გასცა, რო გემეყვანა ეზოს გარეთა, ჩეეგდა ეშიკი და ძუძუებზე თიკანი და ლეკვი მიეყარა და რამდენიც გაივლიდა, იმდენს იმისათვი უნდა შეეხუშა. იმისი ბზანება მაშივნე შაასრულეს. და იმ დღით ის ქალი გაჯდა ხალხის საფურთხებელი.

ერთხალ ხთის ნათლული წყალხი ყავარჯენს თურმე ურევს და იმ ყავარჯენს ოქრო ქონრიანი ქალი და ბალდი ამახყვალა. წაუყვანია თურმე თავის შინა. თურმე ის ხთის ნათლული ჳორციალის შაჯმელს არ შჯამდა. იმას ხთისაგა ხქონია დაწესებული ერთი პური და ერთი დოქი ღვინო დღეხი. და როცა ორი კიდავ მიღმატებია ადამიანი, ღმერთს შაჯმელიც მიუმატებია, ორი პური და ორი დოქი ღვინო. ისრი შახყორე-

ბია ხთის ნათლულს ეს ორი ბაღლი, რო ვედარ თურმე ზძლებს უიმა-
თოდა.

ერთხალ ის და-ძმანი წყლისპირ თურმე სხდანან და წყალს ჩამოუ-
ტარებია კიტრის ნამცქევნი. დაუჭერია იმ ქალასა, შუაზე გაუტეხია, ერ-
თი თითონ შაუჭამია და ერთი ძმისათვი შაუჭმევია. როცა შინ მასულან,
ხთის ნათლულს უთქმია, შვილებო, თქვენ ჯორციალის საჭმელი გიჭამი-
ათ და ხთისაგა საჭმელ-სასმელი აღარ მაგივათო. წადით ესლა და
მშვიდობიანად იცხოვრეთ, ხთისამც პირით დაილოცებით. წამასულან ეს
და-ძმანი და სოფლის ახლოს დასახლებულან და ცხოვრობენ თურმე
ტკბილადა. ის და-ძმანი ისითი ლამაზები ყოფილან, რო ვინც თურმე
ღნახავს, თოლს აღარ აშორებენ.

ერთხალ ამ ბაღლს ჭურჭლით წყალი მასქონდა თურმე შინათკე
და წინ თავის დედიდაი შახყრიყო, ის წყეული და უთქმია, ცოდვა არაა,
მაგისტანა ვაშკაცსა ის რაში არ ამშვენებდესო, ამა და ამ ადგილს რო
არისო. უთქმია სახელი. ემ ბაღლსაც ჩაღვარდნია გულჩი იმ დედაკაცის
სიტყო და ამოუჩემებია წასვლა. რამდენს თურმე ეხვეწება ის და, რო
ნუ წახოლიო, მაგრამ არ დაუშლია და წასულა.

თან წაულია სამი მარილის ქვა.

როცა მივიდა რაშის ბუნაგთანა, რაშს სძინებიყო. მიიტანა ეს მა-
რილის ქვები და ბუნაგის წინ დააწყო, ისრი რო რაშმა ვერა გაიგა-რა,
იმ რაშსა ბუნაგის ახლოს ერთი წყარო ხქონია და ყველაი იქ თურმე
სომს წყალსა. წავიდა ეს ბაღლი, ჩაწვა წყაროჩი და ზედ ძროხის ტყავი
გადიფარა. როცა რაში გარეთ გამოვიდა და დაინახა მარილის ქვები,
სიხარულით მთელი ქვა გადაყლაძა. ისრი მასწყურდა წყალი, რო აღარ
იცოდა, რაიდა ექნა და წავიდა წყაროსკე. როცა წყლის დასაღვეად და-
იხარა, ბაღლმა ძროხის ტყავს ფხაკუნნი დაუწყა. რაში ისრი დამთხო,
რო სულ ცას ემბებოდა. მივარდა ბუნაგის კარებზე და მეორე ქვაც შა-
ჭამა.

ისრი მასწყურდა წყალი, რო გაგიჟებულია. მაში ბაღლმა დაუკიე-
ლა, შენს ზურგს ჳელი გადამასმევინე და წყალს დაგალევინებო. გადა-
მისვიო. ადგა ბაღლი და კიდავ უთხრა: ზურგზე შამისვინე და კიდავ
დაგალევინებო. რაშმა უთხრა: ჳეი, ყმაწვილო, შენ ჩემი ზურგი დაგლუ-
პავსო. იყოს, მე დამღუპასო. მაშ კარგი და შაჯეო. როგორც კი შაჯდა
ახალგაზდაი და გაფრინდა რაში.

რაში ცას მიეჯაჯა, ბაღლი მუცელზე ემეეკრა. დედამიწას დეე-
ჯაჯა, მარცხნი მეექცა. მარცხნი დეეჯაჯა და მარჯვნი მეექცა. და გა-
დარჩა მშვიდობიანადა.

მაში კი უთხრა თურმე ამ ოქრო ქონრიანსა, ალალი ვარ შენზეო,
წამიყვანე, სადაც გინდაო. როცა შინ მივიდა, იმის და სიხარულით
აღარ იყო და ისრი უვლიდა რაშსა, რო ზედ ევლებოდა.

ერთხალ ამ ოქრო ქორიანს რაშისათვი კიდავ წყალი მახქონდა. კიდავ შახვდა თავის დედიდაი და უთხრა: დიდი ბრალია, ოქრო ქორ-ჩრიანო, ამაღამ კოშქი რო ქალი ზისო, ის შენს გვერდს არ ამშვენებსო. ახლა იქ წასვლა ამაიჩემა. ბევრი უშალეს დამა და რაშმა, მაგრამ არ დაიშალა. წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ კოშქთანა. იმ კოშქს თურმე ხქონია კაცის სიმაღლე გაღავანი და იმ გაღავანნი ყოფილა ღორი. რომენიც იმ ქალთან ჩიტს არ აკარებს. როცა გაღავანთან მივი-და, გამაიწერა პირჯორი და გადაფრინდა გაღავანზე.

იმ დროს ღორს კი თურმე სძინია.

მივიდა და მძინარი ღორი დაკაფა და შიგ თავის ხანჯალი დააშკო.

ეს ამბოვი კარგა დაინახა ქალმა და აღარ იცოდა, რაი ექნა. გადა-კოცნა ღორის მამკლავი და უთხრა, მე შენს იქით სიცოცხლე აღარ შა-მიძლიაო. ემ ლამაზმა ჭაბუკმაც თავი დაუკრა და უთხრა: ნუ გეშინიან, მზეო ჩემო, მარტო შენა ხარ ჩემი დამტირებო.

წამაიყვანა მზეთუნახავი და წამა-ვიდა თავის საყორელის დისაკე და რაშისაკე.

თურმე ეს ქალი გულთმისანი ყო-ფილა და სუყელი თურმე იცის, რაიც ხოყანაზე ხვდება. დიდება ხქონდეს ხთის სიძრიალესა და ობლობის გამ-ჩენსა. ობოლი თურმე არ დაიკარგება, თუ ალაღ-მართალია.

ერთხალ უთხრა თავის ქმარსა და მუღსა, რო წავიდეთ და ამა და ამ საჯემწიფოჩი დავსახლდეთო. წავიდეს. იარეს, იარეს და ერთის ქალაქის ახ-ლოს ტრიალ მინდორჩი დადგეს. ქალს უნატრებია: ღმერთო, სიალ-სიმართლის გამჩენო, დოგიდგი ისითი სახლ-კარი, რო ემ საჯემწიფოჩი რაიც ხალხია, დი-დებუელი და მონაი, სულ შიგ დეეტი-სო. მართლა დაუდგა ისითი სახლ-კარი, ისითი, ისითი, რო კაცნი თურ-მე ხკვირდიან. ხთის ბზანებით იმდონი სასმელ-საჭმელია მასული, რო ვეღარაჩი თურმე სტევენ.

გაუშლია სიფრო და დაუპადიჯებია მთელის საჯემწიფოსათვი. ახლა ჯემწიფიშვილთან გაგზავნეს კაცი. დააბარეს: მამზანდი შენის ტუსადითაო.

ხალხი თურმე მოდის, ხალხი რო... ქალმა ხკითხა ჯემწიფიშვილსა: ჩვენი ტუსადი რატომ არღა მაიყვანეთო? გაანებე თავი, იმის მაყვანა რადღა გინდაო. ქალმა ბზანება გასცა, რომ მეყვანა იქა. რაიღა მეტი გზა ხქონდა. წავიდეს და თავის ეშიკითურ მაიყვანეს. და სადღაც ბო-



*ვახტანგ და დათო
ქირიკაშვილები*

ლონი დააგდეს. ძუძუზე 23 წლის ძაღლი და თხა ხეყანდა მამბული და აწოვებდა. რო დაინახა ქალმა, მივიდა, თითო კვლის გაქნევაზე სულნი გააყრევინა ქალსაც და თხასაც. იქით გადაყარა. მამრე სამჯერ შუბლზე აკოცა და იქ დაასვინა, სადაც კემწიფიშვილისა და თავის დების წინ იქნებოდა პირდაპირა. კიდავ გადაუწია შუბლი და კიდავ აკოცა.

რაისთვი შჩადიოდა ემასა ქალი, არვინ იცოდა, არც ქმარმა, არც მუღმა და არც ცხომ ვინმე და სუყელანი გაკვირებით უცქერდეს იმის საქციალსა.

ეს გამართული ხალხი გააჩუმა და რიხიანიად დახკივლა: სმენა იყოს და გაგონება! ხალხი გაჩქურდა. ისითი სიჩუმე იყო, რომ ბუზუნაის გაფრენაც გაიგონებოდა. აბა, ესელა მიაბზეთ, თუ რა ვინ რა იცით ზღაპარზე. სუყელამ უარი თქო, არ ვიცითო. ხალხს ის უნდოდა, თითონ ქალი რას იტყოდა. აბა, მაშ მე დავიწყებო, - ერთი კიდავ აკოცა იმ გაყვითლებულს ქალსა და დაიწყო მთელი ის ამბოვი, რასაც ჩვენ მოვხყევით ახლა. მამრე მიუბრუნდა იმ დაძმათა და უთხრა: ჩემო ქმარო და მუღო, აი, ეს არის თქვენი დედაო. თქვენს მაგივრად თქვენმა დედიდებმა თიკანი და ძაღლის ლეკვი მიუგდეს, თქვენ კი ხთის ნათლულმა ამავრეკათ წყალჩიგათა. მამრე მიუბრუნდა კემწიფიშვილსა და უთხრა: ეს ცოლია შენი, ესები შვილებია და მე კი რძალი ვარ შენიო. მაგრამ ამის დატანჯვისთვი ვერცერთს ვერ ეღირსებო.

ემ ამბოვის გაგონებაზე ხალხს თმები მაღლა წაუვიდა. და მაითხოვეს იმ ორის დის ცხენის ძუაზე დაწყვეტა.

ააბზანა თავის დედამთილი და ოქროს ტახტზე დააბზანა.

ოქრო ქოჩრიანმა კი გახქუსლა თავის რაშისაკე. მაარბოლა კვლედა და თავისი ბოროტი დედიდები რაშის ძუაზე დააწყვიტა.

როგორც იყო, შაურიგდა კემწიფიშვილიც და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. სიალ-სიმართლემ თავი არ დამალა.

ჭირი იქა, რხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონესაცა
ღმერთმა გიშვილასთ ყველასა.

სიალლე სიარმედამც ნუ შეგეცვლება.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძრიალ ღარიბი კაცი. არ ხყვანდა არც დედა, არც მამა, არც თვისი და არც ნატამალი. ისრი ძრიალ ღარიბად თურმე ცხოვრობდა, რო სულს წყალს სთხოვდა. არ გააჩნდა არც ადგილი, არც მამული, არც სახლი და არც კარი. მარტო ერთი ყურძნის ვაზი ხქონია.

ერთხალ მელაი მისულა იმ კაცთანა და უთქმია, ერთი მტევანი ყურძენი გადმამიგდე და ბედს გწევო.

აილა გლექმა, გადაუგდა ყურძენი და უთხრა: ვაი, შენის იღბლის ნაწვეო.

წაილა ყურძენი მელამა და შაჭამა.

კიდავ მოუდგა და ჩაზძახა კაცსა: ერთი მტევანი კიდავ გადმამიგდე და ბედს გწევო.

კიდავ გადაუგდა კაცმა და უთხრა: უღომდაც მემეშვიო და შენი არა მინდა რაო.

თან გულჩი გაიცინა, მელაი და იმის ნაწვეი ბელიო.

მესამედ კიდავ მივიდა და ჩაუძრახა: აღარ მინდა შენი ყურძენიო.

ხუთი მეშოკი იშოვნე და წამადიო თუ გინდა, რომ გაგამდიდრაო. გამდიდრების გაგონებამ კბილებჩი ნერწყვი ჩაუყენა ამ ტილებჩი ჩაფქულს კაცსა. მინდორჩი იმდინი ბილილაი დაკრიფეს, რო სულ დაავსეს მეშოკები.

ეხლა მელამ კაცი დაარიგა, რო ერთს ადგილას არ მაშორებიყო და თითონ კი წავიდა უცხო საჯემწიფოჩი. მივიდა და ჳემწიფეს უთხრა, სამტევანი ჳემწიფე მოდის და ქალსა გთხოვს. თუ არ მისცემ, მთელს საჯემწიფოს სულ ჩალა-მტვერად გიქცევსო. ჳემწიფე შაშინდა და უთხრა, მაზანდესო. წავიდა სულთახეთქასა, მივიდა იმ კაცთანა და უთხრა, აბა, ბედს გწიეო და არ შამარცხვინაო. ისრი მაიქე, ითამ მართლა ჳემწიფე ხარ. აილა ის ხუთი მეშოკი ბილილაი და სულ წყალს მაახვედრა.

მამრე კაციც შიგ ჩააგდა. მოდის წყალი ბილილებით აჭრელებული. გაიქცა მელიაი და უთხრა ნეფესა, რო ჳარების სიმძიმემ ჳიდი ჩატეხა, ზოგი წამაიდა, ჳემწიფესაც ტარავალი დაუსველდა, იმით ვეღარ მოდისო. და ტარავალი გაუგზავნეთ ნეფისაო. ჳემწიფემ სიჩქარ-მანქარას მაამზადა ტარავალი და გაუგზავნა.

მიუტანა მელიამ ტანისამოსი, გახჳადა თავის ტილიანი პერანგი და ჳემწიფურად გამაჭიმა. წააბზანეს ერთის დიდებულობით და გაუმართეს კორწილი. შამაიყვანეს მზეთუნახავი ქალი და დაუსვინეს გვერდითა. ჳემწიფეს ისითი სახლები ხქონდა, რო სულ თოლ-მარგალიტებით იყო მართული.



ვასილ ითონიშვილი და მისი მეუღლე (ყანობი).

ამ ცოდვილმა კაცმა პირველად ნახა ესეთი შაკმაზული სახლი. დაუკვირდა. ხან ჭერს უყურებს, ხან პოლსა, ხან კედლებსა. ნეფეს გაუკვირდა და უთხრა მელიასა, ეს სიძე რას ათოლიარებსო აქაობასაო. მელიამ უთხრა, თავის სახლთან აღარ მასწონსო. სიძეს გული უსქდება, რაილა ქნას, როგორ მიიყვანას თავის სოროჩი ეს მზეთუნახავი, გაუგებენ და მახკლავენ, სულ ელდამ გაიტანა, ეს რაი შტუკაი მამდვა მელიამაო. მელიამ უთხრა, შენ არხეინად იყავო, ბატარძალს უშიშრად გადაუყოდე ჰველიო. და მე ვიცი და მაგ საქმემაო. თუკი ერთი მოვაჰკერჰკე, არც მეორე გამიჭირდებაო.

ახლა გათავდა კორწილი და ნეფემ დედუფალი უნდა წამაიყვანას. მელიამ უთხრა იმ კაცსა, მე წავალი და შენ ეს ხალხი ძრიალ ნელა გამარეკეო. აგრაი, რო ხედავ, კომლი რო ამოდის, იქ ვიქნები მე და იქ ამადითო.

წავიდა მელიაი და მიადგა უზარმაზარს სახლ-კარსა, სადაც ცხოვრობდეს ოცდაათი დევი და იმათ ხყვანდა მატაცებული ოცდაათი ქალი. მელიაი მივიდა სულთახეთქასა დევეებთანა და უთხრა, ათი საკემწიფო წამოვიდა თქვენს საომრადაო და თავს უშველეთო. დევეები აირივნეს - გაირივნეს და ხკითხეს მელას, რაი ვქნათ ესლა, სად წავიდეთო. მელიამ უთხრა, აიმ თივის შტუკებნი შადვერითო. როცა მოვლენ და ძებნას დაგიწყებენთ, მე მოვალ და დავიძახებ, გულთა-მეთქი და თქვენც გული-საკე გაატანეთ. თუ ვინიცობაა, მტვერმა შაგაწუხასთ, იმით გაიგებთ, რომ ბევრი ჯორები იქნება მასული და იმათი ფეკის მტვერი იქნებაო.

დაიჯერეს დევებმა და შაძვრეს თივის შტუკებში. მელიამ სიმგურგლი ცეცხლი მოუკიდა და თან დახკივის: გულთა, გულთაო! დევებიც გული-საკე ატანდეს და მელიამ სულ ამაბუგა. ამ დროს ნეფიონიც მოვიდეს. დიდის ამბავით დაუხვდა მელიაი. ისიტს სახლებში შარეკა ხალხი, რომ სულ ოქო-ვერცხლით და თოლ-მარგალიტით იყო მართული და მაჭედლი.

გაუშაღეს სიფრები, რაი სასმელი, რაი შაჭმელი, რაი სული, რაი გული, რაი პური და რაი მარილი!

იმ დევების მატაცებული ქალებიც ძრიალ გახარებულები იყვნეს, რო იმებს მაშორდეს. გადაიყარეს კორწილი და დაიწყეს ტბილად ცხოვრება, ისრი რო ჩიტის რძეც კიდავ შინ ხქონდა. ეგეი, ეგეთს ბედს სწია მელიამ ის ღარიბი კაცი.

ერთხალ მელიამ უთხრა იმ კაცსა, მე რო მოგკედები, რას მიზამ, როგორ დამმარხავო.

ჰაი, ჩემო მელიავ, შენ რო მახკედები, ოქროს კუბოს გაგიკეთებ და ზედ ისიტს ქვას დაგადგამ, რომ სულ თოლ-მარგალიტით იყოს მართული. პურს მუდამ მღდელს ვაწირვინებო. მელიამ გამასაცდელად მაიმკვდარა თავი. უთხრეს ამ კაცსა, რო მელიაი მაიმკვდარაო. მაიმკვდარა და აიღეთ და გადააგდეთ, ვერა სთმობთ მაგ საძაგელსაო? ეწყინა მელას და წამაფრინდა, მიღვარდა და უთხრა: გითხრა, რაიც კაცი ხარ, გითხრა რაიც კაცი ხარო?!

შაშინებული კაცი ეხვეწებოდა, ნუ გამცემ და აღარ ვიზამო.

როცა მელას მართლა მწერელი მოუდგა, დიდის ამბავით დამარხეს და ქვაც დაადგეს იმის შიშითა, არამც კიდავ ტყუელი მაიგონასო.

ჭირი იქა, რხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ანდაზა: წვენის დაშინებული დოს უბერავდაო.

ალექსანდრე და ლუდიკი

ყოფილა და არა ყოფილა რა, ღმერთზე უკეთესი რაილა იქნებოდა.

ყოფილა ერთი ნეფე ჩრდილოთისა, მთელს ხოყანაზე გათქმული. იმასთან თურმე მიდიოდეს სუყელაი საჯემწიფოს მემკვიდრეები, რო ემსახურა იმასთან ორი წელი და ეელა ნება ჯემწიფობისა. ერთხალ ამ ნეფესთან მივიდა საბერძნეთის ნეფისშვილი, რო ემსახურა ერთი წელი, რაკი იმას ნება არ ხქონდა ნეფობისა, სალამ არ იმსახურებდა ერთი წელი.

ამ დროს ამ ნეფესთან მოვიდა კიდავ ორი ახალგაზდაი კაცი, რომ ნებიც ერთმანერთს ღგვანდეს, როგორც ტყუპები ძმები. ერთს ექვინა ალექსანდრე, მეორეს - ლუდიკი. იმათ სთხოვეს ნეფეს, რო მიელა თავისთან სამსახურნი. ნეფემ მიიღა ისენი და ლუდიკი დააყენა თავის კარის კაცადა და ალექსანდრე კი თავის ქალის მოსამსახურედა. რაკი ნეფის ქალი ძრიალ ლამაზი იყო, შაუყორდა ალექსანდრესა. ალექსანდრემ რომდენიმე ხანი იმსახურა მზეთუნახავთანა და მამრე კი უთხრა ლუდიკსა:

მოდ, ძმაო, მე ბევრი დრო მაქვ და მთელი ქალაქი შამავლილი მაქვ. ეხლა აქ შენ გადმოდ და მე მანდ გადმოვადიო. მაინც ვერვინ გვიცნობს და ეხლა შენ დაათოლიარე ქალაქიო. მართლაც ისრი მაიქცნეს, შასცვალეს ადგილები. ლუდიკსაც შაუყორდა ის ქალი.

მოვიდა დრო, რო თავთავის ადგილი დეეჭირა ისრევა ამ ძმებსა. ლუდიკი ძრიალ გაკდა და გაყვითლდა. ალექსანდრეს უკვირდა ლუდიკის ავამტყოფობა და ჩქარ-ჩქარ ეუბნებოდა, რაისთვი ხარ ავადო. რო ვერ ათქმევინა, ამიღა ხანჯალი და უთხრა: მითხარ, თორო თავს მოვიკლავო. მაში კი უთხრა, მე მიყორს ჯემწიფის ქალიო, მაგრამ ვიცი, რო შენც გიყორს და იმიტომ ვერ გეუბნებოდიო. მაში ალექსანდრემ უთხრა, ემ საქმეს მე გამოვასწორებო. მამრე წაიყვანა იმ ქალთანა და უთხრა ქალსა: თუ მე გიყორვარ, უნდა წახყვე ცოლად ამ ჩემს ძმასო. რო ხედავ, ერთმანერთნი არ ვირჩევითო. ქალმა უთხრა, შენის სიყორულისთვი სუყელას ავასრულებო. ნეფესაც სთხოვეს და ნეფემაც ნება მისცა ლუდიკისა და თავის ქალის ბედრივნობაზე და ალექსანდრე კი წავიდა ცხო ხოყანანი და იქ ითხოვა ცხო ნეფის ქალი. იმ დროს ლუდიკის სიმამრს საბერძნის ნეფისშვილმა შამოუთოლა, შენი ქალი უნდა მამათხოვაო, თორო ჩამოვალი და ზურგზე მტვერს აგადენო. მაში ნეფე თურმე ჩავარდა საგონებელნი. ქალი გათხოვილი ხყვანდა და როგორ წაართოს. არადა, ეშინიან, საბერძნის ნეფისშვილი ძრიალ ღონიარი ყოფილა თურმე. ლუდიკიც შაშინდა, რაკი იცოდა, რო იმას ვერ მეერეოდა. მაში უთხრა ცოლმა ლუდიკსა: ემ გაჭირებაჩი თუ დოგისხნის, ისრივ ალექსანდრეო. ლუდიკი შაჯდა ცხენზე და წავიდა ალექსანდრესთან. გააგებინა თავისი ამბოვი და გაჭირება. ალექსანდრემ უთხრა, ამადამ კორწილი

მაქვო. მე წავალ და ჩემს მაგივრად შენ დაიწერე ჯორიო. სამს დღეს შამინახე, როგორც ჩემი ცოლიო. მამრე თუ ვერ მოვიდე, შენ დაგრჩება და თუ მოვე, შენ შენს ცოლთან წადიო და მე კი მაგასთან დავრჩებიო. წამოვიდა ალექსანდრე, შეებძოლა საბერძნის ნეფიშვილსა და მაკლა კიდეცა.

ლუდიკმა კი თურმე დაიწერა ჯორი იმ ღამეს ალექსანდრეს ცოლზე. როცა თურმე დააწვინეს ეს ნეფე-დედუფალი და ლუდიკი თურმე გადაბრუნდა კედლისაკე და მუკლები და თავი კედელს მიაბრჯინა. ქალს გაუკვირდა ეს ამბოვი და უთხრა, რას შვები ემასაო. ლუდიკმა უთხრა, ჩვენი ჩვეულება ესეთი არისო, სამს ღამეს ესრე უნდა ვიყოთო. როცა ალექსანდრე მოვიდა და დაწვა თავის ცოლთანა, ქალს მეეწონა იმის ალერსი, მაგრამ მაინც დახკადნა თავის გულში: კარგი ვაშკაცი ხყოფილხარ, მაგრამ იმ სამს ღამეს რაიც დამტანჯე, არ შეგარჩენო. დიდი ხანი არა გავიდა რა, რო ალექსანდრე მაწამლა ცოლმა. ალექსანდრე ძრიალ დაავადდა, მთელს ტანზეთ სულ ჩირქი დაზდიოდა. ცოლმა აღარ დააყენა სასახლეში და გარეთ გააგდა. გარეთაც სცემდეს და სტყუებდეს მოსამსახურები. მიხრწნეული ალექსანდრე წავიდა ლუდიკთანა, იქნება იმან მიშველას რაიმეო. დაადგა გზასა, მაგრამ სიარულის თავი კი არა აქვ. გავლილი მეურმები რო შახედებოდა, იმათ ეხვეწებოდა და რაის ვაი-ვაგლახით მიაწია ლუდიკის საკემწიფომდე.

თურმე ლუდიკს გაუკეთებია ბალნიცაი და ზედ დაწერილი ხქონია „ალექსანდრეს სახელობისა“-ო. და თან ბზანება თურმე ხქონდა გაცემული, რომ სადაც კი ღნახავდეს ავამტყოფს, ვინც გინდა ყოფილიყო, უნდა იმ ბალნიცაში შეეყვანა და ეწამლა ალექსანდრეს ხათრითა. როგორც კი დაინახეს ალექსანდრე, მაშივნე დაუწყეს წამლობა, მაგრამ ვერა უშველეს რა. ერთ დღეს გამაიპარა ბალნიცაჩიგათა, რაკი სიარული აღარ შეეძლა, ხოხვით მივიდა ლუდიკის სასახლის კარებთანა და შეეხვეწა კარის კაცსა: მოდი და ლუდიკს უთხარ, ალექსანდრეს გაფიცებ, მოდი, ბატარიად მნახეო. ლუდიკს იმ დროს სტუმრობა ხქონდა და ქეიფობდა თურმე, მაგრამ როცა გაიგონა ალექსანდრეს სახელი, უბზანა კარის კაცს, აქ მაიყვანეო. მართალია, ძრიალ საზიზღარი იყო, მაგრამ ლუდიკს არ შეეზიზღა. რაკი ალექსანდრეს ამბოვს ელოდა, ხკითხა, რაი იცი შენ ალექსანდრესიო. ის კი ვეღარ გაიგა, რო ის იყო ალექსანდრე. ალექსანდრემ უთხრა, მე კარგა ვიცნობო ალექსანდრესაო, კარგა ცხოვრობსო.

ლუდიკს უთხრა: თუ ალექსანდრე გიყორს, შენის სტაქნით ღვინო დამალევინეო, ალექსანდრეს დაფიცებაზე ლუდიკმა უზიზღრად დაალევიანა. ალექსანდრემ დაღია ნახევარი და შიგ ბეჭედი ჩააგდა, რომენიც იმისაგა ხქონდა ნახუქვარი და უთხრა: თუ ალექსანდრე გიყორს, ნახევარი შენ დალიეო. ალექსანდრემ სიყორულით უზიზღრად დაღია. როცა ბეჭედი დაინახა, ხკითხა, ვინ მაგცა ეგ ბეჭედიო შენაო. მითხარ ალექ-

სანდრეს ამბოვიო. ალექსანდრე კარგა არის და თითონ გელაპარაკებო. ლუდიკმა რო ეს გაიგონა, დაავლა ჭელი და თავის ლოგინში ჩააწვინა. გაძაღებით უვლიდეს ორნივე ცოლქმარნი, დაახვიეს დოსტურები, მაგრამ ვერა უშველეს რა.

ალექსანდრემ ერთხელ ნახა სიზმარში, რო თუ ლუდიკი თავის სამს შვილს დახკლავს და იმის სისხლი გაგბანს, გეშველებო, თუ არა და არაო. ამ დროს ლუდიკმაც ნახა სიზმარი, რომ ალექსანდრემ თავის წამალი თითონ იცისო. მივიდა ლუდიკი და ხკითხა ალექსანდრეს: მითხარ, შენი წამალი რაი არისო. ალექსანდრემ არ უთხრა. მაში ამიღა ლუდიკმა ხანჯალი და უთხრა: მითხარ, თორო თავს მოვიკლაო. ალექსანდრე შაშინდა და უთხრა: ლუდიკო, სიზმარს ნუ ახყვებო, ესეთი სიზმარი ვნახეო. წავიდა ლუდიკი, დაშტრა თავები ბაღლებსა და ჩაწურა ტაშტჩი. დაავლა ჭელი ალექსანდრესა და გაბანა სისხლი. ალექსანდრემ რო დაინახა სისხლი, გონჯა გააზრზოლა ტანში. თითონ კი მარჩა, მაგრამ ბაღლების სიკვდილმა დააღონა (ჰაი დედასა, იმათ კი არ სცოდნია მეგობრობა, დაატანა მთქმელმა მოხუცმა და გააქნია თავი). ლუდიკმა უთხრა: არ იჯავრა, ბაღლებს კიდავ მევესწრობი, რაკი შენ მარჩიო. ამ დროს ლუდიკის ცოლი საყდარში იყო საწირავადა. ლუდიკმა მეჯინიბეს უთხრა, კარგი ცხენები მოგორთვიო. შასხდეს ცხენებზე და წავიდეს ლუდიკის ცოლის შასახვედრადა. ლუდიკის ცოლი გზაჩი შახვდა. სიხარულითაც დაზძახა: ლუდიკ, ეგ ვინ არისო? ლუდიკმა უთხრა, ეს ჩვენი ძმა ალექსანდრეო. გედევხვია ლუდიკის ცოლი და გადაკოცნა: მადლობა ღმერთსა, რო შენ მარჩიო. მამრე ლუდიკმა ხკითხა ცოლსა:

რას გაიმეტებდი მაგის მასარჩენლადაო?

ცოლმა უთხრა, ჩემს სიცოცხლესაცაო.

ლუდიკმა უთხრა: შენს ბაღლებს გაიმეტებდიო? ალექსანდრეს გულისთვი ბაღლებს როგორ არ გავიმეტებო. ლუდიკმა უთხრა: ჩვენი ბაღლები დავტოვე და იმით მოვარჩინეო.

მიუბრუნდა ლუდიკის ცოლი ალექსანდრესა და უთხრა: შენ არა იჯავრა რაო. მოვიდეს სახლი და გამართეს დიდი რხინი. ამ ქეიფის დროს ლუდიკის ცოლმა უთხრა: თქვენ იქეიფეთ და მე კი მოვალე ვარ, ჩემს შვილებს მივხედაო. რო მივიდა იმ კარებთან, სადაც დატოცილი ბაღლები ეყარნეს, ბაღლები კარებს ახრიალებდეს, გოგიღეთ კარებიო! დედამ გაულა კარები და გამოვიდეს ცოცხალი ბაღლები. ცოლმა ლუდიკს საყვედური მისცა, მცდილიო? ალექსანდრესთვი განა არ გავიმეტებდი შეილებსაო.

ალექსანდრე წავიდა ცოლთან შურის საძიებლადა, იმისი ცოლი და იმისი ვაზირი ერთურთს ეხუმრებოდეს.

ალექსანდრემ მაშტრა თავი ცოლსა და ვაზირსა. შემეხვივნეს სიდერი და სიმამრი და ეხვეწებოდეს, ჩვენი შვილი ადრე სასიკვდილო

იყო და გვიან მაკვდაო. ეხლა წადი და საითაც გინდა მაიყვანე ცოლი
და იჭემწიფეო.

ჭირი იქა, რხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეღით,
საიქოს ცხონებითა.

სამი ვაშლი მქონდა,
ერთი მქნელსა, ერთი მთქმელსა,
ერთი გამამგონებელსა.



ჯერის უღელტეხილზე

ამირანდარეჯანიანი

იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაიდა იქნებოდა. იყო ერთი მონადირე სულკალმახი... ხევანდა ცოლი დარეჯანი და ორი შვილი: ბადრი და უსუბი. ერთხალ სულკალმახი წავიდა ნადირობა. იარა, იარა და დაუღამდა გზანი. და იმ ღამეს ერთს გამაქობილი დადგა. შუაღამე რომ მოვიდა, კლდეჩიგათ ქალის კივილი ჩემეედინა. სულკალმახი გამოვიდა გარეთა და დაინახა მიუვალს კლდეჩი გამაქობილი. და კივილიც იქით ჩამოდიოდა. სულკალმახმა ბევრი უარა იქი-აქა, მაგრამ ვერცაით ავიდა. მაშინ გადასწყვიტა შინ წამასვლა. მეორე დღეს გააკეთებინა მჭედელს ბურაოები და ჰვედაი და წავიდა იმ კლდისაკენ. რამდენს უროსაც დახკრავდა, იმდენს საფეკურს აკეთებდა და როცა გაუთავდა უროები, ავიდა კიდევცა. ავიდა და რაი დაინახა: ძრიალ ლამაზი ქალი იწვა და ტიროდა. გვერდით ეყარა მაჭრილი ოქროს თმის ნაწნავები.

იმ ლამაზმა ქალმა უთხრა სულკალმახსა, რომაო მე ვარო ნადირობის ქალღმერთი დალიო. ჩემი ძალა იყო ჩემს თმებნი და ქალწულობანიო. მაგრამ წუხელ ძრიალ მაგრა დამძინებოდა და ამასუღიყო ერთი ჭაბუკი ვინმე და ჩემი თმები მალვით დეეჭრა და მამრე კი დამიმორჩილაო. ეხლა ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს. მე ორსულად ვარ. მოდი, გამიჭერ მუცელი და ბაღლი გადაარჩინეო. მე კი მაინც უნდა მოვკვდეო. სულკალმახმა უარი უთხრა, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ გაუჭრა მუცელი. კიდავ ის უთხრა იმ ქალმა, როცა მუცელს გამიჭრო, ვიცი, ბაღლი იქნებაო. ის მუცელი ვერ დასრულდაო და როცა წაიყვან, დეეკულის ფაშანი გყვანდეს იმ ხანა, რომ ცხრა თვე შაუსრულდესო და მამრე ამაიყვანეთო. ჩემი შვილი ძრიალ ღონიარი იქნებაო, - მაგრამ მუცელი რო დასრულდებოდა, მთელს ქვეყანას უჭირდაო. ჩემს შვილს ამირანი დახქვიენეთო. გაათავა ეს სიტყო და მაკვდა. წამაიყვანა ბაღლი სულკალმახმა და ისრი მაიქცა, როგორც იმ ქალმა დაავალა.

სულკალმახის ცოლი დარეჯანი თავის შვილებთან ზდიდა ამ ბაღლსა. ამირანი ძრიალ დიდი იზდებოდა. ერთი დღისა ერთის კვირისას დგვანდა, ერთის კვირისა - ერთის თვისას, ერთის თვისა კი ერთის წლისას. სულკალმახი ჩქარე ავად გაჰდა და მაიმდომა ამირანის მონათვლა იმ მიზნითა, რო იმის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები და ამირანი დეეცვა დეევებისაგან. სულკალმახი კი დაუძინებელი მტერი იყო დეევებისა და იცოდა, რომ იმის სიკვდილის შემდეგ დეევები ააოჭრებდეს. ნათლობის დროს ჩამაიარა ერთმა დაკონკილმა კაცმა და უთხრა, ამ ბაღლს მე მაგინათლავთო და უარი ვეღარ უთხრეს და გაანათლვინეს. თურმე ეს დაძონილი კაცი ყოფილა ქრისტე ღმერთი.

ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა თორმეტი უღელი ჰარ-კამბეჩის ღონე, მშიარის მგლის მუჭლი და ზოვის ძალა.

როცა სულკალმახი მაკვდა, მაშინ დევებმა აიკლეს მისი ოჯახი,
დარეჯანიც ჩქარე მაკვდა და ამირანი და მისი ძმები ჯაბალხეთს გადა-
იხვეწნეს.

ბადრი, უსიბ და ამირან
ჯაბალხეთს ჩავიყარენით,
დავსხედით ღვინის სმაზედა,
ზოგ დევნიც დავიტანენით.
ვინცა სო ჩემთან ღვინოი,
ძმებურად გავიყარენით,
